# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


სამშაბათი, 19 ივნისი, 2007 წელი.

№ 113 (5714)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




## სახალხო დამცველმა პრეზიდენტს 60-გვერდიანი წერილით მიმართა

2

## „ღვინის ეგზეკუცია“ დასასრულს უახლოვდება

10

## თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სიჯიუტე კრახით დასრულდა

9

## ოპოზიციის აზრით, ხელისუფლება საჯაროობის წინააღმდეგია

3

საკვები პროდუქტები ორი წელია არ კონტროლდება. სავალალოა, რომ კიდევ ორი წელი არაფერი გვეცოდინება. ადამიანის ჯანმრთელობა კი არ იცდის და, თუ ასე გაგრძელდა, ძალიან მალე ცუდად შეგვახსენებს თავს

6

## სააკაშვილის მთავრობა სხვა ქვეყნის სოფლის მეურნეობაზე ზრუნავს, საკუთარზე კი – არა!

## ლომაია სოროსის მარჯვენა ხელია, უგულავა კი – მარცხენა



2



## ვაითუ, ჩვენი მზე სხვა გალაქტიკამ მოგვტაცოს...

16



## მესხეთი მესხთა სამშობლოა და არა — თურქების

ტერმინი თურქი მესხები უაზრობაა. მესხი-მესხია. ის ვერასგზის ვერ იქნება თურქი. მესხეთელი თურქი კი მესხეთში მცხოვრებ თურქს ნიშნავს, ხოლო თურქის სამშობლო მესხეთი არასდროს ყოფილა და არც არის. ამიტომ ასე უნდა ითქვას: არიან ქართველთა ერთ-ერთი უძველესი ტომის — მესხების გამაჰმადიანებული შთამომავლები და არიან თურქების მიერ მესხეთში ჩასახლებული თურქები

3



# სახელმწიფო

● ცნობამ, რომელიც ამ ბოლო დღეებში გახმიანდა, ყველა მოაზროვნე ადამიანი შეაშფოთა: სკოლები, სადაც 300 ბავშვზე ნაკლები მოსწავლე ჰყავთ, უნდა დაიხუროს!
რას უპირებს განათლების სამინისტრო პატარა დასახლებებსა და მაღალმთიან სოფლებს, სადაც 300 კაცი საერთოდ არ ცხოვრობს?





◎ ვაირეფორმა

## გ. გუგავა: ლომაია სოროსის მარჯვენა ხელია, უგულავა კი — მარცხენა

**ცნობამ, რომელიც ამ ბოლო დღეებში გახმიანდა, ყველა მოაზროვნე ადამიანი შეაშფოთა: სკოლები, სადაც 300 ბავშვზე ნაკლები მოსწავლე ჰყავთ, უნდა დაიხუროს!**

რას უპირებს განათლების სამინისტრო პატარა დასახლებებსა და მაღალმთიან სოფლებს, სადაც 300 კაცი საერთოდ არ ცხოვრობს? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მარტო კახა ლომაიას კი არა, ალბათ, განათლების სამინისტროს მთელ აპარატსაც გაუჭირდება. არადა, ეს ის საკითხია, რომლის მიფუჩეჩებაც სერიოზული შეცდომა და დანაშაულიცაა მომავლის წინაშე.

სწორედ ამ საკითხებზე იმსჯელეს გუშინ ლეიბორისტული პარტიის შტაბბინაში, სადაც პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა. „კახა ლომაიას „განათლების სისტემის მესაფლავე“ უწოდა და თქვა: **„სოროსული, მზაკვრული გეგმა საბავშვო ბაღებისა და სკოლების დახურვის შესახებ, ჩვენმა პარტიამ ჯერ კიდევ 1997 წელს შეაჩერა საკონსტიტუციო სამართლის ძალით. ეს გეგმა სასწავლო დაწესებულებების მასობრივ დახურვასა და სკოლებიდან მასწავლებლების გაყრას ითვალისწინებს. ბავშვები დარჩებიან სასწავლო კერების გარეშე, სასკოლო შენობები კი გაიყიდება.**

ამ გეგმას ახორციელებენ სოროსის მარჯვენა ხელი კახა ლომაია და მისი მარცხენა ხელი გიგი უგულავა. ამ დამღუპველ პროცესს ისინი „ოპტიმიზაციას“ უწოდებენ. მინისტრმა პირდაპირ განაცხადა, რომ მათთვის ძნელია ჭარბი ინფრასტრუქტურის შენახვა. ჭარბ ინფრასტრუქტურას კი ისინი უწოდებენ 300 ბავშვზე ნაკლებს!“

გიორგი გუგავამ აღნიშნა, რომ მრავალ დასახლებულ პუნქტში ბავშვებს ათეულობით კილომეტრის გავლა უწევთ, რათა სკოლას მიაღწიონ. თუ ამგვარი „რეფორმა“ განხორციელდა, ეს კილომეტრაჟი კიდევ უფრო გაიზრდება და უამრავი ჩვენი თანამემამულის შვილი განათლების გარეშე დარჩება. სამაგიეროდ, ხელისუფლებას შენობების გაყიდვისა და გასხვისების საშუალება მიეცემა.

„უკვე ბევრ საბავშვო ბაღში მივიდნენ, გამგეები ვერც კი ამხელენ ამ ფაქტს, რადგან ეშინიათ თანამდებობის დაკარგვისა. მოგეხსენებათ, საბავშვო ბაღები ადგილობრივი მუნიციპალიტეტის კმაყოფაზეა. თითოეულ ბავშვზე დღეში 1 ლარი და 20 თეთრია გამოყოფილი. მასწავლებლებსაც სპეციალურად არ უზრდიან ხელფასს, რომ მშობელმაც და მასწავლებელმაც ხელი ჩაიქნიონ, არაფრად ჩააგდონ ბაღის დახურვა. მითხარით, რომელ ბავშვს ყოფნის დღეში 1 ლარი და 20 თეთრი? საკუთარი შვილები გამოკვებონ ამ ფასად!“...

ლეიბორისტთა პოლიტიკურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ამგვარ, უსამართლო გადაწყვეტილებებს მთელი საზოგადოება უნდა დაუპირისპირდეს.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◎ ონლაინ ფორუმი

## დევნილთა პრობლემებს ინტერნეტით აგვარებენ...

**საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში, ინტერნეტში დაშვებისა და სწავლების პროგრამის (IATPძ და სახალხო დამცველის ორგანიზებით, ონლაინ ფორუმი გაიმართა, თემაზე: „დევნილებისა და უმცირესობების პრობლემები და მდგომარეობა საქართველოში“.**



ინტერნეტში დაშვებულია და სწავლების ცენტრი 1 ივნისს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხარდაჭერით, გაიხსნა იმ მიზნით, რომ საქართველოს მოქალაქეებს უფასოდ სწავლისა და ინფორმაციის მოპოვების საშუალება ჰქონდეთ. ეს პროგრამა (IATPძ „თავისუფლების მხარდაჭერის აქტის“ შესაბამისად დაფუძნდა, მას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის კულტურისა და განათლების საქმეთა ბიურო აფინანსებს, ხოლო ადმინისტრირებას საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREXძ უწევს.

ფორუმი ყოველ ორ კვირაში იმართება და მასზე შემოსულ კითხვებს, ასე ვთქვათ, „პასუხისმგებელი სტუმარი“ ერთი საათის განმავლობაში უპასუხებს. ამჯერად, ფორუმის თემას, ძირითადად დევნილები გამოეხმაურნენ და საკუთარ პრობლემებზე, გაუსაძლის მდგომარეობაზე კითხვები სახალხო დამცველს სოზარ სუბარს დაუსვეს.

**„პრობლემები, რომლებითაც მოგვმართეს, ახალი არ არის. შეიძლება რომელიმე კონკრეტული ფაქტი არ ვიცოდეთ, მაგრამ ზოგადად პრობლემები ნაცნობია და მათ შორის კონკრეტული საკითხებიც შესწავლილი გვაქვს. ბოლო პერიოდში, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პოზიცია დევნილების დაცვის თვალსაზრისით გააქტიურდა, რაც ჩვენი დამსახურებაცაა, რომ არაფერი ვთქვათ, იმ უამრავ ადამიანზე, რომელთა დახმარებაც შევძელით. მაშინ, როცა დარღვევებმა სისტემატური ხასიათი მიიღო და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მუშაობა არაეფექტიანი გახდა, 60-გვერდიანი დასაბუთებული წერილით პრეზიდენტს მივმართეთ. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა კანონით მინიჭებული უფლება გამოვიყენე. ამან შედეგი გამოიღო და სამინისტრო გააქტიურდა, სახელმწიფოს პოზიცია შეიცვალა, კანონმდებლობაში ცვლილებებიც შევიდა და დევნილების გამოსახლების ლამის პოლიტიკად ქცეული პროცესი ნაწილობრივ შეაჩერა“,** — განაცხადა სოზარ სუბარმა.

### სახალხო დამცველმა პრეზიდენტს 60-გვერდიანი წერილით მიმართა

თბილისში, გორში, კასპში, რუსთავში, ქუთაისში, წყნეთსა და თელავში მცხოვრები დევნილები ძირითადად აუტანელი სოციალური მდგომარეობის და საცხოვრებელი ადგილებიდან გამოსახლების საშიშროების შესახებ წერენ და სახალხო დამცველისგან ითხოვენ დახმარებას.

ზოგიერთ კითხვაზე ძნელია ადამიანს კონკრეტული რჩევით უპასუხო, მაგრამ დახმარებისთვის ყოველთვის მზად ვარ. დღევანდელი დღით, კმაყოფილი ვარ, რადგან საზოგადოებრიობის დაინტერესება გამოჩნდა. ინტერნეტი ის სივრცეა, რომელიც თანდათან უფრო გაფართოვდება და ვიმედოვნებ, ეს ფორუმი აქტუალური გახდება და უამრავი ადამიანი შეძლებს საინტერესო კითხვებზე პასუხის მიღებას, — აღნიშნა ფორუმის შეჯამებისას სახალხო დამცველმა.

ამ ცენტრშია ბიბლიოთეკა და თხუთმეტამდე კომპიუტერი, რომლითაც სარგებლობა ნებისმიერი ადამიანისთვის უფასოა. ცენტრში ატარებენ ტრენინგებს. პირველი ასეთი ჯგუფი დევნილებისაა, რომელთაც ინტერნეტში მუშაობას შეასწავლიან.

XXI საუკუნეში ადამიანებს საკუთარ გასაჭირზე ინტერნეტის დახმარებითაც შეუძლიათ საუბარი, რაც ნამდვილად მისასალმებელია, მაგრამ მთავარია, მათი სიტყვა „უდაბნოში ღაღადს“ არ დაემსგავსოს. საქართველოში პრობლემას რა დალევს, მაგრამ კითხვა კითხვად არ უნდა დარჩეს და საზოგადოებრიობამ სახელმწიფო უწყებებისგან მცირეოდენი ყურადღება მაინც უნდა იგრძნოს.

**მაია ხორგუაშვილი**

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

## რესპუბლიკელები იწყებენ და...

**რესპუბლიკელები საქართველოში კორუფციის დამარცხებას მითს უწოდებენ და დიდი ქალაქების მთავრობათა საქმიანობის შესწავლას იწყებენ.**

ამის შესახებ გუშინ რესპუბლიკელების ერთ-ერთმა ლიდერმა თინათინ ხიდაშელმა პრესკონფერენციაზე განაცხადა და აღნიშნა, რომ დედაქალაქის მთავრობის მიერ თანხების არამიზნობრივად ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, საზოგადოებას უკვე ბათუმისა და ქუთაისის მთავრობების საქმიანობას გააცნობენ.



ხიდაშელმა იმედი გამოთქვა, რომ მასალებს შესაბამისი რეაგირება მოჰყვება მასმედიის მხრიდანაც და საგამოძიებო ჟურნალისტიკა ტელეეთერებს კვლავ დაუბრუნდება.

რაც შეეხება კონტროლის პალატის მიერ დედაქალაქის მერიის შემოწმების მასალებს, პარტიის ლიდერის თქმით, დოკუმენტები, რომლებიც არასრულია, მათ ერთ-ერთმა მოქალაქემ მიაწოდა.

— ამ დოკუმენტებში დადასტურებულია, რომ 2005 წლის 6 თვის განმავლობაში მერიის მაღალჩინოსნებმა მრავლაგზის გაზრდილი საწვავის ლიმიტს 63 ათასი ლარით, ხოლო მანქანების წვის შესაძლებლობას 42 ათასი ლიტრით გადააჭარბეს. ეს კი ცხადყოფს, რომ დანარჩენი საწვავი მათი მეგობრებსა და ოჯახის წევრებზე იხარჯებოდა, — აღნიშნა ხიდაშელმა.

მისივე თქმით, შპს „პარტნიორი“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი პრეზიდენტის ძმაც არის, ყოველგვარი ტენდერებისა და კონკურსების გარეშე პირდაპირ შეთავაზებებს იღებს და ქალაქის მერიას ქართული რეალობისთვის სრულიად ფანტასტიკური ტარიფებით ემსახურება.

ხიდაშელმა დედაქალაქის ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ 2005 წლის 5 ოქტომბერს დარღვევებით გაცემულ მშენებლობის ნებართვებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მხოლოდ სამი თვის განმავლობაში ბიუჯეტს 100 ათასი ლარის ზარალი მიადგა.

მანვე ყურადღება გაამახვილა დედაქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ ორგანიზებულ კონცერტებზე, საიდანაც, მისი თქმით, ხისა თუ რკინის კონსტრუქციები, როგორც უპატრონო ქონება „საქმიან ეზოში“ მიაქვთ.

ხიდაშელი აცხადებს, რომ სწორედ პირდაპირი მოლაპარაკებებით ხელშეკრულების დადების შემდეგ გარკვეული ფირმები მმართველი პარტიის დამფინანსებლები ხდებიან. მისივე მტკიცებით, ამის დამადასტურებელი ფაქტები კონტროლის პალატის მასალებშიც არის.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, კონტროლის პალატის მასალებში ნათქვამია, რომ ტრანსპორტის სამსახურის მიერ მცირემასშტაბიანი სამლებრო საქმიანობის ხარჯთაღრიცხვებში ორჯერ მეტი თანხა არის ნაჩვენები და, შესაბამისად, ბიუჯეტიდანაც მასზე ორჯერ მეტი თანხა დაიხარჯა

ხიდაშელის განცხადებით, მისთვის სრულიად გასაგებია, თუ რატომ არ შეუშვეს „რესპუბლიკელები“ საკრებულოში.

მისივე ინფორმაციით, ზემოაღნიშნული მასალები კონტროლის პალატამ უკვე გადაუგზავნა გენერალურ პროკურატურას.

**ინტერპრესნიუსი**

◎ საწარმო

## უფილტრო „კასპიცემენტი“ და ეკოლოგიური საფრთხე

**სს „კასპიცემენტი“, რომელიც ქალაქ კასპის ცენტრში მდებარეობს, მტვრის დამჭერი ფილტრების არქონის გამო ქალაქს ეკოლოგიურ საფრთხეს უქმნის. ზიანდება ხეხილი, მტვერი სახლებშიც აღწევს, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა აპროტესტებს.**

2007 წლის თებერვლიდან საწარმოს მფლობელი გერმანული კომპანია „ჰაიდელბერგია“, რომელმაც გარკვეულწილად ეკოლოგიურ საკითხებზე უკვე იზრუნა.

კომპანიის მფლობელი მეინჰარდ თრული და „საქცემენტის“ გენერალური დირექტორი გელა ვარძიაშვილი ქალაქის მოსახლეობის წარმომადგენლობას შეხვდნენ და ფილტრების მონტაჟის საკითხი დეტალურად განიხილეს.

ფილტრების მონტაჟი 3 ეტაპიანია, მათი სქემით პირველი ფილტრი 2008 წლის პირველ კვარტალში დამონტაჟდება №3 ღუმელზე, ხოლო №1 და №2 ღუმელებზე — 2008 წლის მეორე კვარტალში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# ქვეყანა

**ტერმინი თურქი მესხები უაზრობაა. მესხი-მესხია. ის ვერასგზის ვერ იქნება თურქი. მესხეთელი თურქი კი მესხეთში მცხოვრებ თურქს ნიშნავს, ხოლო თურქის სამშობლო მესხეთი არასდროს ყოფილა და არც არის. ამიტომ ასე უნდა ითქვას: არიან ქართველთა ერთ-ერთი უძველესი ტომის — მესხების გამაჰმადიანებული შთამომავლები და არიან თურქების მიერ მესხეთში ჩასახლებული თურქები**



**◉ პოზიცია**

*1988 წელი. სისხამი დილა. ავტობუსი ხალხითაა გაძეძგილი — გლეხებს ასპინძიდან ახალციხის ბაზარზე მიაქვთ ქირნახული. ძირითადად, რაზე უნდა ებაასათ გზად? ალბათ, ბაზრის მაზანდაზე, სოფლის ავ-კარგზე, ერთმანეთი მოეკითხათ... მაგრამ, მერწმუნეთ, ამაზე სიტყვაც არ დასცდენიათ. ყველა ერთხმად ე. წ. თურქი მესხების შესაძლო ჩამოსახლებაზე მსჯელობდა. მერედა, რა ემოციურად! მხოლოდ ამას ვიტყვი და ცხადი შეიქნება, ასე რატომ ცხარობდნენ: შუა ხანს კარგა გადაცილებულმა მანდილოსანმა, აფორიაქებული რომ ვერა და ვერ უძებნიდა ადგილს ნაჯაფ ხელებს, რამდენჯერმე წამოიძახა, უიმე, ეგრე თუ იქნა, კარში არ გამესვლებაო. სხვა ვითარებაში, ეგებ, გულში გამცინებოდა, რაღა დროს შენი ეგებია-მეთქი, მაგრამ მაშინ ამან შემზარა...*

# მესხეთი მესხთა სამშობლოა და არა — თურქების

## სულითა და გულით მივიღებთ ყველა ნალდ ქართველს!

1990 წელი. ჯერ კიდევ კომუნისტური წყობაა. უზბეკეთში დაერივნენ იქ კომპაქტურად ჩასახლებულ ე. წ. თურქ მესხებს. საკავშირო პრესა და ტელევიზია კი ამ ვანდალობას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ და იმ კონტექსტში მოიხსენიებდა, რომ რა ხანია დროა, რეპატრირებულნი ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდნენო. მოსკოვში სპეციალური თათბირიც გაიმართა უმაღლეს დონეზე, მაგრამ რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობა დადგა მაგრად...

თარიღები ხომ არ გეცნაურათ? 1988 წელს მთელი საქართველო მოიცვა ეროვნულმა მოძრაობამ, რასაც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია მოჰყვა...

ამიტომაც განაცხადა პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ, თურქი მესხების ჩამოსახლების პრობლემის მიღმა რუსეთი იდგა და დგას; ის გაცილებით ძლიერია, ვიდრე 5 წლის წინათ იყო; ერაყში ორივე ფეხით ხაფანგში გაბმული ამერიკა იძულებულია დაუთმოს ასე მომძლავრებულ რუსეთს, რაც, თავისთავად, იმასაც ნიშნავს, რომ ევროპაც დათმობს; თურქი მესხების საკითხი ერთგვარი მათრახია რუსეთის ხელში, რათა ზედმეტად და არასასურველი მიმართულებით გააქტიურებულ საქართველოს ჟამიდან-ჟამზე მოუღეროს ხოლმეო.

თუ მართლაც ასეა და, „კოჭებში ეტყობა“, რომ სწორედ ასეა, მაშ, ევროსაბჭოს წინაშე შევარდნაძემ თურქ მესხთა ჩამოსახლების ვალდებულება გასაიდუმლოებულად რომ იკისრა, რუსეთთან ყოფილა შეთანხმებული. ევროსაბჭო კი ახლა, საქართველომ ძალიან რომ გაიწია ნატოსა და, საერთოდ, დასავლეთისკენ, ისევ რუსეთის ძალისხმევით გვაწვება, არიქა, მიიღეთ სათანადო კანონიო. ზემოთქმული მოსკოვის ძმედების ქარგაში მთლიანად ჯდება — ყბადაღებული ორმაგი სტანდარტები მოსკოვის ჩვეული პოლიტიკაა: ერთი შეხედვით, ვითომც ოდნავ მოგვილბა, აგერ, ძირძველი თბილისელი ბატონი პრიმაკოვიც გვაახლა, მაგრამ ზურგსუკან, ისევე, როგორც სეპარატისტულ აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში, სწორედ საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ეს ლოგიკურიცაა — მისთვის უპირველესი საკუთარი ინტერესებია. ხოლო თავისი გაძლიერებისა და ამერიკა-ევროპის პრობლემების ფონზე, მოსკოვს კარგა გვარიანად ეხსნება ხელ-ფეხი.

მაინც რას გვიქადის თურქ მესხთა თუ მესხეთელ თურქთა ჩამოსახლება?

ჯერ ერთხელ კიდევ გავიმეოროთ: ტერმინი თურქი მესხები უაზრობაა. მესხი-მესხია. ის ვერასგზის ვერ იქნება თურქი. მესხეთელი თურქი კი მესხეთში მცხოვრებ თურქს ნიშნავს, ხოლო თურქის სამშობლო მესხეთი არასდროს ყოფილა და არც არის. ამიტომ ასე უნდა ითქვას: არიან ქართველთა ერთ-ერთი უძველესი ტომის — მესხების გამაჰმადიანებული შთამომავლები და არიან თურქების მიერ მესხეთში ჩასახლებული თურქები.

მათი გარჩევა აუცილებელია და სწორედ ამას მოითხოვს ოპოზიცია, ექსპერტთა უმეტესობა.

მათივე თქმით, ჯერ კონცეფციაა მისაღები, სადაც დაწვრილებით იქნება აღნუსხული რა, როდის, როგორ, სად! ჯერ ესაა სამსჯელო, დასაზუსტებელი და გადასაწყვეტი და მერე, ამ კონცეფციის საფუძველზე, სათანადო კანონის მიღება. უამისოდ კანონი, ფაქტობრივად, ჰაერშია გამოკიდებული და, თუმცა ზერელობა ჩვენი ხელისუფლების სენია, ე. წ. თურქ მესხთა თუ მესხეთელ თურქთა ჩამოსახლების კანონპროექტის გაპარების ასეთი ჯიქური მცდელობა აძლიერებს მოსაზრებას, რომ, ზემომოხმობილი მიზეზების გამო, ეს ევროსაბჭოს ზეწოლის შედეგია.

საქმეში ჩახედულნი იმასაც ამბობენ, 1944 წელს, ე. წ. თურქ მესხებთან ერთად, სომხეთიდანაც გაასახლეს 100 ათასი მაჰმადიანი ქურთიო. სომხეთს არავინ ავალდებულებს მათს დაბრუნებას, რაკი ის სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დასაყრდენად მოიაზრება და სადაა სულ მცირე გარანტია მაინც, რომ ეს ზღვა ხალხიც ჩვენ არ შემოგვატყუონ?!

ამიტომ არის აუცილებელი, მკვეთრად გაიმიჯნოს მაჰმადიანი ქართველები, ანუ ნამდვილი მესხები და სხვანი. ეს კი ძალზე რთული, შრომატევადი და ძვირი პროცესია.

რამდენჯერ მომისმენია ტელევიზიით, წამიკითხავს — რეპატრირებულთა უდიდესი უმეტესობა საჯაროდ აცხადებს, თურქები ვართ, ქართველობის არა გვცხია რაო. მაშ, ჩვენ რაღად უნდა ვიყოთ ძალად მაცხონენი? თურქს თავისი სამშობლო აქვს, მესხეთში კი მას მერე ჩაასახლა ოტომანთა იმპერიამ, რაც სამცხე დაიპყრო.

რეპატრირებულთა უდიდესი ნაწილის თურქობას, უთუოდ, ესეც ადასტურებს: თუ გავითვალისწინებთ, რა სისხლიანი მონდომებით ცდილობდნენ თურქეთი და ირანი საქართველოს მთლიანად გამუსულმანებას, მაშინ მათს იურისდიქციაში მყოფ ქართველებს რაღა დღეს დააყრიდნენ (ამის ბევრი შემზარავი ისტორიული ფაქტიაძ? რწმენის იძულებით შეცვლა კი, თავისთავად, ენის ამოძირკვასაც გულისხმობს. ეს სრული გათურქება-გაირანელების ერთი უპირველესი და უცილობელი პირობაა. მაგრამ თურქეთის ტერიტორიასა და ფერეიდანში მცხოვრები ქართველებიდან თითქმის ყველა ახერხებს ქართულად ლაპარაკს. ძალზე ბევრი კი თავისუფლად უზნობს კიდეც. სამცხის ის ნაწილი, ახლა რომ საქართველოს შემადგენლობაშია და საიდანაც გაასახლეს ე. წ. თურქი მესხები, ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში წაართვა რუსეთმა ოტომანთა იმპერიას. ე.ი. ადგილობრივ მკვიდრთ აღარავინ დაუშლიდა მშობლიურ ენაზე მეტყველებას. მერადა, რატომ არ იციან? ანდა, უკვე საბჭოთა პერიოდში მაინც ხომ იყო ეს შესაძლებელი? სადაც გაასახლეს, იქაც ხომ ძირითადად კომპაქტურად ჩაასახლეს?

დასკვნა — რეპატრირებულთა ძალზე დიდი ნაწილი წარმომავლობით თურქია. ისინი მესხეთში თურქეთის სასულთნომ საზღვრების გასამაგრებლად ჩაასახლა. ამიტომ მესხეთი მათი სამშობლო არა და არ არის. მათ არც ძველად იცოდნენ ქართული და არც მერე ჰქონიათ მისი შესწავლის სურვილი.

ვალდებულება ყოველ ჩვენგანს უპირველესად სამშობლოს წინაშე გვაქვს. ერისა და ქვეყნის კეთილდღეობის სასწორზე უნდა აიწონოს ყოველი გადაწყვეტილება. სულითა და გულით მივიღებთ ყველა ნალდ ქართველს — იყოს მაჰმადიანი! ოღონდ, ქართული ჯიშისა იყოს, მაგრამ ამ უკვე მერამდენედ ავად აგორებული კამპანიის მიზანი სულ სხვაა...

**კონსტანტინე გურგენიძე**

**◉ აქტუალური თემა**

# ოპოზიციის აზრით, ხელისუფლება საჯაროობის წინააღმდეგია

## სასამართლო ღია აღარ იქნება?!

**„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტში ცვლილებებზე პარლამენტის კომიტეტები, სავარაუდოდ, ამ კვირაში იმსჯელებენ. უმრავლესობას და ოპოზიციას შორის კვლავაც მძაფრი დაპირისპირებაა მოსალოდნელი. ცვლილებების ინიციატორი პარლამენტის იურიდიული კომიტეტია.**

მოგეხსენებათ, კანონპროექტის თანახმად, სასამართლოს შენობაში, ასევე სასამართლოს სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო-კინო-ვიდეო გადაღება და აუდიოჩაწერა იკრძალება. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ შესაბამის ბრძანებას მოსამართლე გასცემს.

ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლება საჯაროობის წინააღმდეგია და ამ ცვლილებებით სასამართლოში ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებას ცდილობს.

**„ხელისუფლება ჩააფიქრა საერთაშორისო საზოგადოებრივი კვლევის ცენტრების მიერ გამოქვეყნებულმა უკიდურესად უარყოფითმა შედეგებმა, რაც საქართველოში სასამართლოების მდგომარეობას ეხება. ამიტომ გადაწყვიტა საზოგადოების აზრის შეცვლა არა იმ გზით, რომ სასამართლოებში რეალური რეფორმები გაატაროს, არამედ იმით, რომ სასამართლო სისტემის შესახებ საზოგადოებას დისკუსია აუკრძალოს. ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ ამ ცვლილებებისა და კანონპროექტს მხარს არ დავუჭერთ. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სასამართლო პროცესი არის ღია და საჯარო“,** — აცხადებს კონსერვატორების ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავა.



უმრავლესობის წევრები განმარტავენ, რომ ბევრ ქვეყანაში ასეა და სასამართლო პროცესების დროს, აუდიო, ვიდეო, ტელეგადაღებების აკრძალვას მართებულად მიიჩნევენ.

გამოიწვევს თუ არა ეს პროცესი, როგორც ოპოზიცია ვარაუდობს, სასამართლო სისტემის საბოლოო დახურვას, საინფორმაციო წყაროს გადაკეტვას და მოვლენების არაადეკვატურად შეფასებას, ამას მომავალი გვიჩვენებს. ჯერჯერობით კი პარლამენტში ამ საკითხზე მწვავე და უკომპრომისო დებატებს უნდა ველოდოთ. ოპოზიციონერი დეპუტატების აზრით, ივლისში რიგგარეშე სხდომა გაიმართება და საპარლამენტო უმრავლესობა ამ საკითხის მიღებას მაშინ შეეცდება.

**მზია გელენავა**

**◉ ინფორმაცია**

## დაგვტოვებს „ყაზტრანსოილი“?

**გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თუ ბათუმის ნავთობტერმინალი დროულად არ დაიწყებს ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირებას, შესაძლოა კომპანია „ყაზტრანსოილმა“ გარკვეული ფინანსური ზარალი განიცადოს და საქართველო დატოვოს.**

**როგორც ბათუმის ნავთობტერმინალის თავმჯდომარემ, იანა ნილსენმა განაცხადა, არასამართლიანი კონკურენციის პირობებში კომპანიას მომსახურეთა გათავისუფლება მოუწევს.**

**— არასამართლიანი კონკურენტული სიტუაციამ და ყულევის ტერმინალის გაყიდვამ, შესაძლოა, ბათუმის ნავთობტერმინალის ეფექტურ მუშაობაზე უარყოფითი გავლენა იქონიოს. შედეგად, შესაძლოა, პერსონალის დიდი ნაწილის გათავისუფლება მოგვიწიოს, — განაცხადა ნილსენმა.**

**2007 წლის მაისში, ბათუმის ნავთობტერმინალზე კასპიური ნავთობის გადაზიდვა ორჯერ — 48,85 %-ით შემცირდა. მოცულობის შემცირებას ტერმინალის მეპატრონეები შემდგომ პერიოდშიც ვარაუდობენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 113. სამშაბათი, 19 ივნისი, 2007 წელი.

# დღევანდელობა

ვიმედოვნებთ, რომ ქართველი და აფხაზი ხალხების ნიჭისა და პატიოსნების მადლი, სიბრძნე, გონიერება, ისტორიული ტრადიციებისადმი ერთგულება ჩვენ დაგვიბრუნებს მშვიდობიან და შინაარსიან ცხოვრებას ჭეშმარიტად განახლებულ და დამოუკიდებელ საქართველოში



**ხმა ერის გასაგონად**

# ქართველი და აფხაზი ხალხების გონიერებამ უნდა გაიმარჯვოს!

## სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს საერთაშორისო სადისკუსიო ფორუმის მონაწილეთა მიმართვა აფხაზი და ქართველი ხალხებისადმი

ძვირფასო მეგობრებო!

დღეს, მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში, მხოლოდ ერთიან და მძლავრ სახელმწიფოს შეუძლია დაიკავოს ღირსეული ადგილი ევროპის გამაერთიანებელ, კონსტიტუციურ სივრცეში.

ისედაც პატარა სახელმწიფოს — საქართველოს დაქუცმაცება გამანადგურებელი განაჩენია არა მარტო ქართველების, არამედ აფხაზებისა და ოსებისათვისაც.

დაუფარავად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ, სახელდობრ, მაშინდელმა სამხედრო საბჭომ ვერ შეძლო ქვეყნის სახელმწიფოებრივ ღირებულებათა დაცვა და აფხაზეთი გაუგონარი და მიუღებელი გზით — ცეცხლითა და მახვილით ჩამოსცილდა მშობლიურ საქართველოს, დაიღვარა სისხლი, ბევრი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა ამ საშინელებას.

დღევანდელი გადასახედიდან აშკარად ჩანს, რომ უმძიმესი დანაშაული იყო აფხაზი და ქართველი ხალხების დაპირისპირება. არამც და არამც, აფხაზებსა და ქართველებს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ იარაღი არ უნდა აგვეღო! ახლა ქართველი და აფხაზი ხალხები ამას გრძნობენ და მწარედ განიცდიან კიდეც. თუმცა, იმ ავადსახსენებელ დღეებშიც ბევრმა აფხაზმა და ქართველმა იარაღს არ მოჰკიდა ხელი, განერიდა მკვლელობებს და ბოროტებას.

მიუხედავად ამისა, მთლიანობაში, ჩვენ მაინც შევცდით და დღესაც გაოგნებული ვამბობთ: როგორ შეიძლებოდა ჩვენს შორის ძმათამკვლელი ომის გაჩაღება?

სამწუხაროდ, რაც მოხდა მწარე სინამდვილეა და ვერაფერს შევცლით, ახლა უმჯობესია ქრისტესმიერი მიმტევებლობა, შემწყნარებლობა გამოვიჩინოთ და შევუნდოთ ერთმანეთს.

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ყოფა უმძიმესია. სული იტანჯება, როცა შორსა ხარ და არ შეგიძლია იმ ადამიანების გვერდით იყო, რომლებიც შენთვის ესოდენ ახლობელი და სასურველი არიან.

ქართველთა და აფხაზთა კონფლიქტი მსოფლიოში პირველი შემთხვევა არ ყოფილა. ისტორიამ იცის არაერთი ასეთი კონფლიქტი, რომელიც მშვიდობიანი გზით მოგვარებულა.

ხალხმა უნდა აიძულოს საკუთარი მთავრობა, დაუხანებლად მიიღოს გონივრული გადაწყვეტილება. ამ საქმეში ნაცადი და გამართლებული ხერხია სახალხო დიპლომატია. სწორედ ქართველმა და აფხაზმა ხალხებმა უნდა შეძლონ საქართველოს ტერიტორიაზე დაამკვიდრონ ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის გარემო.

მოგმართავთ აფხაზ და ქართველ ხალხებს: დავდგეთ ერთმანეთის მხარდამხარ, გამოვიჩინოთ გულისხმიერება და მოვძებნოთ საერთო ენა, შევქმნათ აფხაზებისა და ქართველების ჰარმონიული ცხოვრების ატმოსფერო.

განსაკუთრებით მოგმართავთ აფხაზეთისა და საქართველოს უხუცეს ადამიანებს: თქვენი ბრძნული გამოცდილება მოახმაროთ ჩვენს შორის კეთილი ურთიერთობის აღდგენას.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ჩვენი ხალხების წარმომადგენელთა სისტემატური შეხვედრები, დიალოგები. ჩვენი საქმე ჩვენვე უნდა გადავწყვიტოთ!

ძვირფასო აფხაზებო! მიწის გამო ნუ ვიდავებთ, საქართველო ხომ ჩვენიცაა და თქვენიც. გვერწმუნეთ, რომ საქართველოს მიწა-წყალი დასაყოფი არ არის და იგი ქართველი და აფხაზი ხალხებისთვის სრულიად საკმარისია.

ჩვენი ერთიანი ცხოვრება ისტორიულმა ქარტეხილებმა გარანდეს და დიდი ხანია ურთიერთობის შესანიშნავი ცხოვრებისეული გამოცდილება გაგვაჩნია, რაც საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს კეთილ და ნათელ მომავალს.

ვიმედოვნებთ, რომ ქართველი და აფხაზი ხალხების ნიჭისა და პატიოსნების მადლი, სიბრძნე, გონიერება, ისტორიული ტრადიციებისადმი ერთგულება ჩვენ დაგვიბრუნებს მშვიდობიან და შინაარსიან ცხოვრებას ჭეშმარიტად განახლებულ და დამოუკიდებელ საქართველოში.

სრულიად საქართველოს საერთაშორისო სადისკუსიო ფორუმის სახელით:

ალექსანდრე კუჭუხიძე, ნოდარ ჭითანავა, იგორ კვესელავა, ლეო ჩიქავა, გივი კილასონია, ანზორ აბრალავა, პარმენ ლემონჯავა, დემურ ღაღანიძე, გურამ ჯოლია, თამაზ იმედაძე, თამაზ დანელია, გივი კვიჭიძე, რომან კუჭუხიძე, თეიმურაზ ბაბუნაშვილი, რევაზ გოგოხია, მურმან ტურავა, გულთაზ ლაბარტყავა, თენგიზ ჭიაბრიშვილი, პავლე გარუჩავა, ლევან ბაღდავაძე, ნიკო ბაკაშვილი, ნუგზარ პაიჭაძე, დათო კურტანიძე, ჯემალ ჯინჯოლავა, ომარ შამათავა, ლენა ესაკია, ომარ დალაქიშვილი, ნოდარ ხუციშვილი, მანანა ასათიანი, ცისანა ბასილაშვილი, გიორგი ზღუდაძე, ჯონი ბიჭიაშვილი, პლატონ ქავთარაძე, რევაზ ფაჩულია, გიორგი შელია, გივი იასეშვილი, ივანე შენგელია.

**ღვთის განგებით**

# ბავშვებზე ზრუნვა ქვეყნის გადარჩენაა

**ჩვენი ასოციაციის წარმომადგენლები უკვე მერამდენედ ეწვივნენ ზესტაფონის წმინდა ბარბარეს სახელობის ბავშვთა პანსიონს, ამჯერადაც მოკრძალებული ნობათით მივედით: 110 კგ შაქარი, 100 კგ მაკარონი, 30 ლიტრი ზეთი, 70 კგ ბრინჯი, ორი ყუთი ტკბილეული, მეორადი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, თხევადი საპონი, სათამაშოები. წიგნები...**

გამოხატა რა კეთილი ნება, ჩვენს აქციას შემოუერთდა კერძო პირი — მზია ქავთარაძე, რომელმაც თავისი და ქველმოქმედი მეგობრების შემოწირული თანხით შეძენილი 100 კგ წიწიბურათი და 10 კგ რძის ფხვნილით გაამდიდრა ასოციაციის ნობათი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მორალური თუ ფინანსური მხარდაჭერით მრავალ ღვთიურ საქმეს ჩაეყარა საფუძველი. მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში გაუსაძლისი მდგომარეობა შეიქმნა, ერის სულიერმა მამამ თითქოს უფლის კალთა გადააფარა გაჭირვებულთ, უპოვართ, ობლად დარჩენილ, ქუჩას თავშეფარებულ ბავშვებს, ასევე წარმატებით დაგვირგვინდა ქვეყნის სასიკეთოდ გამიზნული მისი მრავალი ჩანაფიქრი...

ერს უთუოდ სასიკეთოდ წაადგება ერთ-ერთი ამ ჩანაფიქრთაგანი, — 1995 წელს ზესტაფონში დაფუძნდა წმინდა ბარბარეს სახელობის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა პანსიონი, რომელთანაც ფუნქციონირებს წმინდა იოანე ოქროპირის სახელობის გიმნაზია. სხვადასხვა ასაკის ბავშვები აქვე იღებენ საშუალო განათლებას, ამავე დროს სწავლობენ საღვთო სჯულს, ცხოვრობენ ეკლესიურად, ლოცულობენ და საეკლესიო რიტუალებს ასრულებენ საგანგებოდ გამოყოფილ სამლოცველო ოთახებში, ხოლო ოთხშაბათობით და პარასკეობით მარხულობენ. ოღონდ დიდი მარხვისას, როგორც მოზარდები, მარხვას არ ინახავენ.

პანსიონს ხელმძღვანელობს სხალთის ეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე)...

ადრინდელთან შედარებით, ამ ისეთი სასიკეთო ცვლილებები დაგვხვდა, რომ სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩით. ყველა ჯგუფს აქვს კეთილმოწყობილი აბაზანა, სველი წერტილი, ასევე სარეცხი მანქანა, რაც საშუალებას აძლევთ დაიცვან იდეალური სისუფთავე.

მეუფე სპირიდონის თანაშემწემ ქალბატონმა მარიამ გაბრიჭიძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა:

— პანსიონის ბავშვთა კონტინგენტი მხოლოდ ობოლი ბავშვებით არ შემოიფარგლება. გვყავს დედ-მამიანი ბავშვებიც, რომელთა ოჯახები უკიდურესი გაჭირვების გამო შვილებს ვერ უზრუნველყოფენ სათანადო პირობებით და ჩვენთან მოჰყავთ. ისინი სხვადასხვა რეგიონიდან არიან, ჩვილებით დაწყებული, 14-14 წლის ასაკამდე. სულ 130 ბავშვი გვყავს, 90 — ზესტაფონში, 40 კი — ნინოწმინდის პანსიონში. ბავშვებს აქვთ ოთხჯერადი კვება. მონაცვლეობით ხორცი, თევზი, რძის პროდუქტები ყოველდღე. გამართული საწოლები, თავის ლოგინით და თეთრეულით. ბედს აღარ ვემდურით, ახლა უკვე მყარად დავდექით ფეხზე, საკუთარ მეურნეობას მივდევთ. გვაქვს 49 ჰექტარი მიწის ფართობი, მოგვყავს ხორბალი, პანსიონის საჭიროებისათვის ჩვენვე ვაცხობთ პურს, 14 ძროხა (თავის ხბოებით) საშუალებას გვაძლევს, ხორცით, ყველით, რძითა და კარაქით უზრუნველვყოთ ბავშვები. გვყავს 10 დედალორი. ზესტაფონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიისთვის შეწირული ცხვრებიც ბავშვების განკარგულებაშია. ყოველმხრივ გვეხმარება რაიონის საკრებულო. მუდმივ გვაქვს ცივი და ცხელი წყალი, გათბობა, ვიყენებთ მზის ენერგიას. პანსიონს ემსახურებიან პედიატრი, თერაპევტი, ექთნები. დღე-ღამის განმავლობაში ვადევნებთ თვალყურს მათ უსაფრთხოებასა და ჯანმართელობას. მინდა ერთ ფაქტსაც გავუსვა ხაზი: ჩვენს დაქვემდებარებაშია 10 ბავშვზე გათვლილი, ზესტაფონის ერთ-ერთი უფასო საბავშვო ბაღი, რაც სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის დიდი შეღავათია.

რაც ამ პერიოდისათვის გვაწუხებს და დღის წესრიგში დგას, ეს არის შენობის რემონტი. ამ კეთილმოწყობილ აბაზანებს და ტუალეტებს ასეთი სარემონტო ოთახები და დაზიანებული ფასადი აღარ შეეფერება, იატაკი, კედლები, ჭერი — ყველაფერი მოსაწესრიგებელია.

— გვაქვს სხვა პრობლემაც, რომელიც ბავშვების სწავლა-განათლებას უკავშირდება, — საუბარში ჩაერთო სასწავლო ნაწილის გამგე ქალბატონი ცისანა საყვარელიძე, — ბავშვებს, განსაკუთრებით, უფროსი ასაკის მოსწავლეებს, არ აქვთ მერხები, მათ წელმოხრილებს, დაბალ მაგიდებთან უხდებათ მეცადინეობა, რაც მოზარდის ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებს. არადა, 30 მაგიდა გადაწყვეტდა ამ პრობლემას. კარგი იქნება გვქონდეს საბავშვო ბიბლიოთეკა. სხვა მხრივ სამდურავი არ გვეთქმის. გვყავს 12 მასწავლებელი, რომლებიც ასაკის მიხედვით ინდივიდუალურად ამეცადინებენ ბავშვებს. მათ სურვილისამებრ, მიეცემათ სწავლის გაგრძელების საშუალება. ბევრს მათგანს უკვე გადაწყვეტილი აქვს, სწავლა სასულიერო აკადემიაში გააგრძელოს, ან რომელიმე ტექნიკუმს მიაშუროს. ჩვენი გოგონები ეუფლებიან კერვას, ქარგვას, ქსოვას. მოზრდილი ბიჭები კი დასაქმებულნი არიან მეურნეობაში. ისინი ხელფასს იღებენ. ერთმა მათგანმა თავისი გამომუშავებული თანხით, ფოთში მცხოვრებ ბებიას ტელევიზორი შეუძინა. საერთოდ კი, ბავშვებს თავისი ჯამაგირი ენახებათ. როდესაც გარკვეულ ასაკს მიაღწევენ, და დამოუკიდებლად შეძლებენ ცხოვრებას, უზრუნდებიან მშობლებს, მათ დაგროვებული თანხაც გადაეცემათ, თუ არ ჰყავთ მშობლები, მათთვის განზრახულია ბინების შეძენა, ასე რომ ამ ბავშვების მომავალზეც ვზრუნავთ.

ვცხოვრობთ ერთ ოჯახად, დიდები პატარებს უვლიან, ოჯახური გარემოა შექმნილი და ვცდილობთ ბავშვები დასაქმებულები იყვნენ, როგორც პატარებზე ზრუნვით, ისე სხვა საოჯახო საქმეებით.

აი, მერხების პრობლემას რომ მოგვიგვარებდეს რომელიმე კეთილი სპონსორი, დიდ მამულიშვილურ საქმედ ჩაეთვლებოდა. დარწმუნებული იყავით, ამ ბავშვებზე მზრუნველობა თითოეულ ჩვენს მოქალაქეს სასიკეთოდ მოუბრუნდება.

ასოციაციის თავმჯდომარემ ქალბატონმა მაია კვეზერელი-კოპაძემ მასპინძლებს აღუთქვა დახმარება — საბავშვო ბიბლიოთეკისთვის წიგნების შეგროვება და შეძენა, ხოლო რაც შეეხება, მერხებს, ასოციაცია დონორ ქველმოქმედთა დახმარებით ამ საკითხის მოგვარებასაც შეეცდება.

**საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ პრესსამსახური**

***P.S.** მასპინძელთა მიერ აღნიშნულ ორიოდ პრობლემას თუ არ ვიგულისხმებთ, საქართველოში ბევრ ბავშვთა სახლს არ აქვს ასეთი პირობები, მაგრამ მაინც, როდესაც ჩვილი ბავშვები მოვინახულეთ, ერთგვარი სევდა დაგვეუფლა. არც მათ აკლიათ არაფერი. ერთი წუთითაც არ ტოვებენ უყურადღებოდ მომვლელები, დღე და ღამე მათთან არიან, ასმევენ, აჭმევენ, ეფერებიან...*

*და მაინც...*

*ჩვენც მივეალერსეთ, გავუღიმეთ, ხელშიც ავიყვანეთ, გავეთამაშეთ, თითო-ოროლამ თუ გაიღიმა... არ ელიმებოდათ...*

*ეს ის გაუთვითცნობიერებელი სევდაა, რომელსაც ბუნების კანონზომიერების დარღვევა იწვევს. ეს იმ ინსტინქტის მოშლაა, რომელიც ჩვილს დედასთან აკავშირებს, და ურომლისოდაც ბავშვის სიცოცხლე არასრულფასოვანი ხდება.*

*ჩვენი ხელისუფლების მცდელობა, რომ ყველა ბავშვი ოჯახურ გარემოში იზრდებოდეს, ჯერჯერობით მონოტონურად მიმდინარეობს. კვლავ ძნელად ხერხდება უშვილო ოჯახების მიერ ბავშვების აყვანა. თითზე ჩამოსათვლელია ის ოჯახები, რომლებიც თავის შვილებთან ერთად შვილობილებსაც ზრდიან. არადა, ჩვენში შესანიშნავი ტრადიცია იყო, ნათესავებზე რომ არაფერი ვთქვათ, საშუალო შეძლებისა და ღარიბი ოჯახიც კი შეიფარებდა ობოლს და შვილივით ზრდიდა... დედმამიანი ბავშვები რატომ უნდა შორდებოდნენ ოჯახს? ან მიტოვებული ბავშვები რატომ არ ხვდებიან იქ, სადაც უშვილო წყვილი წლობით ელოდება ბავშვის აყვანას?*

*თავად პანსიონის გადაწყვეტილება — არ გააშვილონ ბავშვები, რატომ არის ასე შეუვალი და გაუგებარი?*

*აი ეს კითხვები აწუხებს ჩვენს ქალთა ორგანიზაციას და ალბათ, საზოგადოებასაც...*

*ქვეყნის სიყვარული ბავშვის სიყვარულით და მასზე ზრუნვით იწყება. ეს ყველამ უნდა გავითავისოთ...*

**ქართლ-კახეთის მეფეს ან პროირანული ორიენტაცია პრორუსულით უნდა შეეცვალა ან რუსეთი კვლავინდებურად გააგრძელებდა ქართლის ბაგრატიონებისა და ქართლის თავადების მხარდაჭერას ერეკლე II-ის წინააღმდეგ**

ისტორია

# პრორუსული ორიენტაციის ალტერნატივა

უნდა აღინიშნოს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკურმა კავშირმა ქართლის თავადები ძალზე გაალიზიანა. 1770 წელს ასპინძასთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ერეკლე II-ის მიერ რუსეთში გაგზავნილი თავადი **ზაალ ორბელიანი** რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებას ერეკლე II-ისთვის ტახტის ჩამორთმევას სთხოვდა. ერეკლე II-ისთვის ქართლის ტახტის ჩამორთმევას სთხოვდნენ გენერალ გ. ტოტლებენს **ზაალ ორბელიანი** და **დავით ქსნის ერისთავი**. ამგვარი აგრესიული პოლიტიკისაგან რუსეთი წინათაც და ახლაც თავს იკავებდა, მაგრამ ერეკლე II-ის დაშინების პოლიტიკას მაინც განაგრძობდა. სავარაუდოა, რომ ქართლის თავადებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარების მითითება საქართველოში გამოგზავნილმა რუსეთის ჯარის სარდალმა გ. ტოტლებენმა პეტერბურგშივე მიიღო. ერეკლე II-სა და გ. ტოტლებენს შორის ურთიერთობის დაძაბვაში წვლილი ქართლის თავადებმაც შეიტანეს. ყოველივე ეს კარგად უწყოდა ერეკლემ და შესაბამის დასკვნებსაც აკეთებდა. ერეკლე II-ის წინაშე დადგა საკითხი: **ქართლ-კახეთის მეფეს ან პროირანული ორიენტაცია პრორუსულით უნდა შეეცვალა ან რუსეთი კვლავინდებურად გააგრძელებდა ქართლის ბაგრატიონებისა და ქართლის თავადების მხარდაჭერას ერეკლე II-ის წინააღმდეგ. კახეთის ბაგრატიონებმა ქართლის ტახტი ირანის შაჰის წყალობით მიიღეს და გამორიცხული არ იყო ირანის დასუსტების შემთხვევაში რუსეთს ყველა ღონე ეხმარა ქართლის სამეფოს ტახტზე მისი ერთგული ვახტანგ VI-ის შთამომავლობის დასაბრუნებლად. ერეკლე II-მ პროირანული ორიენტაცია პრორუსულით შეცვალა.**

ერეკლე II-ის პრორუსულმა ორიენტაციამ კატასტროფამდე მიიყვანა ქართლ-კახეთი და მთელი საქართველო. ჰქონდა თუ არა ქართლ-კახეთის სამეფოს პრორუსული ორიენტაციის ალტერნატივა? ჩვენი აზრით, ალტერნატივა არსებობდა.



მეფე თეიმურაზ II



კათალიკოსი ანტონ I

XVIII საუკუნის 60-იან წლებში რუსეთმა 20-წლიანი შანტაჟის, თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ის ოპოზიციის (ქართლის ბაგრატიონების, ქართლის თავადების) მუდმივი წაქეზებით ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II აიძულა პროირანული ორიენტაცია უარეყო და პრორუსული ორიენტაცია მიეღო. პრორუსული ორიენტაციის რეალიზება, რუსეთისგან სამხედრო-პოლიტიკური დახმარების მიღება იმთავითვე (1770-1771 წლებიდან) ან თუნდაც 1783 წლამდე რომ დაწყებულიყო შეიძლება ქართული სახელმწიფოებრიობა გადარჩენილიყო კიდეც. მაგრამ ამის თაობაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. სამხრეთ კავკასიაში გააქტიურება და ქართული სამეფო-სამთავროების ირანისა და ოსმალეთისაგან დაცვა დიდ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის ევროპულ პოლიტიკას, რომელსაც საფუძველი პეტრე I-მა ჩაუყარა და რომელსაც წარმატებით აგრძელებდა **ეკატერინე II (1762-1796)**. ამ პოლიტიკური კურსის განხორციელების პროცესში რუსეთმა შვიდწლიან ომში (1757-1763 წწ.) გაიმარჯვა და მნიშვნელოვნად დაასუსტა **პრუსიის** სამხედრო პოტენციალი; 1795 წლისათვის პოლონეთის მესამე დანაწილების შედეგად მიიღო პოლონეთის დიდი ნაწილი; საფუძვლიანად დამკვიდრდა ბელორუსიასა და უკრაინაში; გააუქმა ყირიმის სახანო (1783 წ.), 1768-1774 წლებისა და 1787-1791 წლების ომებში ოსმალეთის ორგზის დამარცხების გზით პოზიციები განიმტკიცა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, რითაც პლაცდარმი მოამზადა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეჭრისათვის. ცხადია, ყოველივე ამას რუსეთი სამხრეთ კავკასიაზე არ გაცვლიდა. ამიტომ იყო რომ **მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში (1771-1801 წწ.) რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს რეალურად არ დახმარებია, პირიქით, წინასწარგანზრახულად, გეგმაზომიერად ასუსტებდა ქვეყანას, ამზადებდა მფარველობაში მიღებული სახელმწიფოს დაპყრობას.**

ერეკლე II-მ, როგორც აღვნიშნეთ, ვერ გაუძლო რუსეთის ფარულ თუ აშკარა ზეწოლას და ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ პრორუსულ ორიენტაციას დაადგა. პრორუსული ორიენტაციის რეალიზაციის პროცესში ერეკლემ ბევრი მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. უმთავრესი ამ შეცდომათაგან იყო შემდეგი, ერეკლემ, პრაქტიკულად უარი თქვა პროირანულ და პრორუსულ ორიენტაციებს შორის ლავირებაზე და ქართლ-კახეთის ხსნა მხოლოდ პრორუსულ ორიენტაციას დაუკავშირა. ეს იყო ის, რაზეც ოცნებობდა რუსეთის საიმპერატორო კარი, რუსული დიპლომატია. 1771 წლიდან 1783 წლამდე რუსეთის იმპერიას თითიც არ გაუნძრევია ქართლ-კახეთის დასაცავად. ამის მიუხედავად, ერეკლე II-ს ერთხელაც არ უგრძნობინებია ეკატერინე II-თვის, რომ თუ რუსეთი ქართლ-კახეთს არ დაიცავდა, იგი იძულებული გახდებოდა პოლიტიკური ორიენტაცია შეეცვალა. პირიქით, 1783 წელს ქართლ-კახეთი ყოველმხრივ კომპრომეტირებული რუსეთის მფარველობაში შევიდა და ისედაც შეშფოთებული მუსლიმური სამყარო საბოლოოდ აიმხედრა.

ერეკლეს არც გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) დადების შემდეგ გამოუჩენია სიფრთხილე. პირიქით, გეორგიევსკის ტრაქტატი ერეკლემ თავის დამსახურებად მიიჩნია და რუსეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება გადაწყვიტა. რუსეთი ერეკლე II-ის გეგმებს მოჩვენებითი ყურადღებით ეპყრობოდა, რაც ქართლ-კახეთის მეფეს დამატებით სტიმულს აძლევდა. ერეკლეს მისწრაფება, რუსეთი რაც შეიძლება მალე შემოსულიყო კავკასიაში, შეუმჩნეველი არ რჩებოდა ირანსა და ოსმალეთს. ორივე ისლამური სახელმწიფო ქართლ-კახეთის დასასჯელად ემზადებოდა.

ირანი და ოსმალეთი მხოლოდ შესაფერის დროს ელოდნენ. მალე ცხადი გახდა, რომ რუსეთის იმპერია გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების შესრულებაზე არც კი ფიქრობდა. 1786 წელს ერეკლემ პრორუსული ორიენტაციის შეცვლა გადაწყვიტა, მაგრამ ბოლოს თავი შეიკავა. 1783-1795 წლებში რუსეთმა მრავალგზის დაადასტურა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებს არ დაიცავდა. ერეკლემ არც ეს გაითვალისწინა და ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობის მოგვარება არ სცადა. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის სატელიტად იქცა, რაც ძალზე აღიზიანებდა ირანსა და ოსმალეთს. 1783-1795 წლებში ერეკლე II-ის დამღუპველი პოლიტიკური კურსი ასე შეიძლება განისაზღვროს: **სრული კაპიტულაცია რუსეთის წინაშე, სრული იზოლაცია ისლამური სამყაროდან (ირანიდან, ოსმალეთიდან)**. აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობა (1795 წ.) იყო ისლამური სამყაროს პასუხი ერეკლეს პრორუსულ პოლიტიკაზე. 1795 წლის შემდეგ ერეკლე ქვეყანას პრაქტიკულად აღარ განაგებდა (დარჩენილი სიცოცხლე მან თელავში გაატარა, თბილისში აღარ დაბრუნებულა). 1795 წლის სექტემბრიდან (კრწანისის ბრძოლიდან) 1798 წლის იანვრამდე (ერეკლეს გარდაცვალებამდე) ქართლ-კახეთი, ფაქტობრივად, ერთი ცენტრიდან აღარ იმართებოდა, აღარ ფუნქციონირებდა არც ერთი სახელმწიფო ინსტიტუტი. აღა-მაჰმად-ხანის მოულოდნელმა მკვლელობამ იხსნა ქართლ-კახეთი მეორე გამადგურებელი ლაშქრობისაგან, რომლის დამღუპველი შედეგების წარმოდგენა ძნელი არ უნდა იყოს. გიორგი XII-ს (1798-1800) არანაირი საშინაო და საგარეო პოლიტიკა არ გააჩნდა. ქართლ-კახეთს რუსი რეზიდენტები (დიპლომატები და სამხედროები) მართავდნენ.

თუ შევადარებთ ერთმანეთს ირანის პოლიტიკას ქართლ-კახეთში 1744-1769 წლებში და რუსეთის პოლიტიკას ქართლ-კახეთში 1770-1801 წლებში, ნათელი გახდება:

**პირველი.** პროირანული ორიენტაციის (1744-1769 წწ.) ქართლ-კახეთი წელში გაიმართა, განმტკიცდა მეფის ხელისუფლება, დაითრგუნა თავადური ოპოზიცია. პრორუსული ორიენტაციის პერიოდში (1770-1801 წწ.) ქართლ-კახეთში დასუსტდა სამეფო ხელისუფლება, კვლავ იმძლავრა თავადურმა ოპოზიციამ, მოიშალა ისედაც სუსტი ეკონომიკა, დასუსტდა ჯარი, სახელმწიფო ინსტიტუტებმა, პრაქტიკულად, შეწყვიტეს ფუნქციონირება.

**მეორე.** პროირანული ორიენტაციის პერიოდში ქართლ-კახეთს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა ირანთან და ოსმალეთთან, ვერ მოგვარდა ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის მთიელებთან.

პრორუსული ორიენტაციის პერიოდში უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა ირანთან და ოსმალეთთან, კვლავ გრძელდებოდა ჩრდილო კავკასიის მთიელთა გამანადგურებელი თავდასხმები.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ბუნებრივად ისმის კითხვა: რამდენად რეალური იყო პროირანული ორიენტაციის გაგრძელება? ვფიქრობთ, რომ პროირანული ორიენტაციის გაგრძელება სავსებით რეალური იყო! ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს:

**პირველი.** ერელკე II-ს ირანის ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ირანულ სახანოებთან ურთიერთობის მოგვარების დიდი გამოცდილება ჰქონდა (რუსეთის საიმპერატორო კარსა და რუსეთის სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის გამოცდილება ერეკლეს არ გააჩნდა და იგი მხოლოდ გამოუცდელი ელჩების იმედად იყო);

**მეორე.** ერეკლე II ფლობდა დიდ ინფორმაციას ირანში, ოსმალეთსა და საერთოდ მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების თაობაზე (რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში მიმდინარე მოვლენების თაობაზე ერეკლეს ძალზე მწირი ინფორმაცია ჰქონდა).

**მესამე.** კავკასიის მთავარი ქედის, კასპიისპირეთისა და ჩრდილო შავიზღვისპირეთის მიმართულებით რუსეთის გააქტიურების პირობებში ირანისა და ოსმალეთისათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდებოდა პროირანულ ორიენტაციაზე მდგარი ქართლ-კახეთის სამეფო (პრორუსული ქართლ-კახეთის სამეფო სულ უფრო საშიში ხდებოდა ირანისა და ოსმალეთისათვის).

**მეოთხე.** პროირანული ორიენტაციის ქართლ-კახეთს ჰქონდა შანსი ირანისა და ოსმალეთის მხარდაჭერით მოეგვარებინა ურთიერთობა ისლამის აღმსარებელ ჩრდილო კავკასიის მთიელებთან (პრორუსული ორიენტაციის ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ირანი და ოსმალეთი მუდამ ეფექტიანად გამოიყენებდა ისლამის აღმსარებელ ჩრდილო კავკასიის მთიელებს).

**მეხუთე.** პროირანული ორიენტაციის ქართლ-კახეთის სამეფო სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ფორპოსტად ვერ გამოდგებოდა და რუსეთის იმპერიას კავკასიის (ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის) დაპყრობის დაწყება ჩრდილო კავკასიის მთისწინეთიდან მოუწევდა (პრორუსული ორიენტაციის ქართლ-კახეთის სამეფომ რუსეთის იმპერიას საშუალება მისცა ჯერ სამხრეთ კავკასიაში დამ-



რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I

კვიდრებულიყო და შემდეგ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ერთდროულად დაეწყო ჩრდილო კავკასიის დაპყრობა).

**მეექვსე.** დაკნინების, სამხედრო-პოლიტიკური დასუსტების გზაზე დამდგარი, პრაქტიკულად დაშლილი ირანი, ასევე დაღმავლობის გზით მიმავალი ოსმალეთი, გაცილებით ნაკლებად საშიში იყო, ვიდრე ნაპოლეონის მძლეველი, ოსმალეთზე,და ირანზე მრავალგზის გამარჯვებული, „ევროპის ჟანდარმად“ წოდებული რუსეთი.

**მეშვიდე.** ირანი და ოსმალეთი მუსლიმური ქვეყნები იყვნენ, რუსეთი — მართლმადიდებლური. თუ ობიექტურად შევაფასებთ ჩვენს ისტორიას, შეიძლება დავასკვნათ: 1801-1917 წლებში რუსეთმა გაცილებით დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკლესიას, ვიდრე ირანმა და ოსმალეთმა ერთად XVI-XVIII საუკუნეებში. ისლამმა ქრისტიანობაზე ვერ იმძლავრა. ეროვნებისა და მართლმადიდებლობის დაცვას უზრუნველყოფდა სამეფო ხელისუფლება (მეფე) და ეკლესია (კათოლიკოს-პატრიარქი). ამიტომ იყო, რომ ქართველთა გამაჰმადიანება მოხდა მხოლოდ საქართველოდან ჩამოცილებულ და ირანთან და ოსმალეთთან უშუალოდ შეერთებულ რაიონებში (ჭარ-ბელაქანში, სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში). ერთმორწმუნე რუსეთმა გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მიიტაცა საქართველოს ეკლესიის კუთვნილი უძრავი და მოძრავი ქონება, გაძარცვა ეკლესია-მონასტრები, აკრძალა ქართულ ენაზე ღვთისმსახურება, შეავიწროვა ქართველი სამღვდელოება. მსგავსი რამ არც ირანსა და არც ოსმალეთს XVI-XVIII საუკუნეებში არ ჩაუდენია.

**მერვე.** ისლამურ სახელმწიფოთა გავლენის ქვეშ მოქცევა, ცხადია, ეროვნული და ეკლესიური თვალსაზრისით, დიდ საფრთხეს შეიცავდა. ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ პროირანული და პროოსმალური ორიენტაცია აუცილებლად დაგვაკარგვინებდა ენას, ეროვნებას, სახელმწიფოებრიობასა და მართლმადიდებლობას. ოსმალეთის ხანგრძლივი ბატონობის პერიოდში ბალკანეთის ხალხების ნაწილში ისლამი გავრცელდა, მაგრამ ოსმალებმა, ეროვნება და რელიგია ვერ დააკარგვინეს ბერძნებს, სერბებს, რუმინელებს, ბულგარელებს. ქართველები რატომ ვიქნებოდით გამონაკლისი? ჩვენ ხომ ეროვნების, სახელწიფოებრიობისა და ეკლესიის შენარჩუნებისთვის ბრძოლის დიდი გამოცდილება გვქონდა!

ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოებრიობისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გადარჩენა-არგადარჩენას ქართველობის სულიერი და ფიზიკური სიმტკიცის და გამძლეობის გარდა განსაზღვრავდა საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარება, დიდი იმპერიების პერმანენტული კვლომისა და აღორძინების პროცესი.

**ვახტანგ გურული,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 110-112.**

№ 113. სამშაბათი, 19 ივნისი, 2007 წელი.

# პრობლემა

საკვები პროდუქტები ორი წელია არ კონტროლდება. სავალალოა, რომ კიდევ ორი წელი არაფერი გვეცოდინება. ადამიანის ჯანმრთელობა კი არ იცდის და, თუ ასე გაგრძელდა, ძალიან მალე ცუდად შეგვახსენებს თავს



**ვალუტა**

***ასარჩევადა მაქვს საქმე? — იკითხავს პილპილმოყრილი ყოფით პირდამწვარი ქართველი და ხმამაღლა თუ არა, გულში მაინც გვარიანად შეიკურთხებს. მერე გააგრძელებს: ამ მთავრობის ხელში ნეტა იმდენი ლარი მომცა, როგორმე დენის, გაზის, წყლის, ნაგვის გადასახადი გავისტუმრო, რაღაც გროშები გადავანარჩუნო და სტომაქი რითიმე ამოვივსო.***

***ეს რეალობაა, მართალია, მწარე, მაგრამ მაინც რეალობა, რომელშიც საზოგადოების უდიდეს უმრავლესობას უწევს ძალუმადური ცხოვრება. მაგრამ ამ უმრავლესობის გვერდით ხომ არსებობს უმცირესობაც — ფულიანი, ჯიბეგაძეძგილი უმცირესობა, რომელმაც აღარ იცის, სად წაიღოს ამდენი „დანაზოგი“ — ადგილობრივ ბანკებში თუ უცხოურში, თანაც, რომელი ვალუტა აირჩიოს — ლარი, დოლარი თუ ევრო?***

## ლარი ძლიერდება, ჩვენ კი გვასუსტებს

### რომელი ჯობს — ლარი, დოლარი თუ ევრო?

ზემოთ დასმული კითხვა, რა თქმა უნდა, სწორედ ამ ფულით ჯიბეგაძეძგილ უმცირესობას ეხება, თუმცა, საეჭვოა, მას ამ პაროზლემის გადასაჭრელად ჩვენი თანადგომა და დახმარება დასჭირდეს — კაცი, რომელმაც ღატაკ ქვეყანას ამდენი თანხა ამოძაჩა, როგორმე ვალუტის შერჩევასაც მოახერხებს და ინფლაციასაც ლაზათიანად გაუმკლავდება.

მაგრამ რა ქნას ღარიბ-ღატაკმა, რომელსაც არც ბუნება ინდობს — ადიდებული მდინარე ბინაში უვარდება, ერთიანად უნადგურებს წლის მოსავალს, ქარბორბალა სტაცებს სახლის სახურავს და არც ბაზარი ინდობს, სადაც ფასები ყოველდღიურად ზევით-ზევით მიიწევს, ინფლაცია შეუბრალებლად ღრღნის და აცამტვერებს მის მიერ ლუკმა პურის მოსაპოვებლად შეგროვილ უკანასკნელ გროშებს.

სურათს განგებ ხომ არ ვამუქებთ? რაში გვჭირდება, როცა ოფიციალური სტატისტიკა ისედაც შავბნელად გამოიყურება: მისი მონაცემებით, წლის დასაწყისიდან ქვეყანაში სამომხმარებლო ფასებმა 11 პროცენტით მოიმატა. ეს ოფიციალურად, რეალურად კი ინფლაციის დონე ამ მაჩვენებელს თითქმის ორჯერ აღემატება. ბოლო კვირაში ფასები გაიზარდა არასასურსათო საქონელზეც, გაძვირდა ბენზინი. პროდუქტების გაძვირებასთან ერთად საგრძნობლად მოიმატა მომსახურების ფასებმაც, თუ 2003 წელს ქვეყანაში ინფლაცია 7 პროცენტის ტოლი იყო, წლეულს პირველ კვარტალში მან უკვე 11 პროცენტი შეადგინა.

ექსპერტთა პროგნოზით თვის ბოლომდე ეს ნიშნული კიდევ უფრო აიწევს, რადგან მოსახლეობასა და სამეწარმეო სექტორს ივნისში გაზის საფასურის გადახდა გაზრდილი ტარიფით უწევს.

ასეთ დროს, როცა ქვეყანაში ტარიფების პერმანენტული ზრდისა თუ კიდევ სხვა მიზეზთა გამო ინფლაცია ნაპირიდან გადმოვარდნილი მდინარესავით ლეკავს ისედაც გაღატაკებული ხალხის ეკონომიკურ შესაძლებლობებს, როგორ ფიქრობთ, გონიერმა ხელისუფლებამ რა უნდა ილონოს? პასუხი მარტივია — ფისკალურ ზეწოლას უნდა მოეშვას და სამთავრობო ხარჯების ზრდის ჯიბე დროებით მაინც ამოიკეროს.

მაგრამ რომ არ ეშვება? ვთქვათ, მთავრობამ თავად ვერ განჭვრიტა, ასეთ მძიმე ვითარებაში როგორ მოიქცეს, მაგრამ როცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ ხარჯების შემცირება ურჩია, ამან კი ბიუჯეტში შეტანილი ბოლო ცვლილებით ხარჯვითი ნაწილი 663 მილიონით გაზარდა, რა შეიძლება ვუწოდოთ მის ასეთ მოქმედებას — ღალატი თუ დანაშაული? ალბათ, ორივე ერთად.

ასეთ შეფასებაში გადამეტებული, რომ არაფერია, ამის უტყუარი დასტური ქვეყნის მოსახლეობის გამწარებული ყოფა და ცეცხლმოკიდებული სამომხმარებლო ბაზარია, სადაც ეროვნულ ლართან ერთად

**მიწისძვრა ჩვენს სულებში**

## სააკაშვილის მთავრობა სხვა ქვეყნის სოფლის მეურნეობაზე ზრუნავს, საკუთარზე კი — არა!

**ჩვენს საწყალ გლეხობას კიდევ ერთი უბედურება დაატყდება თავს. ბოლო დროს თურქეთის ხელისუფლებასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, დაუბეგრავად შემოვა თურქული სოფლის მეურნეობის პროდუქცია საქართველოში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფასის სიმცირის გამო, თურქული პროდუქტები დღემდეც საკმაოდ დიდ კონკურენციას უწევდა ადგილობრივი წარმოების საქონელს, მდგომარეობა ნამდვილად არასახარბიელოა. თურქული სურსათის ოპონენტების მტკიცება, თითქოს ის უხარისხო და გენმოდიფიცირებულია, მხოლოდ ჰიპოთეზაა და დადასტურება სჭირდება.**

ასევე დასაზუსტებელია ჩვენში მოძალებული ჩინური წარმოების საკვების მავნებლობის საკითხიც. ამას წინათ, მედიაში ითქვა იმის შესახებ, რომ მართალია, ამერიკას არ სურს ჩინეთთან ურთიერთობის გაფუჭება, მაგრამ თავის ქვეყანაში აუკრძალავს ჩინური საკვები, წამლები და კოსმეტიკაც კი, მათი დაბალი ხარისხის გამო. აშშ ის ქვეყანაა, რომელთანაც სადაო საკითხის ოფიციალურად დადასტურება შეუძლია. აი, საქართველოში კი, რადგან საკვების ხარისხი არ მოწმდება, არ არის არც ერთი პასუხისმგებელი ინსტიტუტი თუ ლაბორატორია, რომელიც რაიმე მსგავს ინფორმაციას ფლობდეს არა ვარაუდის, არამედ კვლევით დადგენილი ანალიზის საფუძველზე.

მთავრობის გადაწყვეტილებით 2009 წლამდე საკვების უვნებლობის კონტროლი შეჩერებულია.

უკვე ორი წელია, რაც სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გადაკეთდა და სახელმწიფოსაგან აღარ ფინანსდება. ამ ბოლო ორი წლის მანძილზე კვების უვნებლობის მხრივ რა მდგომარეობაა, არავინ იცის.

კვების განყოფილების გამგის გულიკო დვალის თქმით, იქამდე, სანამ შპს გადაკეთდებოდა, სანიტარიული სამსახური თუ რეგულარულად არა, პერიოდულად მაინც ამოწმებდა სურსათსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. დღეს კი ამ საკითხით სახელმწიფო არაა დაინტერესებული, ხოლო შპს-დ ქცეულ ორგანიზაციებს კვლევისთვის საჭირო სახსრები არ გააჩნიათ. თუ არ დაგვიკვეთეს ან ადგილობრივმა ან საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ჩვენი ინიციატივით ანალიზს ვერ ვაწარმოებთ, — ამბობენ სანიტარიულ ინსტიტუტში, თანაც 10-15 წელია ლაბორატორიის აპარატურა არ განახლებულა.

მართალია, ყველა შემოტანილ პროდუქციას სერთიფიკატი მოჰყვება, მაგრამ ამასთანავე აუცილებელია ხდებოდეს ადგილზე გადამოწმება. ჩვენში ამას ინსტიტუტების ნაცვლად ზოგიერთი მყიდველი აკეთებს (!ძ. ისიც შენახვის ვადასა და ქიმიურ შემადგენლობას თუ გადაავლებს თვალს, თორემ სხვა რა შეუძლია.

საკვები და მისი უვნებლობა კი საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია. როგორც ადრე ვწერდით, სწორედ ჯანსაღ კვებაზეა დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობა. განსაკუთრებით, კვება დიდ ზეგავლენას ახდენს გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიურ დაავადებებზე, იოდდეფიციტსა და რკინადეფიციტურ ანემიებზე.

როგორც ქალბატონი გულიკო დვალი აღნიშნავს, საკვები, ჯერ ერთი, ბუნებრივად შეიცავს ორგანიზმისთვის მავნე ელემენტებსა და შხამებს. გაფილტვრა ტექნოლოგიურ პროცესებზეა დამოკიდებული. მნიშვნელობა აქვს ხარშვის რეჟიმს, მაგრამ განსაკუთრებით საშიშია, როცა საკვები უცხო დანამატებს — ემულგატორებს შეიცავს. ამ ნივთიერებას აუცილებლად იყენებენ კარაქში, მარგარინში, კანფეტებში, სალეჭ რეზინებში და ა.შ. ნორმის ფარგლებში მისი არსებობა დასაშვებია, მაგრამ თუ გადაჭარბებულია, საზიანოა. ასევე საკვები შეიძლება შეიცავდეს მძიმე ლითონებს, რადიაქტიულ ნივთიერებებს, ბაქტერიებს, რასაც აუცილებლად შემოწმება სჭირდება. ეს მავნე ნივთიერებები უცაბედ შედეგს როდი იძლევა, მაგრამ დროთა განმავლობაში ორგანიზმის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

ზაფხულია, დიდია საკვებიდან მიღებული ტოქსიკოზების (ანუ მოწამვლისძრისკი. ხორცი ლაბორატორიებში მოწმდება, ბოსტნეულისა და ხილის შემოწმებას კი დრო სჭირდება (ამ ხნის განმავლობაში შეიძლება დალპეს კიდეცძ ამიტომ სხვა ქვეყნებში არის კონტროლი დაწესებული თვითონ ნიადაგზე. ანუ იკვლევენ, თუ სად იწევენ სოფლის მეურნეობის პროდუქტს, ვინ არის მწარმოებელი, როგორ ხდება შენახვა და ტრანსპორტირება. მსგავსი რამ ჩვენთან, რა თქმა უნდა, არაა. ისლა დაგვრჩენია, დიპლომიანი ინსტრუქტორების ნაცვლად, გლეხის განათლებას მივანდოთ ჩვენი ჯანმრთელობა. გლეხიც უნდა ეცადოს, რაც შეიძლება ნაკლებად მავნებელი მოსავალი მოიყვანოს (!ძ. თუმცა პესტიციდების (შესაწამლი ნივთიერებისძ სიძვირის გამო, სავარაუდოა, რომ ჭარბი რაოდენობის ნიტრატი საკვებში არ იქნება.

ერთი რჩევაც გაგვანდეს სანიტარიულ ინსტიტუტში — რაც მეტი ხინჯი აქვს ხილს თუ ბოსტნეულს, მასში მით უფრო ნაკლები პესტიციდებიაო. ამის თვალით დანახვა შეიძლება, მაგრამ რა ვუყოთ კვერცხს, რომლის შენახვის ვადასა და ვარგისობაზე გამყიდველის „პატიოსან სიტყვას“ უნდა ვენდოთ, როცა გვეუბნება — ახალიაო? თევზიც შესანიშნავი პროდუქტიაო, მაგრამ ვერც თევზის შენახვის ვადებს გავუგეთ რამე.

მდგომარეობა ყურადსაღებია. მთავრობას საკუთარ მეურნეობაზე ფიქრისთვის ჯერ არ სცალია, თურქების ბედი უფრო აღელვებს. საკვები პროდუქტები ორი წელია არ კონტროლდება. სავალალოა, რომ კიდევ ორი წელი არაფერი გვეცოდინება. ადამიანის ჯანმრთელობა კი არ იცდის და, თუ ასე გაგრძელდა, ძალიან მალე ცუდად შეგვახსენებს თავს.

**თეა მოსია**

***P. S. და მაინც, რატომ არ აღელვებს ხელისუფლებას ქართული სოფლის დასამარება?! რატომ ცდილობს ქართული პროდუქტების უცხოურით ჩანაცვლებას?! ესაა „ნაციონალური“ მთავრობა?!***

***თ. მ.***

№ 113. სამშაბათი, 19 ივნისი, 2007 წელი.

# პრობლემა

● ჯანდაბას იმათი დანაკარგი! მათი უმრავლესობა მთავრობასა და პარლამენტშია მოკალათებული და კვლავაც შეძლებს ფულის დაგროვებას. მაგრამ რა ქნას იმან, ვისაც ფული არასდროს ჰქონია და არც ექნება, ვისაც ზაფხულის ხვატში ცივი ლიმონათიც ენატრება?!



## ◉ ვალუტა

ხელისუფლების რეიტინგიც სულ უფრო უფასურდება. თავად ხელისუფლება ისეთ პოზას იჭერს, ვითომც ამას ვერ ხედავდეს და მთელ პასუხისმგებლობას ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წარუმატებლობისთვის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას აკისრებს.

პოზიცია ასეთია: საქართველოში ინფლაციური პროცესები თუ ვერ ითოკება, ეს ეროვნული ბანკის არასწორი პოლიტიკის ბრალია. მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სწორედ ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება გახლავთ. ფასების ზრდის თანამდევი რისკების პროგნოზირება და მასზე დროული რეაგირება არ ხდებაო, — უსაყვედურეს ამას წინათ პარლამენტში ბანკის პრეზიდენტს რომან გოცირიძეს.

თავის გასასამართლებლად, თავის მხრივ, არც ეროვნული ბანკის პრეზიდენტს დასჭირვებია ჯიბეში ხელის ჩაყოფა და საამისოდ საკმაოდ არგუმენტირებული „ალიბი“ მოიშველია: უკანასკნელ პერიოდში საბანკო სექტორი ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე მზარდი და მომგებიანი სფერო გახდა, საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდის უცხოური ინვესტიციები. გარდა იმისა, რომ სწრაფი ტემპით იზრდება საბანკო სისტემა, იგი მკაცრი საბანკო ზედამხედველობის წყალობით, სულ უფრო გამჭვირვალე და სუფთა ხდება, რამაც ქართულ ბანკებს კარგი რეპუტაცია შესძინა და ბევრი უცხოური საფინანსო ჯგუფი დააინტერესა ჩვენს ქვეყანაში საქმიანობის დაწყებით.

ეროვნულმა ბანკმა ბოლო წლებში საკმაოდ დახვეწა ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტები, კერძოდ, უშვებენ ფასიან ქაღალდებს, რითაც ამცირებენ მიმოქცევაში ფულის მასას. ამ გზით — სერტიფიკატებით, ობლიგაციებით და სხვა საშუალებებით საბანკო არხებიდან ამოღებულია 300 მილიონი ლარი, მაგრამ ეს საკმარისი არ არის ინფლაციის გასაბათილებლად. სამწუხაროდ, გაზის ტარიფის გაორმაგება (და არა მარტო ეს ფაქტორიძ იწვევს ფასების ზრდას, რასაც, როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება და მასთან ერთად ეროვნული ბანკი სწორ ეკონომიკურ და ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ვერ უპირისპირებენ.

უფრო ღრმად თუ ჩავიხედავთ ამ პროცესში, ინფლაციის ზრდის და ეროვნული ვალუტის გაუფასურების არსებით მიზეზსაც დავინახავთ, რომლის აშკარად თქმას ჩვენი ხელისუფალნი და ბანკირები რატომღაც გაურბიან. ეს გახლავთ ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ბალავარზე — მეწარმეობის განვითარებაზე ხელის აღება და პრიორიტეტის მომსახურების სფეროზე, ინვესტიციების მოზიდვაზე, გადასახადების ამოღების ადმინისტრირების გამკაცრებაზე (უფრო სწორად, რეკეტზეძ და სხვა ამგვარ ფაქტორებზე გადატანა.

ამის უარმყოფ მაგალითს იძლევიან მსოფლიო ეკონომიკის ამჟამინდელი ლიდერები იაპონია, გერმანია, შვეიცარია და ჩინეთი, რომლებიც სამრეწველო დარგების განვითარებაზე არიან ორიენტირებული და ეროვნული ვალუტების სტაბილურობას ამ გზით ინარჩუნებენ.

ალბათ შემომედავებიან, ჩვენთან ლარი სულ უფრო მყარდება და რანაირად შეიძლება მის არასტაბილურობასა და გაუფასურებაზე ვილაპარაკოთო. უბედურებაც ამაშია, შეხედავ, ლარი დღითი დღე მყარდება, ღონიერდება, „რინგზე“ საქვეყნოდ სახელგანთქმულ ხვლიკისფერ ვალუტას „ნოკაუტით“ უმასპინძლდება, ბაზარში კი დახლქვეშ გოშიასავით შემალულა და კრიჭაშეკრული მომხმარებლისთვის, რომელსაც ამ შუა ზაფხულში სიძვირის გამო ბალი და კიტრიც კი ვერ უყიდია, თვალებში შეხედვისა ერცხვინება. სწორედ ამაზეა ნათქვამი, მტერს გარეთ უბრმავებს თვალებს, მოკეთეს — შიგნითო. ვიდრე ხელისუფლება და ეროვნული ბანკი ხელს არ აიღებენ ლარის ხელოვნურ გამყარებაზე, არც ქვეყანას ეშველება რამე და არც ხალხს.

ვთქვათ პირდაპირ, რატომ გვერიდება: ეს არის ლარის ნომინალური გამყარება, ის მყარდება დოლართან მიმართებაში და არა სამომხმარებლო ბაზართან მიმართებაში, სადაც ეროვნული ვალუტა ყოველდღიურად კარგავს ქულებს. ყველა ხედავს, მწვანე კუპიურა, ამერიკის ეკონომიკური ზრდის შეჩერების ფონზე, როგორ უფასურდება. განვითარებადი ქვეყნების მავრობები დოლარის ასეთ შესუსტებას საკუთარი ვილუტების გასამყარებლად იყენებენ. ასევეა ჩვენთანაც — ეროვნული ბანკი დოლარის გასაჭირს ლარის გამყარებისთვის მორგებულად იყენებს.

რა თქმა უნდა, ლარის ნომინალური გამყარებაც არ არის ცუდი, მაგრამ მისი ასეთი ორსახეობა (ერთდროულად გამყარება და გაუფასურებაძ, ბუნებრივია, იწვევს დიდ გაუგებრობასა და ეროვნული ვალუტისადმი უნდობლობას. წარმოიდგინეთ, იმათ უნდობლობასაც კი, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობის საერთო გასაჭირის ფონზე, ბანკებისთვის დიდი ოდენობის „დანაზოგი“ აქვთ მიბარებული. ხელისუფლების მტკიცების მიუხედავად, ისინი ლარს არცთუ საიმედოდ თვლიან და ფულის ხანგრძლივი დროით შესანახად მაინც უცხოურ ვალუტას არჩევენ — ძირითადად დოლარს და ევროს. დოლარი კი, როგორც ვთქვით, თანდათან უფასურდება და იქმნება საშიშროება, რომ ჩვენი ფულიანი ელიტაც მალე უფულოდ დარჩება(?!)

ჯანდაბას იმათი დანაკარგი! მათი უმრავლესობა მთავრობასა და პარლამენტშია მოკალათებული და კვლავაც შეძლებს ფულის დაგროვებას. მაგრამ რა ქნას იმან, ვისაც ფული არასდროს ჰქონია და არც ექნება, ვისაც ზაფხულის ხვატში ცივი ლიმონათიც ენატრება?!

**ოთარ ხუციშვილი**

## ◉ მხარე

# HJWF CFMVT UB.DFHC888

***დედოფლისწყარო უკიდურესი აღმოსავლეთი რაიონია. ტერიტორიული სიშორე მას უამრავ პრობლემას უქმნის, თუმცა ამ ფაქტორმა ერთგვარი დადებითი როლიც შეასრულა, რადგან აქ ძალზე ბევრი რესურსი დარჩა ასათვისებელი და ის თავისი პერსპექტივით უდავოდ გამოირჩევა სხვა რაიონებისგან. მთავარია, განვითარდეს საწარმოო ინფრასტრუქტურა და დაჩქარდეს ქალაქის კეთილდღეობა. აქ სერიოზული რესურსია ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, სამშენებლო მასალების წარმოება-განვითარების თვალსაზრისით. ბუნებრივი რესურსები იძლევა მარცვლეულის, რძის, ღვინის, წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოების აშენებისა და საინვესტიციო გარემოს შექმნის პერსპექტივას.***

დედოფლისწყარო სასაზღვრო რაიონია და მას ბევრი განსხვავებული პრობლემა აქვს, რომელთა გადაჭრაც სახელმწიფოებრივ მიდგომას საჭიროებს. მანამდე კი, სანამ ჩვენთვისაც იზრუნებენ, დედოფლისწყაროელები თავად ცდილობენ პრობლემების მოგვარებას.

ბოლო წლებში დედოფლისწყაროს მთელი ტერიტორიის მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდება ქრონიკულ პრობლემად იქცა. სოფლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ქალაქ დედოფლისწყაროს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობას თითქმის 20 წელზე მეტია, არ მიეწოდება სასმელი წყალი. ვინც შეძლო, ჭა გათხარა, ვინც ვერა — ბუნებრივი წყაროებიდან ავტომზიდებით შემოტანილ წყალს ყიდულობს. ქალაქის სხვა უბნებს წყალი გრაფიკით მიეწოდება, თუმცა დაზიანებული მილების გამო ყველა ქუჩამდე და მოსახლემდე ვერ აღწევს.

სამიოდე თვის წინათ, როცა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობას ახალი ხელმძღვანელი დავით ლეკიშვილი ჩაუდგა სათავეში, ხალხი დალონდა, აქაურებმა ვერაფერი გაგვიკეთეს და უცხო კაცმა რა უნდა გვარგოსო. თუმცა, ახალ გამგებელს ახალი პრობლემების ძებნა არ დაუწყია. 2007 წლის სამუშაო გეგმაში მაინც უპირველეს პრიორიტეტად მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება, შიდა გზების მოწყობა და ნაგვისგან მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება დაისახა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ადგილობრივ ბიუჯეტში სხვა ლოკალური პრობლემებიც გაითვალისწინა.

ბუნებრივია, წლეულს წყალმომარაგების საკითხი ერთბაშად ვერ გადაწყდება, რადგან მხოლოდ ქალაქის და მიმდებარე ორი სოფლის: წითელწყაროს და ჯაფარიძის წყალმომარაგების სისტემის აღდგენით სამუშაოებს 3 მილიონზე მეტი ლარი სჭირდება. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ამ პროგრამის რამდენიმე ეტაპად, ნაწილ-ნაწილ განხორციელება.

წლეულს წყალმომარაგების სისტემების აღდგენითი სამუშაოები დაიგეგმა სოფლებში: არბოშიკში, ოზაანში, ჯაფარიძეში, ზემო ქედაში, არხილოსკალოსა და სამთაწყაროში. სამუშაოები ივლისში დაიწყება და, სავარაუდოდ, ოქტომბრამდე დასრულდება. ამ მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 150 ათასი ლარი გამოიყო, ხოლო ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შიდაქსელების სამშენებლო სამუშაოებისა და 6000-ტონიანი ავზის რეაბილიტაციისთვის 400 ათასი ლარია გათვალისწინებული. აქედან 300 000 ლარი სახელმწიფო ტრანსფერტია, დანარჩენი — ადგილობრივი ბიუჯეტის თანხები.

ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ უკვე დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები. ქალაქის დანარჩენი უბნების შიდაქსელების სამშენებლო სამუშაოებს მომავალი წლის ბიუჯეტში გაითვალისწინებენ, ასევე ეტაპობრივად არის დაგეგმილი წყალსადენის სამშენებლო სამუშაოების შემდეგ გზების შეკეთება და ასფალტის საფარის დაგება. დაზიანებული გზების შეკეთება დაგეგმილია ზემო მაჩხაანში, არბოშიკში, წითელწყაროში, ჯაფარიძეში, ზემო ქედში, არხილოსკალოსა და ქვემო ქედში; სპორტული დარბაზების და მოედნების შეკეთება გათვალისწინებულია ზემო მაჩხაანში, ოზაანში, ზემო ქედსა და არხილოსკალოში.

უკვე დაიწყო (ზემო მაჩხაანშიძ და გაგრძელდება საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია „მერლინის“ პროექტის ფარგლებში რეაბილიტირებული პირველადი ჯანდაცვის ობიექტების — ამბულატორიების გარე კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოები, რომლებზეც ადგილობრივი ბიუჯეტის თანხები გაიხარჯება.

მუნიციპალიტეტის გამგეობასთან შეიქმნა დასუფთავების სამსახური შპს „სერვისი-2007“, რომელშიც ადგილობრივი კადრი დასაქმდება და მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის ნაგვისგან გაწმენდას უზრუნველყოფს. მალე ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია სპეცტექნიკას შემოიტანს ამ სამსახურისთვის და დაიწყება ქალაქისა და სოფლების ინტენსიური დასუფთავება. იგივე სამსახურის ფუნქციებში შედის სკვერების, პარკების, გარეგანათებისა და სხვა კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულება.

**ანა ბენაშვილი.**
**დედოფლისწყარო.**

## ◉ ინფორმაცია

### კოკოითის პარლამენტს დუმის იმედი აქვს

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე.წ. პარლამენტმა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმას საგანგებო მიმართვა გაუგზავნა.

კოკოითის პარლამენტი რუსეთის დუმისადმი გაგზავნილ მიმართვის დასაწყისში აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის გამო უფრო ნაკლები შანსი რჩება კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისა.

მიმართვაში საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები უმოქმედობაშია დადანაშაულებული და ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მიუხედავად ოსური მხარის მიერ საქართველოს ხელისუფლებისადმი და საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი არაერთი მიმართვისა სიტუაცია კონფლიქტის ზონაში სულ უფრო იძაბება.

საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმულ ყველა ნაბიჯს კოკოითის პარლამენტარები „საქართველოს დანაშაულებრივი და კრიმინალური რეჟიმის მიერ გადადგმულ პროვოკაციულ ნაბიჯებს უწოდებენ“ და რუს პარლამენტარებს შველას სთხოვენ.

ჯი-ეიჩ-ენი

### დევნილებს გასახლება არ ემუქრებათ

აფხაზეთიდან დევნილებს, რომლებიც ქუთაისში, სასტუმრო „ქუთაისში“ თითქმის 15 წელია ცხოვრობენ, სასტუმროდან გასახლების საფრთხე აღარ ემუქრებათ.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრიდან“ იტყობინება, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა დევნილთა ადვოკატის შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც სასტუმროში მცხოვრებ პირთა გასახლება უნდა შეჩერებულიყო.

სასტუმრო „ქუთაისი“, რომელშიც 300-მდე დევნილი ცხოვრობს, 2005 წელს 355 ათას ამერიკულ დოლარად გაიყიდა. მისი მფლობელი შპს „ინტერინვესტი“ გახდა.

სასტუმროში მცხოვრებ დევნილებს შპს „ინტერინვესტის“ წარმომადგენელი თვეების მანძილზე სხვადასხვა გზით აიძულებდა, დაეტოვებინათ საცხოვრებელი. სანაცვლოდ კი, 4500 დოლარს სთავაზობდა. დევნილებისთვის პირობა მიუღებელი აღმოჩნდა, რასაც პერმანენტული საპროტესტო აქციები მოჰყვა, — აღნიშნეს ორგანიზაციაში.

მათივე განმარტებით, „ინტერინვესტს“ კანონის ფარგლებში აეკრძალა დევნილთა გასახლება. ასევე, სარემონტო სამუშაოების შესრულება.

ინტერპრესნიუსი

● ასოციაცია „ჯადოსნურმა ხმებმა“ კიდევ ერთი ლამაზი საღამო აჩუქა პატარებს. ეს საღამო კვირას მუშთაიდის პარკში ჩატარდა. მისი ორგანიზატორები იყვნენ თბილისის მერიის სოციალური დაცვის სამსახური და ანსამბლი „გვირილა“ (რა თქმა უნდა, ასოციაცია „ჯადოსნურ ხმებთან“ ერთად)



◎ თანადგომა

# „მომავლის სახლი მომავალზე ზრუნავს

**ასოციაცია „ჯადოსნურმა ხმებმა“ კიდევ ერთი ლამაზი საღამო აჩუქა პატარებს. ეს საღამო კვირას მუშთაიდის პარკში ჩატარდა. მისი ორგანიზატორები იყვნენ თბილისის მერიის სოციალური დაცვის სამსახური და ანსამბლი „გვირილა“ (რა თქმა უნდა, ასოციაცია „ჯადოსნურ ხმებთან“ ერთად).**

როგორც იმ დღეს შევიტყვეთ, თბილისის მერიის სოციალური დაცვის სამსახურს დაგეგმილი აქვს, გახსნას ბანაკები, სადაც სოციალურად დაუცველი 500 ბავშვი დაისვენებს. მუშთაიდის ბაღში გამართული საღამოზე საზეიმოდ გაიხსნა ბავშვთა და მოზარდთა მუსიკალური ფესტივალი „ზაფხულის რიტმები“. ფესტივალი 3 ივლისს დასრულდება. მხარდამჭერია კომპანია „ნესტლე“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კვირას გამართულმა ღონისძიებამ სიხარული მოუტანა ყველას, ვინც მას დაესწრო: აქ იყვნენ ბავშვთა ქორეოგრაფიული და საესტრადო ანსამბლები, სტუდია „კარუსელის“ ნორჩი აღსაზრდელები.

საღამოს უძღვებოდნენ ირაკლი ნებიერიძე და ნანიკო კოლელიშვილი. „მომავლის სახლის“ აღსაზრდელებმა შეასრულეს როგორც ქართული, ასევე უცხოური სიმღერები. ეს საღამოც, ისევე როგორც ასოციაცია „ჯადოსნური ხმებისა“ და მისი ხელმძღვანელის თამაზ ქაჯაიას ინიციატივით გამართული სხვა ღონისძიებები, საქველმოქმედო ხასიათისა იყო.



გავესაუბრეთ კონცერტის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს:

**ლია კიკნაძე – სრულიად საქართველოს ქალთა კონგრესის პრეზიდენტი, „მომავლის სახლის“ პედაგოგი:**

„მომავლის სახლი“ ჩვენი ორგანიზაციის თაოსნობისა და მხარდაჭერის შედეგად ჩამოყალიბდა. გვყავს ბავშვები, რომლებიც მაშინ მივიღეთ და დავზარდეთ, მაგრამ ახალი კონტინგენტიც შემოგვემატა. საბედნიეროდ, „მომავლის სახლს“ მფარველი და მზრუნველი არასოდეს მოჰკლებია. თავიდან ქალბატონი ნანული შევარდნაძე გვიწევდა დახმარებას, შემდეგ სხვებიც გამოჩნდნენ – ადამიანები, რომლებისთვისაც ამ ბავშვების ბედი სულერთი არ არის.

წელიწადზე მეტია, რაც „ჯადოსნური ხმების“ ხელმძღვანელი თამაზ ქაჯაია მოვიდა ჩვენთან. ის ყველანაირად ცდილობს, ბავშვებს მხარში ამოუდგეს – ხან მის კონცერტებზე გამოჰყავს ჩვენი აღსაზრდელები... ცდილობს, შეძლებისდაგვარად შეუმსუბუქოს დარდი, რომელიც ამ ბავშვებს გულში აქვთ ჩამარხული – ზოგიერთს მშობლები არ ჰყავს, ზოგიერთს ჰყავს, მაგრამ ისინი სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ შვილებს. ისეთი კატეგორიის ბავშვებიც სწავლობენ ჩვენთან, რომლებიც მთელი დღე „მომავლის სახლში“ არიან, საღამოს კი მიჰყავთ მშობლებს, რადგან არა აქვთ ბავშვის მოვლისა და გამოკვების საშუალება...

გვიხარია, რომ ჩვენს შრომას უქმად არ ჩაუვლია: ჩვენი აღსაზრდელები უკვე მოღვაწეობენ სხვადასხვა სფეროში, სწავლობენ საზღვარგარეთ... რომ არა „მომავლის სახლი“, ისინი შეიძლება სულ სხვა გზას დასდგომოდნენ, სულ სხვა მიმართულებით წასულიყო მათი ცხოვრება.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ლიკა კოშელევა, უკვე ყველასათვის ცნობილი მომღერალი, ჩვენი აღზრდილია. მის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩვენმა პედაგოგმა ქეთევან აბზიანიძემ“.

**ერნა წიფურია – ანსამბლ „გვირილას“ ხელმძღვანელი:**

„ჩვენი ანსამბლი მოსწავლეახალგაზრდობის სასახლის ბაზაზე არსებობს. მას მფარველობას უწევს ბავშვთა ფონდი „გვირილა“, თუმცა სხვა ორგანიზაციებიც გვეხმარებიან.

ჩვენი მიზანია, ბავშვებს ჩამოვუყალიბოთ კარგი მუსიკალური გემოვნება. ისინი ყოველგვარ მუსიკას სიხარულით ასრულებენ, თუმცა მიგვაჩნია, რომ ქართველმა ბავშვმა პირველ რიგში ქართული სიმღერა უნდა ისწავლოს. ჩვენი აღზრდილები არიან ანუკი იანვარაშვილი და ნანიკო კოლელიშვილი, რომლებმაც გაიმარჯვეს „წარმატების ფორმულაში“.

მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია ისიც, რომ 1 ივნისს ფილარმონიაში ღონისძიება გავმართეთ, რომელმაც საზოგადოების ყურადღება მიიქცია“...

**თემურ გიორგაძე – ანსამბლ „მარულას“ ხელმძღვანელი“:** ჩვენი ქორეოგრაფიული ანსამბლი უკვე 5 წელია არსებობს ის, ძირითადად 175-ე სკოლის აღსაზრდელებით არის დაკომპლექტებული, თუმცა ანსამბლში მუხიანის სხვა სკოლებიდანაც გვაკითხავენ. ვმონაწილეობთ სხვადასხვა ღონისძიებებში, რამდენიმე გრანპრიც დავიმსახურეთ.

მე თვითონ 10 წელია სუხიშვილებში ვცეკვავ. ვცდილობ, ბავშვებამდე მივიტანო ის ტრადიციები, რომლებიც დანერგეს სუხიშვილებმა და დღეს წარმატებით აგრძელებენ ნინო და ილიკო, გვყავს ნიჭიერი ბავშვები. თუ ისინი გაიზრდებიან, სათანადო დონეს მიაღწევენ, შეიძლება პროფესიონალ მოცეკვავეებად ჩამოყალიბდნენ და ნებისმიერი დიდი ანსამბლი დაამშვენონ. მიმაჩნია, რომ ქართული ქორეოგრაფია სწორი გზით მიდის და მას საიმედო მომავალი ეზრდება“.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

№ 113. სამშაბათი. 19 ივნისი. 2007 წელი.

◎ ერთი ბარათის ისტორია

# „დედა! მუხლმოდრეკით გევედრები, ჩა-მო-დი!“

**საუკუნოობით ასე მოდის, ამაში ახალი არაფერია: ყველა თაობას თავისი წილხვედრი გზა აქვს გავლილი, თავის კუთვნილი ბედ-იღბალი აქვს ნარგუნები, თავისი დროისთვის შესაფერ გარემოში უცხოვრია, თავისი ბედისმწერლის მიერ ნაკარნახევი კანონ-წესით გაუვლია წუთისოფელი.**

პირადად მეც სხვადასხვა ასაკში ჩემთვის „გამოწერილ“ პერიოდების გავლა მომიხდა. როგორც ყველა ღვთისშობილს, მქონდა ცხოვრების უმძიმესი, ასატანი, ჩასაფიქრებელი, გარდამტეხი, სასიამოვნო, სიმწრითმოსილი, იმედიანი, მოულოდნელი პერიოდები...

მოვესწარი ოცდაჩვიდმეტელების ტრაგედიებს, მეორე მსოფლიო ომს, ცივ ომს, სისხლიან თუ უსისხლო რევოლუციებს...

თუმცა, ვატყობ, შორს გავუტიე! ამიტომ, მთავარი სათქმელი:

... ვერაზე, ერთ-ერთი პრესტიჟულ სკოლიდან გამოსული და დღევანდელობის შესაფერ ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონა, სანამ ვერცხლისფერ „ჯიპში“ ჩაჯდებოდა, მეგობარს ყელგამოწვდილით ევედრებოდა:

– მაკო, დამიმესიჯე რა, არ გამიტეხო, სროჩნად დამიმესიჯე!!!

ეტყობა, რაღაც სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი ჰქონდათ გადასაწყვეტი. ეჭვი არ მეპარება, მაკო არ დაალალატებდა მეგობარს! რა არის აქ სახვეწნი: მოიმარჯვე მესამე თაობის მობილური – წკაპ, წკაპ, წკაპ და რამდენიმე წამში გზავნილი ადრესატთანაა.

მანძილს არ აქვს მნიშვნელობა, გინდა ვერიდან ვაკეში დაგირეკავს, გინდა – თბილისიდან მელბურნში.



დედა! მუხლ მოდრეკით გევედრები, ჩა-მო-დი!..
ნუ დამტანჯე, ნუ მომკალი ლოდინით,
ნუთუ ამდენი შებრალება არა გაქვს, და
ამდენად შეგძულდი რომ ერთხელაც არ ჩამოხვედი
მე მითხრეს რომ ნუნა სამსახურში არ არის.
ისეიგი ის აბასთუმანში წავიდა. შენ კი რაღაც
საქმეების გამო არ ჩამოდიხარ, და არ შეგიძლიან
ერთი წუთით ჩამოხვიდე. დედა, გთხოვ როგორც
კი ამ წერილს მიიღებ ჩამოდი, ჩამოდი,
ჩამოდი!... თუმცა შენზე გაბრაზებული
ვარ მაინც გაკოცებ იმდენს რამდენი ცრემლიც
ჩამოდის და ჩამოსვლია ჩემს თვალებს, და რისთვის შენ
თვითონ იცი...

ბედნიერებაა! ეს ყველაფერი კი ეპოქამ, დრომ მოიტანა.

ნეტა მშობლებსაც ასე ხშირხშირად „ემისიჯებიან“ შვილები? აუცილებლად! აბა, ხომ არ გაანერვიულებენ დედ-მამას?

ღმერთმა დამიფაროს, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა მშობლების უპატივცემულობასა და უყურადღებობაში დავადანაშაულო! ეს ცოდვაა, წმიდათაწმიდის შეურაცხყოფა!

„მესიჯებისა“ და „გზავნილების“ გარდა, ძველებურად, წერილებსაც თუ უგზავნიან გამზრდელებს? თბილს, მონატრებისას, ხან – სევდიანს, ხან – იმედიანს.

წერილზე გამახსენდა: ახლახან ჩემი არქივი (ხმამაღლა ნათქვამია, არა?!), გადავათვალიერე და ერთი მომცრო ბარათი მომხვდა თვალში. შემზარავი, შემაძრწუნებელი. ჩვენი წრის მოჭირნახულესა და თავკაცს თამაზ შილაკაძეს ჩავარდნია ხელში, ქსეროქსზე გადაუღია და ყველას ჩამოგვირიგა.

როდესაც იგი ხელახლა გადავიკითხე, კიდევ ერთხელ შეძრულმა ვიფიქრე, რა ბედნიერება იქნებოდა, მაშინაც რომ ჰქონოდათ მობილურები-მეთქი. თუმცა ამ ბარათის ადრესატს მაშინ მას ვინ გამოაყენებინებდა!

აი, ის ბარათიც:

აწ განსვენებული, ყოველმხრივ შემკობილი და ჩვენ წრეში გამორჩეული მანანა მეგრელიძე წერს დედას: **„დედა! მუხლმოდრეკით გევედრები, ჩა-მო-დი!... ნუ დამტანჯე, ნუ მომკალი ლოდინით, ნუთუ ამდენი შებრალება არა გაქვს, და ამდენად შეგძულდი, რომ ერთხელაც არ ჩამოხვედი. მე მითხრეს რომ ნუნა (გამზრდელი – გ.გ.) სამსახურში არ არის. ესე იგი ის აბასთუმანში წავიდა. შენ კი რაღაც საქმეების გამო არ ჩამოდიხარ, და არ შეგიძლიან ერთი წუთით ჩამომხედო. დედა, გთხოვ, როგორც კი ამ წერილს მიიღებ, ჩამოდი, ჩამოდი, ჩამოდი!.. თუმცა შენზე გაბრაზებული ვარ, მაინც გაკოცებ იმდენს რამდენი ცრემლიც ჩამოდის და ჩამოსვლია ჩემს თვალებს, და რისთვის შენ, თვითონ იცი...“**

ამას წერს რვა წლის გოგონა 1937 წელს შორეულში გადასახლებულ დედას!

**გურამ გომართელი**

*P. S. ქალბატონმა ცუცამ შეუსრულა შვილს თხოვნა – გადასახლებიდან ჩამოვიდა, მაგრამ „ცოტა“ მოგვიანებით – ოცი (!) წლის შემდეგ!*

*გ. გ.*

# დღეს

● აუცილებელზე აუცილებელია ამ უნიკალური გამოცემით ჩვენი ბიზნესმენები, განსაკუთრებით მეღვინე-ბიზნესმენები დაინტერესდნენ




## მოულოდნელი რაკურსით

*სასიამოვნო მოულოდნელობისგან ელდა მეცა...*

*მართლაც ამოუცნობი ყოფილა ადამიანის ფენომენი. რას არ მოიფიქრებს და შექმნის ის. მით უფრო, თუ ნიჭიერი და მაძიებელია.*

*...ვფურცლავ „ქართული კერძების“ („ქართული სამზარეულოს“) ამ უზადო გამოცემას — ლაკონური ტექსტებით და მიმზიდველი, ბუნებრივი ფერებით დასურათხატებულს, ევროპული დიზაინით აკინძულს, საოჯახო ალბომივით ძვირფას კრებულს და მას სულის დამამშვიდებელ პოეზიას ვუწოდებ.*

*ორმაგად მსიამოვნებს, რომ ამ წიგნის შექმნის ინიციატორი და სულისჩამდგმელი ცნობილი ჟურნალისტი და წლების განმავლობაში საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე ჯერჯერობით გაუნმეორებელი საავტორო გადაცემის — „ენერგიის“ წამყვანი მერაბ ბერაძე გახლავთ.*

# „გემრიელი“ წიგნი, რომლის მსგავსი იშვიათია

ეგზოტ პოპულარული „ენერგიის“ ენერგიული ავტორი ხუმარსიტყვის ჯადოქარიც რომ არის, კარგა ხანია ვიცი, მაგრამ რას წარმოვიდგენდი თუ „მოცალეობის ჟამს“ საკუთარ ძირძველ მეღვინე-ტექნოლოგის კაცურ პროფესიასაც ჯეროვნად უხდიდა ხარკს და... კარგ ღვინოზე მისაყოლებელი ქართული კერძების საუკეთესო რეცეპტებს საგულდაგულოდ ეძიებდა.

რამდენიმე წლის წინათ მერაბ ბერაძემ „ქართული სამზარეულო“ მშობლიურ ენაზე გამოსცა, მერე — რუსულად, ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად, ესპანურად.

დღეს ჩვენს გაზეთში წარმოდგენილი კრებული ქართულ-თურქულია.

**გონიერი მკითხველი იმთავითვე მიხვდება, რომ ეს არ არის მარტოოდენ ქართული კულინარიის თურქულ ენაზე წარმოჩენის სურვილი. აგრერიგად მიმზიდველი წიგნის შემდგენლის თვალთახედვით ეს არის ორი მეზობელი და მრავალსაუკუნოვანი ისტორიით ურთიერთგადაჯაჭვული ერის თბილი, მეგობრული, გნებავთ სულიერი დამოკიდებულების გაღრმავებისთვის შექმნილი კრებული, თურქეთში მცხოვრებ მილიონობით ქართველთან, მათ ოჯახებთან, მომავალ თაობებთან ჯანსაღი, პატრიოტული დამოკიდებულების სიმბოლო.**

საუკუნეების წინათ ქართველმა კაცმა აღმოსავლური (უფრო მეტად თურქული, სპარსული, არაბული) წარმომავლობის კერძებს — ქაბაბს, ყაურმას, ჩალაღაჯს, ჩიხირთმას, ხაშლამას და სხვებს სახელი არ შეუცვალა და ამით კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი ტოლერანტული ბუნება-ხასიათი.

ქართველი კაცი იმასაც ყოველთვის ამბობს, რომ აჯიკა აფხაზურია, ხაჭიძგინა — ოსური! ორივე ერთად კი დიდი ხანია ქართული სამზარეულოს ნაწილი გახდა.

თურქეთში მცხოვრები გურჯები დღეს გულითადად გვთხოვენ რაც შეიძლება მეტი „დედაენა“ გავუგზავნოთ. რა თქმა უნდა, თურქეთის მოქალაქე მუსულმან ქართველებს, მერაბ ბერაძის შედგენილი კრებულის დახმარებით, სასურველი და მონატრებული კერძების რეცეპტითაც შეეძლებათ დედაენის მადლს ჩაწვდნენ.

ამიტომაც ვამბობთ, რომ ეს კრებული მარტოოდენ კულინარიის დამხმარე სახელმძღვანელო არ არის.

მალე წიგნი გამოვა სპარსულად, იტალიურად, ებრაულად, არაბულად, აფხაზურად, ოსურად... **ამიტომაც, აუცილებელზე აუცილებელია ამ უნიკალური გამოცემით ჩვენი ბიზნესმენები, განსაკუთრებით მეღვინე-ბიზნესმენები დაინტერესდნენ.**

ქართველი ხალხი ხომ სუფრის უძველესი კულტურით გამოირჩევა, უფრო ზუსტად, ქართული სუფრა ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილია და დღესაც, სახელმწიფო ჩინოვნიკების, ბიზნესის წარმომადგენლების მეგობრული თუ საქმიანი (საბიზნესოძ შეხვედრა მდიდარი ქართული ვაშხმით მთავრდება...

დარწმუნებული ვარ მერაბ ბერაძის ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ცალკეული სამინისტროები (განსაკუთრებით, კულტურის, განათლებისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებიძ დაინტერესდებიან და თბილისის, ბათუმის, ფოთის, ქუთაისის მერიებიც. მათ ხომ ძალიან ხშირად სჭირდებათ რაღაც ქართული, კოლორიტული სასაჩუქრო გამოცემები. „ქართული სამზარეულოს“ პირველი, სასიგნალო ეგზემპლარები სწორედ ასეთია.

სასიგნალო ეგზემპლარები ვახსენეთ. გასაგები მიზეზების გამო, ბატონ მერაბ ბერაძეს იმის ფინანსური საშუალება არა აქვს, რომ ეს თვალხატულა კრებულები ათეულ ათასობით გამოსცეს. ეგრეთ წოდებულ ცარცის ქაღალდზე ფერადი ბეჭდვა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. რომ არა გამომცემლობა „საქართველოს მაცნეს“ (დირექტორი **ლევან ფოფხაძე**ძ შემოქმედებითი და ტექნიკური პერსონალის დიდი მონდომება, ეს კრებული (კრებულები!ძ დღის სინათლეს ვერ იხილავდა.

**ერთი საინტერესო დეტალი: ახლახან წამებით მოკლული უკეთილშობილესი კაცი და ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის თავგანწირული ქველმოქმედი ზვიად ცეცხლაძე გახარებული იყო მერაბ ბერაძის ბოლო კრებულის თურქულ ენაზე გამოცემის იდეით. სამწუხაროდ, მან ვერ მოასწრო წიგნის შემდგენლისთვის ხელშეწყობა და მეზობელ თურქეთში დანაპირები ათასობით ეგზემპლარის გავრცელება. ჩვენ ვიცით, რომ ზვიად ცეცხლაძის მეგობრები მისი სახელის უკვდავსაყოფად სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებენ. კარგზე კარგი იქნება თუ ეს კრებული მის ხსოვნას მიეძღვნება. ამით ქველმოქმედი კაცის ოჯახიც ერთობ კმაყოფილი დარჩება.**

ამ წინადადებაში არის რაღაც ამაღლებული, სუფთა და ადამიანური.

სხვათა შორის, კრებულის სოლიდური ტირაჟით გამოცემის შემთხვევაში, ნებისმიერი ბიზნესმენი, რა თქმა უნდა, შემდგენელთან შეთანხმებით, სერიოზულ ფინანსურ მოგებასაც ნახავს.

წიგნის მხატვარია **გოგი ავსაჯანიშვილი,** ფოტოების ავტორი— **იური მეჩითოვი.**

**სპარტაკ ქობულია**

*P. S. კინაღამ დამავიწყდა, — კარგა ხანია რუსეთის ტელეარხებზე ტრიალებს რეკლამა: მიირთვით მწვადი, გოჭი და ტაბაკა ფანტასტიკურ რუსულ ტყემალთან ერთად! თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ტყემალი, რომლისგანაც საწებელი მზადდება, მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში მოდის და არსად სხვაგან, მაშინ ამ კულინარიულ ვირეშმაკობას კომენტარი აღარ სჭირდება. აი, თუნდაც ამიტომ უნდა გავრცელდეს ეს წიგნი ფართოდ.*

*ს. ქ.*

№ 113. სამშაბათი, 19 ივნისი, 2007 წელი.

## ფორუმი

# პირველი პური კუტი არ გამოსულა

**მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტში (მასკიძ ჩატარდა სტუდენტთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია „სტუდენტური ინოვაციები — 2007“. პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით ცხელი გამოცდების დღეების წინ მოწყობილი ეს ღონისძიება სასწავლო წლის შემაჯამებელიც აღმოჩნდა გარკვეული აზრით და როგორც ჩანს, ყოველწლიურად, მაშასადამე, ტრადიციული გახდება.**

კონფერენციის სახელწოდება სიმბოლურია, რამდენადაც სამხრეთ კავკასიაში მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ერთადერთი ინსტიტუტის შექმნის თვით იდეა იყო ახალი, რაც რამდენიმე წლის წინათ მარჯვედ განახორციელა „მასკის“ რექტორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ვლადიმერ ჭელიძემ თანამოაზრეებთან ერთად.

ახლა მასკის სასწავლო პროცესში ჩაბმული არიან ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ექსპერტები, თბილისის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები და ლექტორები. საგულისხმოა, რომ შარშანდელ სასწავლო წელს მასკის800-მდე სტუდენტმა დაუკავშირა პროფესიული ბედი.

ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანატმა ჩაიფიქრა სტუდენტებთან ერთად მოძრაობის წამოწყება სანიმუშო წესრიგისა და მაღალი აკადემიური წარმატებისათვის. კონფერენციის მოწყობა ამ იდეის რეალიზების ერთ-ერთი გამოვლენა უნდა ყოფილიყო, რაც მოიწონა კიდეც მასკის ხელმძღვანელობამ.

ერთგვარი ეჭვი — ნაადრევი ხომ არ იქნებოდა ასეთ ფორუმში პირველკურსელთა მონაწილეობა, არ გამართლდა. სწორედ ისინი აღმოჩნდნენ მეტწილად მომხსენებლები.

ეკონომიკის, ტურიზმის, მათემატიკისა და ფილოსოფიის ოთხ სექციაში ივნისის თაკარა დღეს პირთამდე სავსე დარბაზმა 15 მოხსენება მოისმინა.

კარგი მომზადება გამოავლინეს პროფესორების მზია ნოზაძის, მერაბ ვანიშვილის (ეკონომიკის სექციაძ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის თამაზ ებანოიძის (მათემატიკის სექციაძ, კოტე აბულაძის, თამარ ჭიჭინაძის, ნიკო კვარაცხელიას (ტურიზმის სექციაძ, რევაზ ბალანჩივაძის (ფილოსოფიის სექციაძ ხელმძღვანელობით მომუშავე სტუდენტებმა.

სპეციალურმა ჟიურიმ შერჩეული საუკეთესო ნამუშევრები I, II და III ხარისხის სიგელებითა და 100-ლარიანი პრემიებით დააჯილდოვა. ასე აიღო რამდენიმე სტუდენტმა პირველი მოკრძალებული „ხელფასი“.

...კონფერენციის გახსნისას რექტორმა იმედი გამოთქვა, რომ ის მკაფიო კვალს დასტოვებდა მონაწილეთა ცნობიერებაში. — ოღონდ ამას ტაშით ნუ გამოხატავთ, ეს ხომ საზეიმო ღონისძიება არ არისო, — ნახევრადხუმრობით ითხოვა. გაგონილა, გამოსვლებით გამოწვეული მოწონების ტაშისცემა არაერთგზის გაისმა. ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანს კოტე აბულაძეს შეეძლო ეს აპლოდისმენტები ფორუმის მოსამზადებლად გაწეული მუშაობის ჯილდოდაც აღექვა...

**ლუკა გორგაძე**

## SIC!

# თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სიჯიუტე კრახით დასრულდა

**ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის მხრიდან არასამთავრობო სექტორისა თუ მედიასაშუალებებით საჯარო ინფორმაციის დაბლოკვა ბოლო დროს ტრადიციად იქცა, რაც, დაგვეთანხმებით, დემოკრატიული ქვეყნის პრინციპებს ბევრად სცილდება. სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ ქვეყანაში ვითარების გამოსასწორებლად არ არსებობს პოლიტიკური ნება.**

ამასწინათ, არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს განცხადებით მიმართა და საჯარო ინფორმაცია მოითხოვა. არასამთავრობო ორგანიზაციას 2006-2007 წლებში თბილისში მიმდინარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია ესაჭიროებოდა. აღსანიშნავია, რომ თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა კატეგორიული უარი განაცხადა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რის შემდეგაც, **საია**-მ თბილისის მერიაში ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა.

როგორც **საია**-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ბექა კოკაიამ გვითხრა, ცოტა ხნის წინათ თბილისის მერიამ საქმის განხილვა მოაწყო და ასოციაციის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე სპეციალური გადაწყვეტილება გამოიტანა. შესაბამისად ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს საჯარო ინფორმაციის გაცემა დაევალა.

ისე კი, თუ დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობაზე გვაქვს პრეტენზია, ასეთ წვრილმანებზე კამათი და მით უფრო სპეციალური განხილვების მოწყობაზე ლაპარაკი, უბრალოდ, სამარცხვინოა.

**ილია მარტყოფლიშვილი**

# უცხოური პრესა

● ორი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატები ერთობლივად გააკონტროლებენ რუსეთში გასაგზავნი ქართული ღვინოების ხარისხს



## ◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „ღვინის ეგზეკუცია“ დასასრულს უახლოვდება

**ქართული ღვინოები უახლოეს მომავალში შეიძლება დაბრუნდეს რუსეთის ბაზარზე. მორიგებას ამის თაობაზე მიაღწიეს თბილისში რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მეთაურის ევგენი პრიმაკოვისა და მისი ქართველი კოლეგის ჯემალ ინაიშვილის შეხვედრის დროს.**

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა არ გატეხა სიტყვა და მოასწრო საზღვარგარეთის ტურნედან თბილისში დაბრუნება, რათა შეხვედროდა ევგენი პრიმაკოვს. მაგრამ ამისთვის რუსეთის დელეგაციას საქართველოს დედაქალაქში თითქმის ერთი დღით მოუწია დარჩენა. მაში მონაწილეობის მიზნით. მაგრამ თბილისში საკმაოდ საფუძვლიანად ვარაუდობენ, რომ რუსული პოლიტიკის პატრიარქის ვიზიტი მხოლოდ ასეთი ფორმატით არ შემოიფარგლებოდა (1990-იან წლებში პრიმაკოვს ეკავა საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტები, შემდეგ კი ხელმძღვანელობა რუსეთის მთავრობასძ. ეს, კერძოდ, გვითხრა თბილისის სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის ხელმძღვანელმა, ყოფილმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარაშვილმა. იგი არ გამორიცხავდა, რომ ბაში. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება რუსეთის ბაზრებზე ქართული ღვინოების დაბრუნების პერსპექტივებს. იმ განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, რომლებიც პრიმაკოვმა გააკეთა დსთ-ს ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო პალატების მეთაურთა სხდომაზე და საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან მოლაპარაკების დროს, საქართველოს „ღვინის ეგზოკუცია“ რომელიც გასული წლის გაზაფხულიდან გრძელდება, შესაძლოა, უახლოეს მომავალში დასრულდეს. და საერთოდ, როგორც პრიმაკოვმა აღნიშნა ადგილობრივი წამყვანი მეღვინეობის კომპანიების მიერ თბილისის „Two Side“ რესტორანში გამართული ქართული ღვინოების დეგუსტაცია-პრეზენტაციის დროს, ორ სახელმწიფოს შორის გაჩაღებული „ღვინის ომის“ გამო პასუხისმგებლობა ეკისრებათ არა პოლიტიკოსებს, არამედ ქართულ და რუსულ მაფიებს. „ქართულმა მაფიამ რუს მაფიასთან ერთად გააფუჭა ქართული ღვინოების ხარისხი და ჩვენ ვილებდით, იმას, რასაც არაფერი საერთო არ ჰქონია ამ სასმელთან“, — აღნიშნა რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მეთაურმა. მაგრამ ყოველივე ამას მალე მოეღება ბოლო: პრიმაკოვმა და მისმა ქართველმა კოლეგამ ჯემალ ინაიშვილმა თბილისში მოაღწიეს მორიგებას, რომ ამ ორი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატები ერთობლივად გააკონტროლებენ რუსეთში გასაგზავნი ქართული ღვინოების ხარისხს.

სააკაშვილ-პრიმაკოვის შეხვედრა შაბათ დილით გაიმართა და დაახლოებით ერთ საათს გრძელდებოდა. ამის შემდეგ რუსეთის დელეგაციამ დაუყოვნებლივ აილო გეზი აეროპორტისკენ და ჩარტერული რეისით დაბრუნდა მოსკოვში. თუ რაზე ილაპარაკეს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში, ამის შესახებ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა თუ არის შესაძლებელი: არც პრიმაკოვი და არც სააკაშვილი არ შეხვედრიან პრესის წარმომადგენლებს. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიც უარი თქვეს გაემხილათ მოლაპარაკების რაიმე დაწვრილებითი დეტალები და მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. ინფორმაცია არც რუსეთის დელეგაციის წარმომადგენლებს გაუვრცელებიათ. ოფიციალურად მხოლოდ ის ითქვა, რომ შეხვედრა „ძალზე საინტერესო“ იყო.

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ევგენი პრიმაკოვი თბილისს ფორმალურად ეწვია თანამეგობრობის ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო პალატების მეთაურთა სხდოსაქართველოში გამომგზავრების წინ პრიმაკოვმა მიიღო გარკვეული „სერიოზული დავალებები“, რომელთა შესახებაც იმსჯელა საქართველოს ხელმძღვანელებთან. სააკაშვილთან მომავალი შეხვედრის შესახებ თვით პრიმაკოვის გამონათქვამიც, როგორც წესი, საკმაოდ ფრთხილი იყო: „შეხვედრაზე განსახილველ კონკრეტულ თემებს საქართველოს პრეზიდენტი განსაზღვრავს. ყოველი შემთხვევაში, განწყობილი ვარ იმისთვის, რომ ეს საუბარი ძალზე კონსტრუქციული იყოს. სააკაშვილთან მაქვს საკმაოდ ამხანაგური, და შეიძლება ითქვას, მეგობრული ურთიერთობაც კი. ჩვენ ერთმანეთს პირველად არ ვხვდებით, და შეგვიძლია ბევრ საკითხზე ვიმსჯელოთ“, — უთხრა პრიმაკოვმა ჟურნალისტებს.

თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა საერთოდ არ არსებობს ინფორმაცია მოლაპარაკების შინაარსისა და მასზე მიღწეული მორიგებების შესახებ, პრიმაკოვის ყოფნა თბილისში გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ნელ-ნელა იწყება ყინულის ლღობა საქართველო-რუსეთის ურთიერთო-

თანაც, როგორც პრიმაკოვმა თქვა, საქმე მარტო ღვინის პრობლემის აღმოფხვრით როდი შემოიფარგლება. „ვფიქრობ, რომ შეზღუდვები (რომლებიც რუსეთმა ცალმხრივად შემოიღოძ თანდათანობით მოიხსნება“, — აღნიშნა მან.

**ანატოლი გორდიენკო**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# დსთ ინტერესების მიხედვით კლუბად გარდაიქმნება

**როგორც ცნობილია, 10 ივნისს სანკტ-პეტერბურგში გაიმართა დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების არაფორმალური სამიტი. იგი სხვა მსგავსი ღონისძიებებისგან განსხვავდებოდა იმ ფონით, რომელმაც, პრინციპში, განსაზღვრა კიდეც სამიტის ტონი და შედეგები. ასეთი გახდა საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი, აგრეთვე ეგრეთ წოდებული „რვა დიდი ქვეყნის“ ლიდერების შეხვედრა. „რუსული დავოსის“ წარმატება, ასევე ის პოზიტივი, რომელიც აღინიშნა „დიდი რვიანის“ შეხვედრის დროს რუსეთის მიმართ, გახდა მთავარი არგუმენტები თანამეგობრობის სამიტის ფარგლებში ორმხრივი დიალოგების გააქტიურებისათვის და დაედო საფუძვლად დსთ-ს შემდგომ არსებობას, რომელმაც, ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის, ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის თქმით, ვერა და ვერ შეძლო ეფექტიანი მუშაობის დაწყება.**

ამ სარეგიონთაშორისო გაერთიანების აშკარა სისუსტის მიუხედავად, მისთვის განაჩენის გამოტანის ნაცვლად, „გამოწერეს“ რეფორმირების მორიგი რეცეპტი. თუმცა, ყველასთვის გასაგებია, რომ ახლა ძირითადი საინტეგრაციო პროცესები განხორციელდება არა თვით თანამეგობრობაში, არამედ მასში ინტერესების მიხედვით შემავალი ქვეყნების ჯგუფებში. და მაინც, დსთ შენარჩუნებული იქნება, რაც თავისთავად უკვე სენსაციაა. თუმცა, ეს ორგანიზაცია კვლავ განაგრძობს არსებობას მხოლოდ როგორც რუსეთის ინტერესების ზონა, რომლის ვექტორიც აშკარად გადახრილია ცენტრალური აზიის მიმართულებით.

თანამეგობრობისათვის მნიშვნელოვან მომენტად შეიძლება ჩაითვალოს თურქმენეთის ახალი პრეზიდენტის პრეზენტაცია და ის მთელი რიგი განცხადებები, რომლებიც გააკეთა ყაზახეთის მეთაურმა ნურსულთან ნაზარბაევმა. ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ თანამეგობრობაში ისახება ახალი ტენდენცია: „ცენტრალური აზია თავს უკვე „ვიწროდ“ გრძობს დსთ-ს ფარგლებში, რადგან იგი ცდილობს გაკვალოს გზა ოკეანისკენ და აითვისოს ახალი, უფრო პერსპექტიული ბაზრები“. ამ სტრატეგიული გეგმის კონტექსტში თავსდება ნაზარბაევის ინიციატივები ციმბირის მდინარეებისათვის კალაპოტის შეცვლისა და ცენტრალური აზიის რეგიონისკენ მათი „გადასროლის“, აგრეთვე ახალი არხის მშენებლობის შესახებ, რომელიც ერთმანეთს დაუკავშირებს კასპიის და შავ ზღვებს. ყაზახეთის პრეზიდენტის აზრით ეს პროექტები, რომელთა განხორციელებაზე ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდშიც ლაპარაკობდნენ, შეუწყობენ ხელს საქონლის გასვლას დსთ-ს ქვეყნებიდან ევროპის ბაზრებისკენ. ამისთვის კი, თქვა ნაზარბაევმა, საჭიროა რუსეთის და ყაზახეთის ინფრასტრუქტურის უფრო ეფექტიანი გამოყენება.

„ცენტრალურ აზიას არა აქვს გასასვლელი მსოფლიო ოკეანეზე, რისი უზრუნველყოფაც შეუძლია რუსეთს, ხოლო მოსკოვი თუ არ დათანხმდება ამას, მაშინ მოგვიწევს ალტერნატიული გზების ძებნა“, — განაცხადა ყახაზეთის ლიდერმა და აღნიშნა, რომ „აქ არ არის პოლიტიკა და ეს მხოლოდ საკითხისადმი ეკონომიკური მიდგომაა“.

სამიტმა ცხადყო, რომ დსთ-ს ევრაზიული მიმართულება უახლოეს წლებში უფრო აქტიურად განვითარდება, ვიდრე ეს სხვა რეგიონალურ გაერთიანებებში ხდება.

იმ მიზნით, რომ შემდგომში აღარ ამაღლდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის არაეფექტიანობის კოეფიციენტი, დსთ-ს წევრი-ქვეყნების ლიდერებმა დათქვეს, რომ ერთ წელიწადში განიხილავენ მხოლოდ ერთ თემას და მიმდინარე წლისთვის ასეთად დაასახელეს მიგრაციის პრობლემა. მომავალ წელს კი დადგება ტრანსპორტთან და კომუნიკაციებთან დაკავშირებული საკითხების ჯერი.

**სვეტლანა გამოვა**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# განცხადება

**„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის ვაკანტურ თანამდებობაზე:**

**მთავარი სპეციალისტი — იურისტი** — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 550 ლარიძ;

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ — კონკურსიძ უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

● **მთავარი სპეციალისტის — იურისტის თანამდებობაზე:**

აძ უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბძ საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული საგადასახადო, სამეწარმეო და სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;

გძ კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზეძ.

კონკურსს ატარებს კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს კონკურსის დროს გამოვლენილი პროფესიული ცოდნის, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად, უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1 ავტობიოგრაფია;

2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის (დიპლომისძ ასლი;

3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკის ასლი;

4. ორი ფოტოსურათი (3X4ძ

5. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

საბუთების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის ვადაში 10 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირისა.

კონკურსი ჩატარდება ერთ ეტაპად, გასაუბრების ფორმით.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისადძ.

**დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: ქ. თელავი, ერეკლე II-ის გამზ. №16; ტელ.: (8 250ძ 75904, ან იხილოთ საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ გვერდი: www. psb.gov.ge**

**საჯარო სამსახურის ბიურო**

№ 113. სამშაბათი, 19 ივნისი, 2007 წელი.

● **მართალს ბრძანებს ჩვენი სულიერი მამა, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II, „ბოროტთან მთავარი ბრძოლა მოგებულიაო"! ჭეშმარიტად**

## მოკლედ

**შეერთებულ შტატებში გამოაქვეყნეს პრეზიდენტობის კანდიდატთა კოდური სახელების სიები, რომლებიც სპეცსამსახურებმა შეადგინეს. Secret Service უზრუნველყოფს ყველა ოფიციალური კანდიდატის დაცვას, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში კი ამ მიზნებისთვის გამოიყო 110 მილიონი დოლარი. ბარაქ ობამს ამერიკის სპეცსამსა-**



**ხურეებმა მიაკუთვნეს კოდური სახელი „რენეგატი", ჰილარი კლინტონი კი გატარებულია „მარადმწვანეს" ფსევდონიმით.**

* * *

**ისრაელს რაკეტები დაუშინეს ლიბანის მხრიდან. „კატიუშას" ტიპის ორი რაკეტა აფეთქდა ისრაელის ჩრდილოეთი საზღვრის მახლობლად. მართალია, ინფორმაცია დაზარალებულთა შესახებ არ გავრცელებულა, მაგრამ, როგორც იტყობინებიან, აფეთქების შედეგად დაზიანდა ინციდენტის ადგილის მახლობლად გაჩერებული ავტომობილი. როგორც ისრაელში მიაჩნიათ, რაკეტების დაშენებისთვის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ლიბანის ტერიტორიაზე მოქმედ ერთ-ერთ დაჯგუფებას. თავის მხრივ, „ჰესბოლამ" გამოაცხადა, რომ რაკეტების დაშენასთან არანაირი კავშირი არ აქვს.**



* * *

**საფრანგეთში პარლამენტის არჩევნებში პრეზიდენტის პარტიამ მიიღო 314 მანდატი. ამრიგად, პარტიამ მოიპოვა აბსოლუტური უმრავლესობა, მაგრამ გამარჯვება არ ყოფილა იმდენად შთამბეჭდავი, რო-**




**გორც ამას ექსპერტები მოელოდნენ. მათი პროგნოზის თანახმად, პრეზიდენტის პარტიას შეეძლო 379-დან 411-მდე მანდატის მოპოვება.**

* * *

**ყაზახეთში ექიმთა დაუდევრობის შედეგად აივ-ინფექციით დასნეულებული ბავშვების რიცხვმა 118-ს მიაღწია. 8 ბავშვი უკვე გარდაიცვალა. ბავშვებსა და ზოგიერთი მათგანის დედებს შორის აივ-ინფექციის გავრცელების შესახებ ცნობილი გახდა 2006 წლის გაზაფხულზე. როგორც ჩანს, ბავშვები და მათი დედები დაავადდნენ სისხლის გადასხმის პროცედურის დროს. არ არის გამორიცხული, რომ სამედიცინო პერსონალმა რამდენჯერმე გამოიყენა ერთჯერადი პრეპარატები და სამედიცინო ინვენტარი.**

◎ ქველმოქმედება

# რისთვისაც ღირს ცხოვრება...

## ადამიანებში გადავგვარდით?

**სიყვარულს, ზნეობას, ჰუმანიზმს, რომლითაც საუკუნეების მანძილზე თავს ვიწონებდით, გაუტანლობა, სიძულვილი, შური უპირისპირდება და ამ ბრძოლაში ხშირად იმარჯვებს კიდეც!**

**რატომ ხდება ასე?**

ნუთუ ქართველ კაცს სიყვარულის ნიჭი გაუხუნდა? ნუთუ ოჯახის გამოსაკვებად ყოველდღიურმა ქანცგამწყვეტმა შრომამ ისე დაზაფრა თითოეული ჩვენგანი, პატარებისა და უმწეო მოხუცების ხელგამოწვდილობა კი არა, თვით ნაგვის ურნებში ჩვილების პოვნაც კი გულს აღარ გვიჩქროლებს?

არადა, ხომ კარგად ვიცით, თუნდაც ისტორიიდან, ქართველი კაცი, უპირველესად, სიყვარულის ნიჭს ელოლიავებოდა საუკუნეების განმავლობაში, „ვეფხისტყაოსანს" სწავლობდა, მისი უკვდავი იდეებისა და ღირებულებების გათვალისწინებით ზრდიდა შვილებს. იოანე ნათლისმცემელი ბრძანებს: **„ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა შეიყვარებს ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავს?"**

ამიტომ არის, ალბათ, ახალ აღთქმაში ღმერთის მთავარ ღირსებად სიყვარული მიჩნეული — **„ღმერთი სიყვარული არს!"**.

დიახ, ჩვენ სიყვარულით უნდა ვძლიოთ ეშმაკს, რომელიც ყველა ადამიანის სულშია ჩასაფრებული და სასურველ დროს ელის აღსაზევებლად. არა და არა! ჩვენ მას იოტისოდენა საბაბიც კი არ უნდა მივცეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი არსებობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ჩვენ ხომ ისედაც მცირე ერი ვართ...

უპირველესად რით უნდა დავიწყოთ? სარწმუნოებით?

ეკლესია ხომ გვეუბნება — კვირაში ერთი დღე მოყვასს დაუთმეო. ალბათ ისევ ამ ღვთიური მოწოდებით უნდა ვიაროთ, ეს ხომ სხვისი წუხილის, სხვისი სატკივრის გაზიარება და მის გვერდით დგომას გვასწავლის.

აი, რა მიამბეს სათნოების სახლ „კათარზისში"

ჯერ კიდევ 1989 წელს, როცა თბილისში მიუსაფარ, მშიერ ადამიანებს ქუჩა-ქუჩა, უბან-უბან აგროვებდნენ **ზაურ ალადაშვილი** (იგი ამჟამად „კათარზისის" პრეზიდენტიცაა) და მისი რამდენიმე მეგობარი, 100 კაცამდე ძლივს მოუგროვებიათ, მათ შორის ქართველი მხოლოდ ერთი ყოფილა, დღეს აქ ყოველდღიურად 355 ადამიანს უმზადებენ გემრიელ, ყუათიან სადილს, უმეტესობაც ახლა ქართველია, 15 მუდმივი ბინადარიც ჰყავთ დღეში სამჯერადი კვებით უზრუნველყოფილნი. გარდა ამისა, დღე ისე არ ჩაივლის, უცნობმა ადამიანებმაც არ მიაკითხონ, რომელთაც უბრალოდ... შიათ და აქ მათ აპურებენ. როგორ გგონიათ, უბრალო საქმეა?

იმ დღეს, 26 მაისს, საყოველთაო ზეიმის დღეს, თითქმის მთელი თბილისი გარეთ იყო გასული და დღესასწაულობდა, მაგრამ ხომ არიან ადამიანები, რომელთაც არც სოციალური პირობები უწყობთ ხელს და ჯანმრთელობასაც უჩივიან, ბევრს მომკითხავიც ულარავინ ჰყავს, თითქოს მარტოსულობისთვის არიან ისინი განწირულნი, მაგრამ არა, სწორედ ამ ადამიანების გამხნევებისთვის, გახარებისთვის მიატოვეს თავიანთი ოჯახები, შვილები, შვილიშვილები არასამთავრობო საქველმოქმედო ორგანიზაციის „ფესვების" ხელმძღვანელებმა, მისმა პრეზიდენტმა **ნანა ხელაშვილმა** და მოადგილემ **ნუნუ გუმბერიძემ** (ერთს ერთი შვილი და ორი შვილიშვილი, ერთი შვილთაშვილი. მეორეს კი ხუთი შვილი და რვა შვილიშვილი ჰყავსძ და გადაწყვიტეს სამედიცინო აქცია მოეწყოთ ვაკე-საბურთალოს რაიონის უმწეო, მარტოხელა ადამიანებისთვის, რომელთაც უკვე რამდენიმე წელია შეფობას უწევენ. თან გაამხნევეს, მოიკითხეს...

სამედიცინო აქციაში „ფესვების" თხოვნით ზ. კახიანის სახელობის რკინიგზის საავადმყოფოსა და ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე ყოფილი „სამკურნალო კომბინატის" თერაპიული სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიციური ექიმი-სპეციალისტი მონაწილეობდა, მათ შორის ენდოკრინოლოგი **ნათია კუბლაშვილი,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, უროლოგი **მერაბ ხიზანიშვილი,** ოფთალმოლოგი **ირინა ბოლქვაძე** და სხვები. მედიცინის მუშაკებმა არა მარტო გასინჯეს თითოეული პაციენტი, ზოგს ანალიზი გაუკეთეს, კარდიოგრამაც გადაუღეს, და სათანადო რეცეპტებიც გამოუწერეს კონსულტაციის შემდეგ. რაც მთავარია, „ფესვებმა" წამლებიც უფასოდ დაურიგეს ყველას, რის შესაძლებლობაც ჰქონდათ და აგრეთვე მცირედი საჩუქრებიც გადასცეს.

აქციაში „ფესვებს" თანადგომა გამოუცხადა და დახმარების ხელი გაუწოდა საქველმოქმედო ასოციაციის „მრწამსის" ხელმძღვანელმა **მანანა ილურიძემ,** როგორც ყოველთვის, ამჯერადაც, თავისი წვლილი გაიღო გაერთიანებული მეთოდისტური ეკლესიის ჰუმანიტარულმა კომიტეტმა „ამქარმა" — (ხელმძღვანელი **გოგი გედევანიშვილი**ძ, მედიკამენტები უფასოდ გადასცა „ფესვებს" კამილიელთა ორდენის პოლიკლინიკა „კაცთა მაცხოვრის" მთავარმა ექიმმა **ირაკლი მელქაძემ.**

ასეთი ერთობლივი ჰუმანური დახმარებით და ერთსულოვნებით ჩაიარა მშვენიერმა ამაღლებულმა დღემ ამ გაჭირვებულ ადამიანებისთვის, ამიტომ სამადლობელ სიტყვებსაც არ იშურებდნენ...

**მაყვალა ყანდაშვილი, დარიალის ქ. 8-ში მცხოვრები:** — ძალიან კმაყოფილი ვარ ამ ორგანიზაციის წევრების ჩვენდამი დამოკიდებულებით. არც ერთ დღესასწაულს ისე არ ჩაატარებენ, არ მიგვიწვიონ. რამდენი ხანია ექიმთან მინდოდა მისვლა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ვახერხებდი. აქ კი ერთბაშად რამდენიმე ექიმთან ვიყავი, წამლებიც უფასოდ მომცეს.

**დოდო დოლიძე — ი. აბაშიძის ქ. №14 მცხოვრები:**

მე და ჩემი ნაცნობები, აქ შეკრებილნი, „ფესვებმა" დაგვაახლოვა, მარტო ამისთვის ეკუთვნით მათ მადლობა, არასოდეს გვივიწყებენ, თავად ვარ მოწმე, თუ როგორ დადიან ქალბატონები ნანა და ნუნუ დავრდომილ ადამიანებთან სახლებში და პირადად მიაქვთ ხოლმე მათთვის ხან საჩუქრები, ხან მედიკამენტები, ზოგჯერ პროდუქტებიც კი...

თითოეული ჩვენთაგანის გაჭირვება და გულისტკივილი ამ ქალბატონებს გათავისებული აქვთ.

**ნანა მეშველიანი:** რამდენი წელია, ჩიყვი მაწუხებს, თან დიაბეტიც. უსახსრობის გამო სისხლის ანალიზიც კი ვერ გავიკეთე. აქ კი ცნობილა ენდოკრინოლოგმა ნათია კუბლაშვილმა გამსინჯა, თავისივე აპარატურით სისხლის ანალიზიც გამიკეთა, თან დამარიგა, როგორ მოვიქცე, შაქარმა რომ ამიწიოს. მადლობის მეტი რა მეთქმის.



ბოდბის სკოლა-პანსიონის აღსაზრდელები

ამ აქციიდან კი 3-4 დღეში ბავშვთა საერთაშორისო დღეს „ფესვები" სოფელ ბოდბეში ჩავიდა. იქ მზრუნველობასმოკლებულ ბავშვთა სკოლა-პანსიონის მოსწავლეებს უკვე რამდენიმე წელია შეფობენ, თითოეულმა რამდენიმე ბავშვი მონათლა კიდეც. ამჯერადაც ხელცარიელნი არ ჩასულან, ბავშვებს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, წიგნები, ტკბილეულობა და პირველი მოხმარების საგნები ჩაუტანეს. რაც მთავარია, ბავშვები წმინდა ნინოს სახელობის მონასტერში აიყვანეს. ამ აქციისთვის ავტობუსი ამჯერადაც თბილისის მერს გიგი უგულავას უსასყიდლოდ უთხოვებია, ქალაქის მერმა გულთან ახლოს მიიტანა ამ ბავშვების უსიხარულო ყოფა და არც შემდგომ დახმარებაზე უთქვამს უარი, რისთვისაც ჩვენი ულრმესი მადლობა ბატონ გიგის.

— ნეტავ ნანა დეიდა კიდევ მალე ჩამოვიდეს, ეს ვინატრე წმინდა ნინოს საფლავზე, — თვალცრემლიანს უთქვამს ეკლესიიდან გამოსვლისას ერთ გოგონას ნანა ხელაშვილისთვის, და ისიც ფიქრობს, უკვე სამერმისო გეგმებს აწყობს, როდის ჩავიდნენ კვლავ ბოდბეში, როდის ნახავენ ბავშვებს, მათ უმეტესობას ხომ დედაც ჰყავთ, მამაც, ალბათ და-ძმაც, მაგრამ მაინც ნანა დეიდა ენატრებათ... ამ ქალბატონებმაც კარგად იციან, რომ მათ ელიან, ამიტომ, როგორც კი შესაძლებლობა გამოუჩნდებათ, მათთან არიან, გულს უხალისებენ.

რა არის ეს? რა და, ურთიერთსიყვარულიც, მადლიერებაც, ზნეობაც, ჰუმანიზმიც და ალბათ ყველაფერი ერთად, რისთვისაც ღირს ალბათ ცხოვრება...

მართალს ბრძანებს ჩვენი სულიერი მამა, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II, **„ბოროტთან მთავარი ბრძოლა მოგებულიაო"!** ჭეშმარიტად.

**ნაზი იმნაიშვილი**

ჯავარ ლომაძის ფოტო.



წამლების გადაცემის დროს

№ 113. სამშაბათი, 19 ივნისი, 2007 წელი.

# აქეთურ-იქეთური

● დაფნაზე მოთხოვნა გაიზარდა. საქართველოში წლის განმავლობაში 5 ათას ტონა დაფნას ვაწარმოებთ, რაც საკმაოდ მცირეა, რადგან ბაზარზე გაცილებით დიდი მოთხოვნაა



## ◎ ინფორმაცია

### რამდენი დაჯდა ბურჯანაძის ვიზიტი?

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის თურქმენეთში ვიზიტი პრეზიდენტის სარეზერვო ფონდმა დააფინანსა.**

მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულების თანახმად, საამისოდ 49 ათას 855 ლარი გამოიყო.

შეგახსენებთ, რომ 2007 წლის 6-8 მაისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აშხაბადში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა.

### საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობაში გვადანაშაულებენ

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განთავსებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის თანაშემწე იური ვერეშაკი ქართულ მხარეს კონფლიქტის ზონაში საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობაში ადანაშაულებს.**

როგორც ვერეშაკმა აღნიშნა, 16 ივნისს, შერეული სამშვიდობო ძალებისა და ეუთოს მიერ განხორციელებილი მორიგი მონიტორინგის დროს, კონფლიქტის ზონის ქართულ დასახლება დიციდან ერთი კილომეტრის დაშორებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტაციონარული პოსტი დაფიქსირდა.

ვერეშაკის განცხადებით, პოსტზე დამონტაჟებულ საფორტიფიკაციო მოწყობილობებს, რომლებიც მიწით სავსე ტომრებითაა შემოსაზღვრული, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული პირები იცავენ.

გარდა ამისა, სარდლის თანაშემწე ირწმუნება, რომ ცხინვალის სამხრეთ-დასავლეთით აღმოაჩინეს ძველი სასანგრო სისტემა ახლად დამონტაჟებული საფორტიფიკაციო მოწყობილობებით.

### „ერისიონს“ შენობას უყიდიან

**თბილისში, რუსთაველის ქ. 16-ში მდებარე შენობა-ნაგებობის 3180,12 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი და მიწის ფართობი იყიდება. საწყისი ფასი 3 მლნ აშშ დოლარია.**




აღნიშნულ შენობაში ამჟამად საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონია“ განთავსებული.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, „ერისიონი“ რუსთაველის –16-ში სახელმწიფოსთან გაფორმებული უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზეა განთავსებული. ამიტომ მყიდველმა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2008 წლის ბოლომდე ანსამბლისთვის უნდა უზრუნველყოს პეტრიაშვილის №7-ში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობის გარემონტება და არსებულ შენობაზე 900 კვ.მ. ფართის მიშენება-დაშენება. ამისთვის კი არანაკლებ 1 000 000 ლარის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები უნდა განახორციელდეს.

### გოელროს პირმშოსაც ჰყიდიან

**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო „ზაჰესის“ ჰიდროელექტროსადგურს ყიდის. საწყისი ფასი 15 მილიონი აშშ დოლარია, ობიექტი აუქციონის წესით გაიყიდება.**

როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ არჩილ ნიკოლაიშვილმა განაცხადა, ჰესის სიმძლავრე 38 მეგავატია და ეს სიმძლავრე რეაბილიტაციის შემთხვევაშიც ვერ გაიზრდება. ნიკოლაიშვილის თქმით, ობიექტი აქამდე იჯარით იყო გაცემული.

პროექტის შექმნაზე ქართული საპროექტო ჯგუფი მუშაობდა. მისი მშენებლობა 1922 წელს დაიწყო და 1927 წელს დასრულდა.

### ქართულ დაფნაზე მოთხოვნა გაიზარდა

**ქართულ დაფნაზე მოთხოვნილება დღითიდღე მატულობს. ამის შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა პეტრე ცისკარიშვილმა განაცხადა.**

— დაფნაზე მოთხოვნა გაიზარდა. საქართველოში წლის განმავლობაში 5 ათას ტონა დაფნას ვაწარმოებთ, რაც საკმაოდ მცირეა, რადგან ბაზარზე გაცილებით დიდი მოთხოვნაა, — განაცხადა ცისკარიშვილმა.

მინისტრის თქმით, სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ქვეყანაში დაფნის კულტურის განვითარებისათვის სათანადო ინვესტიციები მოიზიდოს.

— სამომავლოდ, დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა იგეგმება. ზუგდიდში უკვე შექმნილია საწარმო, რომელიც დაფნის ეთერზეთს ხდის. ერთი ლიტრი ეთერზეთის ღირებულება კი 60 დოლარია. დაფნის ეთერზეთი საკმაოდ ძვირადღირებული პროდუქციაა, რომლის დასამზადებლად საკმაოდ დიდი რაოდენობის დაფნაა საჭირო, — თქვა საუბარში ცისკარიშვილმა.

ქართული დაფნის ეთერზეთი კონკურენტუნარიანი პროდუქციაა. სხვა ქვეყანაში წარმოებული ეთერზეთი 80-100 ევრო ღირს.

— საქართველოში დამზადებული დაფნის ეთერზეთი საკმაოდ მაღალი ხარისხისაა და საზღვარგარეთ წარმოებულ ეთერზეთს ხარისხით არ ჩამოუვარდება. დაფნის ეთერზეთი წმინდა საექსპორტო პროდუქციაა, რადგან ის პარფიუმერული ნაწარმოს შესაქმნელად გამოიყენება, — აცხადებს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

### გარდაბანს გველები შეესია



**გარდაბნის რაიონის სოფელ გაჩიანის ტერიტორიაზე გველის მიერ ადამიანის დაკბენის ფაქტი დაფიქსირდა.**

34 წლის რუსთაველი იგორ გარუჩავა გიურზამ ნაკვეთში მუშაობისას დაკბინა.

გარუჩავამ რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოს მიმართა.

როგორც რუსთავის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ხათუნა ბარბაქაძემ განაცხადა, იგორ გარუჩავა ხელის მტევანზეა დაკბენილი, მას სასწრაფოდ გაუკეთდა პოლივალენტური შრატი.

ამჟამად პაციენტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მკურნალობის კურსს აგრძელებს.

### ფოკაში ღორები იხოცება

**ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკაში ღორების დაცემის 20-მდე შემთხვევა დაფიქსირდა. ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა ღორების დახოცვის მიზეზი.**

ფოკაში ღორების დახოცვა, სავარაუდოდ, ჯავახეთში გასაყიდად შეყვანილ ცხოველებს უკავშირდება. მარნეულიდან ფოკაში გოჭები ჩაიყვანეს და რეალურ ფასზე გაცილებით იაფად გაყიდეს. მოსახლეობას ნაყიდი გოჭები სამ დღეში დაეხოცა. მათ დახოცილი ღორები ძაღლებს გადაუყარეს.

მოსახლეობის თქმით, მათ ღორების დაავადების გავრცელების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ.

ნინოწმინდის რაიონის გამგებელი სურენ მოვსოიანი კი აცხადებს, რომ ნინოწმინდაში ეპიდემია არ არის და ღორების დახოცვა ჩვეულებრივი ამბავია.

ვეტერინარული სამსახური ცხოველების დაცემის მიზეზის შესწავლას დღეიდან აპირებს.

ამასთან, ღორების დაცემის ფაქტი ახალქალაქის რაიონის სოფელ დილისკაშიც დაფიქსირდა.



ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

## ◎ კალათბურთი

### ვოვას აპენინები

**ქართველები სხვის ომებში გმირები არიანო, არაერთგზის გვსმენია. ისტორია ფაქტებზე დაყრდნობით ადასტურებს აღნიშნული მოსაზრების ჭეშმარიტებას, თუმცა ვერც იმას წავუვალთ ვერსად, რომ ჩვენი თანამემამულენი, უმთავრესად, საკუთარი სამშობლოს გადასარჩენად ღვრიდნენ უზღვავ სისხლსა და ოფლს, რამაც, ავად თუ კარგად, მოიყვანა კიდეც დღემდე ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა.**

სხვათა შორის, ზემოთ ნათქვამი, მცირედი მასშტაბებით, თანამედროვე სპორტულ ცხოვრებასაც ეხება. უფრო კონკრეტულნი თუ ვიქნებით, ჩვენებურის უკანასკნელი საერთაშორისო მიღწევა უნდა გახაროთ. საუბარია სიენას „მონტეპასკის“ ჯვაროსან ლეგიონერ ვლადიმერ ბოისაზე, რომლის კლუბმაც ფინალური „პლეიოფის“ სამივე შეხვედრა (მათ შორის ბოლო შინ — 90:82ძ მოუგო ბოლონიას „ვიდივიჩის“ და იტალიის ჩემპიონი გახდა. ვულოცავთ!

## ◎ ფეხბურთი

### ევროპის სტადიონებზე

**ესპანეთი. ბოლო ტური.** „რეალი“ — „მალიორკა“ 3:1, „ხიმნასტიკი“ — „ბარსელონა“ 1:5, „სევილია“ — „ვილიარეალი“ 0:1, „ვალენსია“ — „სოსიედადი“ 3:3, „უელვა“ — „სარაგოსა“ 1:1, „ოსასუნა“ — „ატლეტიკო“ 1:2, „სელტა“ — „ხეტაფე“ 2:1, „რასინგი“ — „ბეტისი“ 0:2, „ესპანიოლი“ — „დეპორტივო“ 1:3, „ბილბაო“ — „ლევანტე“ 2:0.



**პრიზიორები:** „რეალი“, „ბარსელონა“ — 76-76, „სევილია“ — 71 ქულა. „სამეფო კლუბი“ 30-ედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. მას უპირატესობა მიენიჭა პირად შეხვედრებში მოპოვებული უპირატესობის გამო — 2:0, 3:3.

**ბომბარდირი:** ვან ნისტელროი („რეალი“ძ — 25 გოლი.

**პრიმერადივიზიონიდან გავარდნენ:** „სელტა“, „სოსიედადი“ და „ხიმნასტიკი“. მათ ადგილებს დაიკავებენ „ვალიადოლიდი“, „ალმერია“ და „მურსია“.

**რუსეთი. XIII ტური.** ცსკა — „ტომი“ 0:0, „ხიმკი“ — „ზენიტი“ 2:2, „მოსკოვი“ — „სპარტაკი“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** ცსკა, „ზენიტი“ — 21-21, „მოსკოვი“, „სპარტაკი“ — 20-20 ქულა.

**კონტინენტის 21-წლამდელთა ჩემპიონატი. ჯგუფური რაუნდის ბოლო ტური.**

**„ა“ ჯგუფი.** ჰოლანდია — ბელგია 2:2, პორტუგალია — ისრაელი 4:0.

ჰოლანდია — 7, ბელგია — 5, პორტუგალია — 4, ისრაელი — 0 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** ინგლისი — სერბეთი 2:0, იტალია — ჩეხეთი 3:1.

სერბეთი — 6, ინგლისი — 5, იტალია — 4, ჩეხეთი — 1 ქულა.

**ხვალ ნახევარფინალში ითამაშებენ:** ჰოლანდია — ინგლისი, სერბეთი — ბელგია.

**კონკაკაფის „ოქროს თასი“.** მეოთხედფინალები. აშშ — პანამა 2:1, კანადა — გვატემალა 3:0, გვადელუპე — ჰონდურასი 2:1, მექსიკა — კოსტა-რიკა 1:0 (დ. დ.ძ.

**ზეგ ნახევარფინალში ითამაშებენ:** კანადა — აშშ, მექსიკა — გვადელუპე.

## ◎ რაგბი

### „ბორჯღალოსნები“ — მესამე საფეხურზე



**ბუქარესტში დამთავრდა IRB-ის მიერ ორგანიზებული ერთა თასის გათამაშება, რომელშიც ექვსი ნაკრები მონაწილეობდა.** შეგახსენებთ, რომ საქართველოს მორაგბეთა პირველ მატჩში ნამიბიას სძლიეს, მერე სამხრეთ აფრიკასთან წააგეს, მესამე დაპირისპირებაში კი იტალიის A ნაკრებს აჯობეს 22:20. არადა, არბიტრებმა ყველაფერი იღონეს, რათა ამ პაექრობაში ბორჯღალოსნებს წაეგოთ, რომ მესამე ადგილი მასპინძლებს დარჩენოდათ. თამაშის მიწურულს კაცნაკლულიც დაგვტოვეს მოედანზე, მაგრამ გამარჯვება მაინც ჩვენებს დარჩათ.

ბოლო ტურში რუმინეთმა ნამიბია დაამარცხა 28:16, სამხრეთ აფრიკამ კი არგენტინას მოუგო — 24:16.

**საბოლოოდ, სატურნირო მდგომარეობა ასეთია:**

| | თ | მ | ფ | წ | ქ | (პრემ. ქ.ძ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამხრეთ აფრიკა A | 3 | 3 | 0 | 0 | 13 | (1ძ |
| 2. არგენტინა A | 3 | 2 | 0 | 1 | 9 | (1ძ |
| 3. საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | 8 | (0ძ |
| 4. რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 8 | (0ძ |
| 5. იტალია A | 3 | 0 | 0 | 3 | 2 | (2ძ |
| 6. ნამიბია | 3 | 0 | 0 | 3 | 0 | (0ძ |

# სპორტი

● ალბათ, გეხსომებათ, ქუთაისმა ქართულ სპორტს უამრავი შესანიშნავი მოცურავე და წყალბურთელი გაუზარდა. დღეს კი ეს ქალაქი, ფაქტობრივად, ერთი პატარა კერძო აუზის ამარაა დარჩენილი

## ◎ ცურვა

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საცურაო აუზში ოთხ დღეს გრძელდებოდა მოცურავეთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც თბილისის, ბათუმის, გორის, ქუთაისისა და რუსთავის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.**

**ასპარეზობის სამი დღის შედეგები უკვე გაუწყეთ, ახლა კი შეჯიბრების დასკვნითი სტარტების გამარჯვებულთა ვინაობას გაგაცნობთ:**

**50 მ. თავისუფალი ყაიდა.** ალექსანდრე ხახანაშვილი და ნასტია გრივაჩი. **100 მ. ბატერფლაი.** ირაკლი რევიშვილი და ანა სალნიკოვა. **200 მ. ბულალმა ცურვა.** კირილ შირიაევი და სოფიო თევდორაძე. **200 მ. კომპლექსური ცურვა.** ლაშა მეტრეველი.

**ტურნირის დამთავრების შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს ირინა მინჟულინას ვესაუბრეთ.**



# წინ „შავი ზღვა“ და ევროპაა

– ეროვნული ჩემპიონატი, ფაქტობრივად, შესარჩევი შეჯიბრება იყო იმ სამი მნიშვნელოვანი ასპარეზობისთვის, რომელიც პირველი ივლისიდან გველოდება, – გვითხრა მან. – მოგეხსენებათ, 1-8 ივლისს ტრაბზონი შავი ზღვის პირველ თამაშებს უმასპინძლებს. უკვე გადაწყვეტილია, რომ თურქეთში ირაკლი რევიშვილი, გიორგი მთვრალაშვილი, ბესარიონ მდივანი და ალექსანდრე ხახანაშვილი გაემგზავრებიან. შავი ზღვის თამაშებზე უნდა გამოსულიყვნენ ილია მანჯგალაძე და ლაშა მეტრეველი, მაგრამ ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის გამო საასპარეზოდ ვეღარ იცლიან. სამაგიეროდ, ილია ირაკლი რევიაშვილთან ერთად ევროპელ თანატოლებს შეეჯიბრება კონტინენტის პირველობაზე, რომელიც 15 ივლისს დაიწყება ბელგიაში და 22 ივლისამდე გასტანს. ბელგრადში ევროპის ჭაბუკთა ოლიმპიურ ფესტივალში (21-28 ივლისი) საქართველოს სპორტულ ღირსებას გიორგი მთვრალაშვილი დაიცავს.



როგორც ხედავთ, ფრიად მნიშვნელოვან შეჯიბრებებში მოგვიწევს გამოსვლა, ამიტომ ეროვნულ ჩემპიონატს, როგორც ამ ტურნირებისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპს, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით. იმედები გაგვიმართლა რევიშვილმა, რომელმაც არა მარტო თავის საყვარელ თავისუფალი ყაიდით ცურვაში, არამედ 400 მეტრზე კომპლექსურ პაექრობაშიც იყოჩაღა. მან ეს დისტანცია 4,47-ში დაფარა, რაც იმის საფუძველს გვაძლევს, რომ ტრაბზონში მან, შესაძლოა, სიურპრიზიც შემოგვთავაზოს. არანაკლებ არის მომზადებული 200 და 400 მეტრზე კომპლექსური ცურვისთვის გიორგი მთვრალაშვილი.

სპორტული ფორმის აღდგენაში ერთთვიანმა ავადმყოფობამ შეუშალა ხელი ანა სალნიკოვას, თუმცა მან 50 და 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში კარგი შედეგები აჩვენა. ფაქტობრივად, ანა პეკინის ოლიმპიადისათვის მზადებას შეუდგა. მართალია, შეჯიბრებაზე არ გამოსულა, მაგრამ ტრავმის მოშუშების შემდეგ ორი კვირაა ვარჯიშში განაახლა ილია მანგჯალაძემ, რომელიც ევროპის პირველობისთვის გვეიმედება.

აქვე მსურს, ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზეც გავამახვილო ყურადღება: ეროვნულ ჩემპიონატზე ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებით ჩამოვიდნენ აჭარელი, გორელი და რუსთაველი სპორტსმენები, ქუთაისელებმა კი ეს მხოლოდ საკუთარი სახსრებით მოახერხეს. არადა, ამ ქალაქში არსებობს კომპლექსური სკოლა, რომელიც ვალდებულია, სპორტსმენებს პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროს. ალბათ, გეხსომებათ, ქუთაისმა ქართულ სპორტს უამრავი შესანიშნავი მოცურავე და წყალბურთელი გაუზარდა. დღეს კი ეს ქალაქი, ფაქტობრივად, ერთი პატარა კერძო აუზის ამარაა დარჩენილი.

სასურველია, რეგიონებში მესაკუთრეებმა აუზში უფასოდ ვარჯიშის უფლება დართონ თუნდაც იმ სპორტსმენებს, რომლებიც საქრთველოს პირველობებსა თუ სხვა ტურნირებში საპრიზო ადგილებს იკავებენ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ეროვნული ჩემპიონატის მაღალ დონეზე გამართვისთვის სპორტსმენთა სახელით მადლობა გადავუხადო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს, რომელმაც ეს შეჯიბრება დააფინანსა, ასევე, თბილისის სპორტის სამსახურის მთავარი ცენტრის ფილიალის მთელ კოლექტივს მამუკა ილდანის ხელმძღვანელობით. მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ვაკის საცურაო აუზის მესვეურებიც, რომლებიც ჩვენს სპორტსმენებს ნებისმიერი შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად ყოველგვარ პირობებს უქმნიან.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: ასპარეზობის მომენტი; ირინა მინჟულინა და მისი შეგირდები ბესარიონ მდივანი, ირაკლი რევიშვილი და გიორგი მთვრალაშვილი.**
**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

## ◎ ჩოგბურთი

# მეცხრედ 9 ქვეყნის მონაწილეობით



**ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დამთავრდა 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც წლეულს მეცხრედ გაიმართა „ავსტრიის ავიახაზების“ თანადგომით.**

შეჯიბრებამ თავი მოუყარა 9 ქვეყნის წარმომადგენლებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ გარდა ერთისა, ყველა პირველი პრიზი საქართველოში დარჩა.

თოთხმეტწლიან გოგონებში სალომე კვიტაშვილმა ფინალში იოლად სძლია 12 წლის იუბილარ ბარბარე ერისთავს – 6:0, 6:2, სალომე 13 წლისაა, ექვსი წელიწადია, ჩოგბურთში ვარჯიშობს, თანატოლთა შორის საქართველოს ორგზის ჩემპიონია. ამას წინათ ერევნის საერთაშორისო ტურნირზეც პირველი ადგილი დაიკავა. 23 ივლისიდან ჩეხეთის კორტებსაც მოსინჯავს.

ამავე ასაკის ბიჭებში დავით ხუციშვილმა გიორგი ცივაძე დაამარცხა – 1:6, 6:3, 7:6. წყვილთა დაპირისპირებაში სალომე კვიტაშვილმა და ნინო სუჯაშვილმა მარიამ ზაუტაშვილსა და თაკო კომახიძეს მოუგეს; ხოლო ასლან კარცევისა და დევიდ მუშაევის (ორივე – ისრაელიძ დუეტმა ჯიმშიტ ილმურადოვსა (თურქეთიძ და დანიელ კვაჩს (რუსეთიძ დაუყრევინა ფარ-ხმალი.

თექვსმეტწლიანებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ნინო მებუკე, ბიძინა ამაშუკელი, ნადეჟდა ლუბიანსკაია და ნინო სუჯაშვილი, ბიძინა ამაშუკელი და შოთა პაიჭაძე.

– შეჯიბრების ორგანიზაციითა და ჩვენი სპორტსმენების შედეგებით კმაყოფილი ვარ, – გვითხრა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლეილა მესხმა**. – წლეულს ამ ტურნირში 9 ქვეყნის წარმომადგენლებმა იასპარეზეს, რაც საშუალებას მოგვცემს, ეს შეჯიბრება გაისად მეორე კატეგორიისა გავხადოთ. მაშინ მონაწილე ქვეყნების რაოდენობა გაიზრდება და ტურნირის პრესტიჟიც ამაღლდება. დიდი მადლობა ჩვენს მუდმივ სპონსორებს – „ავსტრიის ავიახაზებს“, „ბორჯომსა“ და „კოკა-კოლას“ თანადგომისათვის...

ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორები საქართველოში „ავსტრიის ავიახაზების“ გენერალურმა მენეჯერმა ევა ბერგერმა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა დააჯილდოვეს.

**თამუნა გეჯაძე,**
**მარი ჭიჭინაძე**

**სურათებზე: დაჯილდოების მომენტი; ასპარეზობის ორგანიზატორებთან ერთად.**
**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**





## ◎ ორბიტაზე

### ოლიმპიური ცეცხლი — „აბრეშუმის გზით“

**როგორც იტყობინებიან, 2008 წლის პეკინის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩირაღდანი ოლიმპიური ცეცხლით „დიდი აბრეშუმის გზის“ გავლით მოივლის ხუთივე კონტინენტის 22 ქალაქს.**

ოლიმპიური ცეცხლით ჩირაღდანი ტრადიციულად საბერძნეთის ოლიმპიაში 2008 წლის 30 მარტს აინთება. 31 მარტს მას პეკინში ჩაიტანენ. შემდეგ კი დაიწყება მისი ხანგრძლივი მოგზაურობა მსოფლიო გზებზე.

თუმც ამაზე ჯერჯერობით ოფიციალური ცნობა არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ოლიმპიური ცეცხლი, ალბათ, „დიდი აბრეშუმის გზის“ ისეთ მნიშვნელოვან მონაკვეთზეც მოხვდება, როგორიც საქართველოა!

### ვინ მოიგებს ჯეკ-პოტს?

**გრძელდება მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იაფფძ ტურნირის „ოქროს ლიგა“ სერიები. ალბათ, გახსოვთ, მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნები იბრძვიან მთავარი პრიზისთვის – მილიონ დოლარიანი ჯეკ-პოტისთვის. ამჯერად მძლეოსნებს ოსლო მასპინძლობდა. 100-მეტრიან დისტანციაზე კვლავ ისახელა თავი მსოფლიო რეკორდსმენმა, იამაიკელმა პაუელმა – 9,94. ერთხელ კიდევ აჩვენა თავისი დიდოსტატობა რუსეთელმა ჭოკით მხტომელმა ელენა ისინბაევამ – 4,85 (მან უფრო მეტიც მოინდომა, მაგრამ ამჯერად ხელი მოეცარაძ.**

ოსლოს სტადიონზე მთავარ მოვლენად იქცა სირბილი 5000 მეტრზე (თუმცა ეს დისტანცია „ოქროს ლიგის“ პროგრამაში არ შედისძ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქალმა ეთიოპიიდან მესერეტ დეფარმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა – 14, 16, 63,



რითაც 7,9 წამით გააუმჯობესა თავისივე ადრინდელი რეკორდი.

„ოქროს ლიგის“ პირველი ტურნირის შემდეგ მთავარი პრიზის პრეტენდენტებად დარჩნენ ასაფა პაუელი, ადილ კაუჩი (მაროკო – 1 მილიძ, ენვერ მური (აშშ, 110 მეტრი თარჯრბენიძ, ფილიპს იდოვუ (დიდი ბრიტანეთი, სამმაგი ხტომაძ, ტერო პიტკამიაკი (ფინეთი, შუბიძ, სტეფანი დარსტი (აშშ, 100 მძ. კანია რიჩარდსი (აშშ,400 მ.ძ, მიშელ პერი (აშშ. 100 მ. თარჯრბენიძ, ელენა სლესარენკო (რუსეთი, სიმაღლეზე ხტომაძ და ელენა ისინბაევა.

ჯეკ-პოტისთვის ბრძოლას მოულოდნელად გამოეთიშა ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, ოლიმპიური ჩემპიონი სამმაგ ხტომაში შვედი კრისტიან ოსლონი. მან 2 სანტიმეტრით წააგო ბრძოლა ბრიტანელ იდოვუსთან.

### ჩოგბურთის მილიონერები

**გამოქვეყნდა მსოფლიოს მოქმედი უმდიდრესი ჩოგბურთელების სია. ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ რეიტინგის დადგენისას მხედველობაში არ მიიღებოდა სარეკლამო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავალი (ალბათ ამიტომაც ამ სიაში ვერ მოხვდა მარია შარაპოვაძ.**

ჩოგნით „სუფთად“ მოპოვებული მილიონებით ვაჟთა შორის ლიდერობს ამჟამინდელი მსოფლიოს პირველი ჩოგანოსანი, შვეიცარიელი **როჟე ფედერერი** – 30,4 მილიონი დოლარი. ქალთა შორის კი რეიტინგის სათავეშია ასევე შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი** – 20 მილიონი დოლარი.

შემდეგ მოდიან **სერენა უილიამსი** (აშშძ – 17,4 მლ. **ლეიტონ ჰიუტი** (ავსტრალიაძ 16,9 მლ. **ვინუს უილიამსი** (აშშძ – 16,4 მლ. **ჟიუსტინ ენენი** (ბელგია), – 15,6 მლ., **კიმ კლიისტერსი** (ბელგიაძ – 15 მლ., **გუსტავო კუერტენი** (ბრაზილია) – 15 მლ., **ამელი მორესმო** (საფრანგეთიძ – 13 მლ. **მარატ საფინი** (რუსეთიძ – 12,9 მლ.

● განი, განი! — დღესაც ჩამესმის ყურში მთვარიანი ღამის სოფლის ცეკვა-ლხინში მოთავის შეძახილი. და ასე მგონია, თუ რამ განი აქვს დღეს ქართულ კულტურას დედამიწის ზურგზე, ამ განის დაგდებაში იმ მაშინდელი სოფლის ლხინში მოცეკვავე გოგო-ბიჭების საცეკვაო ყიჟინიც ურევია




◉ ქორეოგრაფია

# განხორციელება იდეისა, რომელიც სარკის წინ დაებადა რეზო ჭანიშვილს

*დგას ერთ დილით სარკის წინ ცნობილი ქორეოგრაფი რეზო ჭანიშვილი (მისი მონაყოლით ვიციძ, დგას და საკუთარ ორეულს ეკითხება, რა გააკეთე რეზო, ქართული ქორეოგრაფიისთვის? სარკიდან ორეულს თავი გადაუქნევია, დიდი არაფერიო... არადა, რეზო უკვე განთქმული ქორეოგრაფია, ჯემალ ჭკუასელთან ერთად შექმნილი აქვს ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, სახელმწიფო სკოლა-სტუდია, დაარსებული აქვს სირიის სახელმწიფო ანსამბლი დამასკოში მოღვაწეობისას, მონაწილეა მრავალი რესპუბლიკური, საკავშირო, თუ საერთაშორისო ღონისძიებისა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ორეული კი ეუბნება, დიდი არაფერი შეგიქმნიაო...*

*— აი, მაშინ დამებადა იდეა, — მეუბნება რეზო ჭანიშვილი, რომ შემექმნა რაიმე ხელშესახები, რომელიც, ჩემი აზრით, აუცილებელი იქნებოდა ქართული ხალხური ქორეოგრაფიისთვის, დაინტერესებული მკითხველისთვის. ეს უნდა ყოფილიყო წიგნი — ქართული ცეკვის სადიდებელი! ჰოდა, დავიწყე მასალების შეგროვება, დამუშავება, უცხოელი ავტორებისა და პრესის მოძიება, გამოჩენილ ადამიანებთან მისვლა-მოსვლა, ქართული ქორეოგრაფიის შესახებ მათი გამონათქვამების, მოსაზრებების, შეფასებების ჩაწერა.*

*კრებულში, რომელსაც „ქართული ცეკვის სადიდებელი“ დავარქვი, ბევრ საყურადღებო აზრს შეხვდება მკითხველი, რომელთაგან ერთი-ორი მაინც მინდა გამოვყო აკაკი ბრძანებს: „ქართულ ხალხურ სიმღერებში და ცეკვებში საქართველოს ისტორია იკითხება“, „ქართული გენია ცეკვით განფენილი“, „გაუმარჯოს საქართველოს საოცარ პლასტიურ ძალას“, — წერს გრიგოლ რობაქიძე. „ქართველები ცეკვავენ და მღერიან ღმერთების ენაზე“, — აღნიშნავს „ნიუ-იორკ ტაიმსი“...*

*— ავტორები და მასალები კი შეგირჩევიათ, მაგრამ გამოცემა გაგიჭირდებოდათ...*

*— ვერ მივადექი ვერავის, ამიტომ 1000 ეგზემპლარი ჩემი ფულით გამოვეცი... მთავარია, რომ ოცნება ავისრულე, მთავარია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ამ კრებულითაც დარწმუნდება, საიდან მოდიან, ვისი გორისანი არიან...*

*— და, 1000 ცალი საკმარისია?*

*— რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი. აი, მაგალითად, გუშინწინ ბათუმიდან დამირეკეს და მთხოვეს, საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალის მონაწილეებისთვის დასაჯილდოებლად 35 ცალი წიგნი გამეგზავნა. ახლა ვფიქრობ, თუ ვინმე ღვთიან-მადლიანი ქველმოქმედი გამოჩნდება, გავაკეთო მეორე გამოცემა, — შევსებული და ორენოვანი (ქართულად და ინგლისურადძ... ვნახოთ...*

*იმედია, რომ რეზო ჭანიშვილის ნათქვამი დააინტერესებს რომელიმე ბიზნესმენს, ეროვნული საქმის მხარდამჭერ ადამიანს და დააფინანსებს კრებულს, რომელსაც, დარწმუნებული ვართ, მკითხველი ეყოლება (და არა მარტო ქართველიძ.*

*კრებულში „ქართული ცეკვის სადიდებელი“ სხვა გამოჩენილ პიროვნებებთან ერთად დაბეჭდილია ცნობილი ჟურნალისტისა და მთარგმნელის, ჩვენი გაზეთის მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილის გურამ გოგიაშვილის წერილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.*

ვილენ მარდალეიშვილი

# ცეკვას თარგმნა არ სჭირდება

ჩვენმა სახელოვანმა ხელოვანმა, ქორეოგრაფმა რევაზ ჭანიშვილმა მთხოვა, რომ ჩემი აზრი გამომეთქვა ქართულ ცეკვაზე...

ამ თხოვნამ, ბუნებრივია, დამაფიქრა, ფიქრმა ჩემი ბავშვობისკენ გამიყენა გზას. ეს გზა კი შუა ქართლის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში — ზემო ხანდაკში მივიდა.

არდადეგების დაწყება უწინარესად იმიტომ მიყვარდა და მიხაროდა, რომ სოფელში უნდა წავსულიყავი და ზაფხულის მთელი სამი თვე იქ გამეტარებინა. იმ სამი თვის განმავლობაში არ მახსოვს ისეთი საღამო, რომ სოფლის თითქმის ყველა უბანში და, რასაკვირველია, ჩვენს უბანშიც, ლხინი არ გამართულიყო.

ლხინი კი უცეკვოდ აბა, ვის უნახავს! შეიკვრებოდა დიდი წრე. მოთავე შუაში გადახტებოდა და დაიძახებდა: განიო! აბრახუნდებოდა შინდაქიმული დოლი, ატყდებოდა ტაშისცემა და მთვარის დავახშმებამდე იყო ცეკვა-თამაში და ტაშ-ფანდური. სწორედ ცეკვით ვაწონებდით ერთმანეთს თავს ახლად შეღერებული გოგოები და ბიჭები. სწორედ ცეკვა იყო ის ჯადოსნური ენა, რომელსაც ერთის გულისნადები მიჰქონდა მეორესთან. ცეკვით გვინდოდა იმის თქმა, რასაც პირდაპირ ვერ ვეუბნებოდით ერთმანეთს. ამიტომაც იყო, რომ ვისაც ვინ მოსდიოდა თვალში, იმას გამოითხოვდა ხოლმე სათამაშოდ.

აი, პირველად მაშინ მივხვდი, რომ ქართული როკვა, ანუ ცეკვა ისეთივე ენაა, როგორიც ჩვენი ქართული ენა, უძველესი და ყოვლისგამომხატველი.

როგორც ქართული ენის, ისე ჩვენი ცეკვის მაგიური ძალაც მაშინ ვირწმუნე, ოლონდ ეგ იყო, გული მწყდებოდა, რომ ცეკვის თარგმნა, ჩვენი ცეკვის სხვათათვის გაგებინება, ჩემი მაშინდელი გაგებით, არ შეიძლებოდა.

გავიდა არა ერთი და ორი ათეული წელიწადი. ისე მოხდა, რომ ცხოვრებამ, როგორც ჟურნალისტი, ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილს დამამეგობრა. საზღვარგარეთ ყოველი წასვლის წინ და საზღვარგარეთიდან ყოველი ჩამოსვლის შემდეგ აუცილებლად ვხვდებოდი და მკითხველს ვატყობინებდი, სად მიდიოდნენ და როგორ მოიარეს საგასტროლო ქვეყნები.

ჩემი თაობის ხალხს, დარწმუნებული ვარ, კარგად ახსოვს, რა ჭიაკოკონაც დაანთო მაშინ ქართულმა ცეკვამ მთელ დედამიწაზე. ჩემი გაგებით, დიახაც ქართული ცეკვა იყო ის ყოვლისმომცველი „ქორეოგრაფიული ენა“, რომლის საშუალებითაც დაელაპარაკა საქართველო მთელ მაშინდელ მსოფლიოს, თანაც ისეთი ენა, რომელსაც არავითარი თარგმნა არ სჭირდებოდა. გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ქართულ ცეკვამდე საქართველო მსოფლიოს „მუნჯურად“ ელაპარაკებოდა. ქართული ცეკვა, მგონი, პირველი იყო ჩვენი ერის კულტურულ მონაპოვართაგან, რამაც პირველად მოახედა მსოფლიო კავკასიის მთებს შორის მომწყვდეულ ამ პატარა დიდი ქვეყნისკენ. ქართული ცეკვის უპირველეს დამსახურებადაც ამას მივიჩნევ.

განი, განი! — დღესაც ჩამესმის ყურში მთვარიანი ღამის სოფლის ცეკვა-ლხინში მოთავის შეძახილი. და ასე მგონია, თუ რამ განი აქვს დღეს ქართულ კულტურას დედამიწის ზურგზე, ამ განის დაგდებაში იმ მაშინდელი სოფლის ლხინში მოცეკვავე გოგო-ბიჭების საცეკვაო ყიჟინიც ურევია.

გურამ გოგიაშვილი,
მწერალი.

◉ კულტურა მაინც სუნთქავს

# ეროვნული მუსიკალური ცენტრის ახალი პროექტი

## მიეძღვნა გამოჩენილი კომპოზიტორების ალფრედ შნიტკესა და სულხან ნასიძის შემოქმედებას

**საქართველოს ეროვნულმა მუსიკალურმა ცენტრმა დააფუძნა თანამედროვე პროფესიული მუსიკის ფესტივალი — სახელწოდებით „კონტრაპუნქტი“, რომლის იდეის ავტორია ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი კომპოზიტორი და დირიჟორი ნიკა მემანიშვილი.**

როგორც ამასთან დაკავშირებით გამოცემული ბუკლეტი გვაუწყებს, „კონტრაპუნქტის“ პროგრამა განსაზღვრულია ორი კომპორზიტორის — ქართველისა და უცხოელის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებით. კონცერტები ჩატარდება რეგულარულად — წელიწადში ორჯერ. ამჯერად, „კონტრაპუნქტ №1“-ის სამი კონცერტის პროგრამა მიეძღვნა გამოჩენილი კომპოზიტორების ალფრედ შნიტკესა და სულხან ნასიძის შემოქმედებას.

დიდი ხანია, აღარ გვიხილავს ასეთი მასშტაბური, მრავალპლანიანი, მუსიკალურ-საკონცერტო ღონისძიება.

პირველი კონცერტი მთლიანად მიეძღვნა ალფრედ შნიტკეს (1934-1998ძ კამერულ და საგუნდო ნაწარმოებებს. გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის შემოქმედება, რომელმაც ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა გასული საუკუნის 80-იან წლებში, შედარებით ნაკლებად ცნობილია ქართველი მსმენელისთვის. კონცერტზე ჩვენში პირველად სრულდება მისი სამი ნაწარმოები: „ვარიაციები ერთ აკორდზე ფორტეპიანოსათვის“, რომელიც ჩინებულად შეასრულა ნიჭიერმა ახალგაზრდა მუსიკოსმა, „ავანგარდული“ მუსიკის აქტიურმა პროპაგანდისტმა ნინო ჟვანიამ. მოვისმინეთ აგრეთვე „სამი მადრიგალი სოპრანოსა და ხუთი საკრავისათვის“ და „სამი ლოცვა“ შერეული გუნდისათვის.

„მადრიგალების“ შესრულებისას თავი გამოიჩინა ნიჭიერმა ახალგაზრდა მომღერალმა თეონა დვალმა, რომელსაც თანხლებას უწევდნენ ივანე ქობულაშვილი (ვიოლინოძ, კოტე ჩავლეიშვილი (ალტიძ, მიხეილ ქართველიშვილი (კონტრაბასიძ, დიანა მეტრეველი (ვიბრაფონიძ, ნიკა მემანიშვილი (კლავესინიძ.




კარგ აკადემიურ დონეზე შესრულდა „სამი ლოცვა“, რომელთაც დირიჟორობდა ახალგაზრდა არჩილ უშვერიძე.

მაღალი პროფესიული ოსტატობით წარმოგვიდგინეს ა. შნიტკეს სიმებიანი ტრიო ცნობილმა მუსიკოსებმა ხათუნა თუშმალიშვილმა (ვიოლინოძ, თემურ ხარაძემ (ალტიძ და მიხეილ ხოშტარიამ (ჩელოძ, ხოლო საფორტეპიანო კვინტეტი — ალექსანდრე ხატისკაცმა (ვიოლინოძ, სალომე ბუკიამ (ვიოლინოძ, გიორგი ცაგარელმა (ალტიძ, ნიკოლოზ შამუგიამ (ჩელოძ და ნიკა მემანიშვილმა (ფორტეპიანოძ.

როგორც ცნობილია, რამდენიმე თვის წინათ აღინიშნა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის სულხან ნასიძის (1927-1996ძ დაბადების 80 წლისთავი და ამჯერად, ჩვენ კვლავ მოგვეცა მისი დიდებული ნაწარმოებების მოსმენის საშუალება. ინტერესს აძლიერებდა ის გარემოება, რომ სამიდან ორი ნაწარმოები — „სპარსული პოეზიიდან“ პირველად სრულდება.

დასაწყისში კი მოვისმინეთ ს. ნასიძის ცნობილი სიმებიანი კვარტეტი №3 („ეპიტაფია“ძ საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის შესრულებით (თ. ვარდელი, თ. ბათიაშვილი, ნ. ჟვანია, ო. ჩუბინიშვილიძ. კიდევ ერთხელ ვეზიარეთ ამ ტრაგიკული გრძნობით გამსჭვალული მუსიკის მწველ მშვენიერებასს და, შესაბამისად, მოვიხიბლეთ ჩვენი დიდებული კვარტეტის ხელოვნებით. რა სასიამოვნოა, რომ ეს შესანიშნავი კოლექტივი კვლავ აქტიურად მონაწილეობს ჩვენ მუსიკალურ ხელოვნებაში!

ძალზე საინტერესო აღმოჩნდა პირველად მოსმენილი „მეტამორფოზები“ ფორტეპიანოს, ვიოლინოს, ალტისა და ფორტეპიანოსათვის (ხათუნა თუშმალიშვილის, თემურ ხარაძის, მიხეილ ხოშტარიასა და ნინო ჟვანიას შესრულებითძ. კომპოზიტორის ეს ერთ-ერთი უკანასკნელი ნაწარმოები „გვიანდელი ნასიძის“ სტილს მკაფიოდ გამოხატული ნიშნებითაა აღბეჭდილი, როგორიცაა, მუსიკალური ენის სიმკაცრე, კონცენტრიულობა, შინაგანი სიმძაფრე.

„სპარსული პოეზიიდან“ — კონცერტი შერეული გუნდისათვის (რუდაქისა და ანსარის ტექსტებზეძ — საგუნდო ჟანრის შედარებით იშვიათი ნიმუშია ს. ნასიძის შემოქმედებაში. თავისი ინტონაციური და ჰარმონიული ენით იგი ქართული ეროვნული სტილის ნათელ ნიმუშს წარმოადგენს, თუმცა მოკლებული არაა აღმოსავლური მუსიკისათვის დამახასიათებელი კოლორიტ „ლივლივს“.

ნაწარმოები ჩინებულად შეასრულა საქართველოს ეროვნულმა კაპელამ ცნობილი მუსიკოსის გივი მუნჯიშვილის დირიჟორობით.

ფესტივალის კულმინაციად, საერთო აზრით, მესამე საღამო მოგვევლინა, რომელზეც შესრულდა ა. შნიტკეს კონცერტი ალტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის და ს. ნასიძის სიმფონია „დალაი“ (დირიჟორი ნიკა მემანიშვილიძ.

ა. შნიტკეს ალტის კონცერტი — მისი ერთ-ერთი საუკეთესო, აღიარებული ქმნილებაა, რომელიც გამოირჩევა ფორმის მონუმენტურობით, დიდი შინაგანი სიმძაფრით, ჭეშმარიტი სიმფონიზმით. იგი შესანიშნავად შეასრულა კონსერვატორიის კურსდამთავრებულმა, ნიჭიერმა ახალგაზრდა მუსიკოსმა გიორგი ცაგარელმა.

ს. ნასიძის სიმფონია „დალაი“ სამართლიანად ითვლება ქართული სიმფონიური მუსიკის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშად. სამწუხაროდ, იგი დიდი ხანია აღარ მოგვესმინა. დიდი მადლობა „კონტრაპუნქტის“ მესვეურებს, რომ ამის საშუალება მოგვცეს. გაგვიტაცა და აგვაღელვა ამ „გავარვარებული“ მუსიკის მძაფრმა პულსმა, თავისი გამაგონებელი დინამიკური ფინალური აღმასვლით.

**ახალგაზრდა დირიჟორს ნ. მემანიშვილს აშკარად ეტყობა პროფესიული პროგრესი, რაც, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც გაგრძელდება. საერთო აზრით, „მუსიკალური ცენტრი“ რომლის ხელმძღვანელებიც არიან თამარ ლორთქიფანიძე და ნიკა მემანიშვილი, ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ იკრებს ძალას, იძენს ახალ შემოქმედებით ინერციას, რაც იმედს გვისახავს, რომ მასში გაერთიანებული კოლექტივები, პირველ რიგში, კი ე. მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი და სახელმწიფო საგუნდო კაპელა დაიბრუნებენ მათთვის მუდამ ჩვეულ მხატვრულ და პროფესიულ ავტორიტეტს.**

გულბათ ტორაძე

№ 113. სამშაბათი, 19 ივნისი, 2007 წელი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

# განცხადება

**„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უბნის ინსპექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე შემდეგ ტერიტორიულ ორგანოებში:**

— შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველო;
— შსს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო;
— შსს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო;
— შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო;
— შსს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო;
— შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო;
— შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ 18-დან 35 წლამდე საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც თავიანთი პიროვნული და საქმიანი თვისებების, განათლების (მინიმუმ საშუალო), ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად შეუძლიათ შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები. კონკურსანტს აღნიშნულთან ერთად მოეთხოვება საქართველოს სახელმწიფო ენის ცოდნა.

კონკურსი ტარდება ტესტირებისა და გასაუბრების ფორმით, რა დროსაც მოწმდება კანდიდატის ზოგადი განათლება.

შსს ქ. თბილისის სამხარეო მთავარ სამმართველოში უბნის ინსპექტორის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 370 ლარს, ხოლო სხვა სამხარეო მთავარ სამმართველოებში — 250 ლარს.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს, წერილობით განაცხადთან ერთად უნდა წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და 2 ცალი ფოტოსურათი 3/4-ზე.

პირადობის და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, განაცხადის შეტანის დღეს წარდგენილ უნდა იქნას დედანთან ერთად, რომელიც სამდივნოს მიერ ასლთან შედარების შემდეგ დაუბრუნდება მის მფლობელს.

კანდიდატის განაცხადი და სხვა აუცილებელი დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნას შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში შემდეგ მისამართებზე:

— შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველო.
ქ. თბილისი, კ. ჩალაძის №1.
საბუთების წარდგენის ვადა 15 ივლისამდე.

— შსს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო.
ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. №42;
ქარელი, თბილისის ქ. №26;
კასპი, სტალინის ქ. №126;
ხაშური, ლომოურის ქ. №16;
ერედვი, სოფ. ერედვი (შსს განყოფილების შენობა);
ქურთა, სოფ. აჩაბეთი (შსს განყოფილების შენობა);
თიღვი, სოფ. თიღვი (შსს განყოფილების შენობა).
საბუთების წარდგენის ვადა 10 ივლისამდე.

— შსს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო.
ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №9;
დუშეთი, კოსტავას ქ. №23;
თიანეთი, 9 აპრილის ქ. №12;
ყაზბეგი, ყაზბეგის ქ. №7;
ახალგორი, კოსტავას ქ. №6.
საბუთების წარდგენის ვადა 5 ივლისამდე.

— შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო.
ქ. ბორჯომი, წმინდა ნინოს ქ. №7;
ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №5;
ადიგენი, თ. ერისთავის ქ. №32;
ნინოწმინდა, თავისუფლების ქ. №54;
ასპინძა, ვარძიის ქ. №93;
ახალციხე, რუსთაველის ქ. №91.
საბუთების წარდგენის ვადა 15 ივლისამდე.

— შსს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო.
ქ. თელავი, აჩინებული — შსს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს შენობა;
გურჯაანი, ნონეშვილის ქ. №8;
საგარეჯო, კახეთის გზატკეცილი №21;
სიღნაღი, ბარათაშვილის ქ. №1;
დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ. №48;
ახმეტა, სტალინის ქ. №104;
ლაგოდეხი, კოსტავას ქ. №1.
საბუთების წარდგენის ვადა 5 აგვისტომდე.

— შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო.
ქ. ზუგდიდი, ჭითაწყარი (შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს შენობა);
ფოთი, გეგიძის ქ. №12;
აბაშა, ჩიქობავას ქ. №14;
მარტვილი, მშვიდობაძის ქ. №23;
მესტია, კახიანის ქ. №22;
სენაკი, ტაბიძის ქ. №65;
ჩხოროწყუ, კოსტავას ქ. №3;
წალენჯიხა, თამარ მეფის ქ. №49;
ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №246.
საბუთების წარდგენის ვადა 8 აგვისტომდე.

— შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო.
ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №12;
სამტრედია, 9 აპრილის ქ. №9;
ბაღდათი, რუსთაველის ქ. №14;
ზესტაფონი, ფარნავაზ მეფის ქ. №2;
თერჯოლა, ჭანტურიას ქ. №3;
ჭიათურა, აბაშიძის ქ. №14;
ონი, ბააზოვის ქ. №1;
ამბროლაური, კოსტავას ქ. №11;
ცაგერი, თამარ მეფის ქ. №28;
ლენტეხი, თამარ მეფის ქ. №12;
წყალტუბო, რუსთაველის ქ. №27;
ხონი, ჭანტურიას ქ. №2;
ვანი, თავისუფლების ქ. №57;
საჩხერე, გომართელის ქ. №3;
ტყიბული, გამსახურდიას ქ. №38.
საბუთების წარდგენის ვადა 11 აგვისტომდე.

**დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ შსს კადრების მთავარი სამმართველოს შემდეგ ტელეფონზე: 75-24-18;**
**ან იხილოთ საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდი: www.psb.gov.ge**

საჯარო სამსახურის ბიურო

---

**მეუღლე ბაბული კოხრეიძე, ქალიშვილი ლილი რუხაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**
**შოთა რუხაძე**
**პანაშვიდი 18, 19 VI, გამოსვენება 20 VI, 15 სთ. ბინიდან. მისამართი: ცოტე დადიანის ქ. №34, მე-6 კორპ. I სადარბაზო.**

**ქეთი ხეტეშვილი, მზია და თეიმურაზ ქორიძეები სამძიმარს უცხადებენ ბაბული კოხრეიძეს და ლალი რუხაძეს მეუღლისა და მამის**
**შოთა რუხაძის**
**გარდაცვალების გამო.**

---

ამშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (CRDF),
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სესფ),
საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ)

## 2007 წლის 18 ივნისს აცხადებენ ბიზნეს-პარტნიორობის საგრანტო საკონკურსო პროგრამას

პროგრამის მიზანია კომპანიებსა და მეცნიერთა ჯგუფებს შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ხელშეწყობა, ქვეყნის საინოვაციო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა და ბიზნესზე ორიენტირებულ მეცნიერთა მჭიდრო კავშირის დამყარება წარმოებასთან.

პროგრამის ხანგრძლივობაა 12 თვე, ხოლო თითოეული გრანტის ოდენობა — არა უმეტეს 40,000 ლარისა. კომპანიების მონაწილეობის სავალდებულო წილი ინდივიდუალურ პროექტში შეადგენს გრანტის თანხის მინიმუმ 10%-ს. ეს თანხა მთლიანად გამოყენებული უნდა იქნეს მეცნიერთა ჯგუფის ხარჯებისთვის.

კონკურსთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია განთავსებულია სესფ-ის და სსგფ-ს ვებ-გვერდებზე: www.gnsf.ge და www.grdf.ge

პროექტების სსგფ-ში წარდგენის ბოლო ვადაა 2007 წლის 15 აგვისტო

**დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ:**
**საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ)**
**მისამართი: ქ. თბილისი, 0168, მინდელის ქ. №7, მე-3 სართული.**
**ტელეფონი: 32 01 68; 31 67 48 ფაქსი: 21 02 28**
**ელ.ფოსტა: info@grdf.ge ან george@grdf.ge**

საკონტაქტო პირი: გიორგი ხოხობაშვილი

---

## ხელოვნება

# დიმა ბათიაშვილი



გარდაიცვალა ცნობილი ქართველი კინორეჟისორი დიმიტრი ბათიაშვილი.

თბილისის შ. რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დიმა ბათიაშვილმა მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა „ქართულ ტელეფილმს“ დაუკავშირა.

60-იანი წლებიდან დიმა ბათიაშვილმა არაერთი შესანიშნავი მხატვრული და დოკუმენტური ფილმი შექმნა, რომლებმაც აღიარება მოიპოვეს როგორც პროფესიონალთა, ასევე ფართო მაყურებელს შორის. ეს ფილმებია: „ქერათმიანი ქალიშვილი“, „სერგო ზაქარიაძე“, „ავლიპი ზურაბიშვილი“, „სიმებიანი კვარტეტი“, „შნო“, „ფრაგმენტები ქალაქის ცხოვრებიდან“, „კირილეს ოდისეა“ და სხვა. განსაკუთრებით წარმატება ხვდა წილად ფილმს „არასერიოზული კაცი“, რომელიც ქართული სატელევიზიო კინოს „ოქროს ფონდშია“ შესული.

დიმა ბათიაშვილის ფილმები გამოირჩევა ყოველდღიური ცხოვრების რეალისტური და, ამავე დროს, ლირიკული ასახვით, გამსჭვალულია ადამიანების მიმართ სითბოთი და ხასიათების ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით. მის შემოქმედებაში სიმართლე და გამბედაობა შერწყმულია ქართული ინტელიგენციისთვის დამახასიათებელ დახვეწილობასა და ნატიფ კულტურასთან.

დიმა ბათიაშვილის ფილმებს დიდი ხნის ეკრანული სიცოცხლე უწერიათ. ხოლო მათი ავტორის ნათელი სახე მუდამ დარჩება ქართული საზოგადოებრიობის ხსოვნაში.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირი

---

**მეუღლე ციცინო ბლიაძე-მიხაილოვა. შვილი ალექსანდრე (ალიკა) მიხაილოვი, რძალი მანანა ლეჟავა, შვილიშვილები ლიკა, ციცინო მიხაილოვები, უახლოესი ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**
**მიხეილ მიხაილოვი**
**პანაშვიდი 19, 20 VI, 16 სთ. დაკრძალვა 21 VI, 14 სთ. ფიროსმანის 19.**

---



**შპს „საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზე-[redacted]ლობის დირექცია“ ღრმა [redacted]ით იუწყება დირექციის [redacted]ჟინრის, საგზაო-სამშენებ-[redacted]ს ღვაწლმოსილი სპეცია-[redacted]ჟა ზიბზიბაძის [redacted]ლებას და სამძიმარს უცხა-[redacted]ვენებული ოჯახს.**

№ 113. სამშაბათი, 19 ივნისი, 2007 წელი.

# ბოლო გვერდი

● შეიცვლება ყველა თანავარსკვლავედის სურათი, ცა შეფერადდება ახალ ვარსკვლავთა მირიადების ჩახჩახა ჩირაღდნებით. თვით მზე კი გალაქტიკების შეჯახებით არ უნდა დაზიანდეს



## მეცნიერება

# მშვიდობით, ირმის ნახტომო?

### ვაითუ, ჩვენი მზე სხვა გალაქტიკამ მოგვტაცოს...

**ჰარვარდ-სმითსონის ასტროფიზიკური ცენტრის ასტრონომებმა გამოთვალეს მეზობელ ანდრომედის გალაქტიკასთან ჩვენი მზის სისტემის შეჯახების დრო. მეზობელი გალაქტიკა წამში 120 კილომეტრის სიჩქარით გვიახლოვდება და სავარაუდოდ, 2 მილიარდი წლის შემდეგ შეგვასკდება.**

– თუ მანამდე კაცობრიობა არ გაქრა, ადამიანები ზეცაში ფანტასტური სანახაობის მოწმენი გახდებიან, – დარწმუნებულია ასტრონომი აბრაჰამ ლოები. – შეიცვლება ყველა თანავარსკვლავედის სურათი, ცა შეფერადდება ახალ ვარსკვლავთა მირიადების ჩახჩახა ჩირაღდნებით. თვით მზე კი გალაქტიკების შეჯახებით არ უნდა დაზიანდეს – ვარსკვლავთ შორის მანძილი იმოდენაა, რომ შეტაკებები ნაკლებად მოსალოდნელია – მნათობები უბრალოდ ჩაუვლიან ერთმანეთს.

ეგ კია, რომ ურთიერთგრავიტაციული გავლენის გამო ჩვენი გალაქტიკის ვარსკვლავთა ნაწილმა შეიძლება „ჩაწერა“ გამოიცვალოს, ესე იგი ანდრომედის გალაქტიკის შემადგენლობაში გადავიდეს. მერე რაღა იქნება? ჩვენი გალაქტიკები კვლავ დაშორიშორდებიან, ოღონდ მხოლოდ ერთნახევარი მილიარდი წლით. შემდეგ კი ორივე შეერთდება ერთ სუპერგალაქტიკად, რომელსაც ასტრონომებმა უკვე მოუფიქრეს სახელი – მილქომედა.

**რუსული პრესის მიხედვით**

## ყველაფერი ყველაფერზე



### „კომუნისტური ინკვიზიციის ქრონიკა“

**უკრაინის დედაქალაქშიც გაუხსნიათ საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი. იქ გამოფენილი ყოფილა პოლიტიკური პატიმრების დოკუმენტების ასლები, ფოტოსურათები, პირადი ნივთები.**

მუზეუმის ცენტრალურ ექსპოზიციას დაარქვეს „კომუნისტური ინკვიზიციის ქრონიკა“. მსგავსი მუზეუმები უკვე მოქმედებს თბილისში, ვილნიუსსა და რიგაში.

...პოსტსაბჭოურ სივრცეში დაიწყო ოკუპაციის მუზეუმების ჯაჭვური რეაქცია...

# ტრუსი ტელეფონის წინააღმდეგ

### აბონენტს მობილურის გამოსხივებისგან ვერცხლის ძაფებიანი ქსოვილი დაიცავს

**შვეიცარიულმა კომპანიამ ISA Bodywear-მა გვაუწყა მამაკაცთა სპეციალური ქვედა საცვლის გამოშვების შესახებ, რომელიც „სპერმას იცავს ფიჭური ტელეფონის მავნე გამოსხივებისაგან“. ამას უზრუნველყოფს ახალი ქსოვილი, სადაც ბამბისა და ლაიკრის გარდა შედის ვერცხლის ძაფები – სწორედ ისინი ბლოკავენ გამოსხივებას.**



– დაცვა იმდენად საიმედოა, რომ თუ მობილურს გაახვევთ ამ საცურაო კოსტუმში, ის არც კი დარეკავს სხვა აპარატიდან გამოძახებისას – ამტკიცებს ტექნოლოგიის 51 წლის გამომგონებელი ანდრეას ზალმანი. – ამავე დროს ქსოვილი თავისუფლად ატარებს ჰაერს. ასე რომ, საცვლის ჩაცმა შეიძლება ცხელ ამინდშიც.

„ანტიფიჭური“ ტრუსი 24 დოლარამდე ღირს. კომპანიამ უკვე გამოუშვა საცვლის 4 ათასი საცდელი ნიმუში, რომელთა ნაწილი დახლებზე უკვე ივნისის დასაწყისში გამოჩნდა.

**რუსული პრესის მიხედვით**

## ინფორმაცია

### დედა-შვილის მკვლელს – უვადო პატიმრობა

**ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გუშინ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და 23 წლის მევლუდ ფარქოსაძეს უვადო პატიმრობა მიუსაჯა.**

**მსჯავრდებულს დედა-შვილის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობა ედება ბრალად.**

**დანაშაული შარშან თებერვალში, საჩხერის რაიონის სოფელ პასიეთში მოხდა. ფარქოსაძემ არასრულწლოვან ნათესავთან სქესობრივი კავშირი დაამყარა, რასაც მოზარდის დედა შეესწრო.**

**დანაშაულის დაფარვის მიზნით, მან დედა-შვილი ფარქოსაძეები მოკლა, გვამები კი დაანაწევრა და ტყეში დამარხა.**

**მსჯავრდებული თავს დამნაშავედ არ სცნობს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## გვემრავლოს!

### ღვთის ბოძებული გიორგი

**ახალგაზრდა მეუღლეები არიან ნიკოლოზ და ნათია ბენიაიძეები. ქმარი „დედოფლისწყაროს მეღვინეთა და მევენახეთა ასოციაციის“ პრეზიდენტია. მათ პირველი შვილი – ლუკა უკვე ჰყავდათ. ამ დღეებში კი ნათიამ მეორედ მოილოგინა, კვლავ ვაჟი შეეძინათ. გიორგი დაარქვეს.**



– ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი, თქვენს გაზრდას მომასწრებს ღმერთი, – ლოცავს ვაჟიშვილებს დედა. ვაჟის შეძენა ხომ საქართველოში დღესასწაულის ტოლფასია.

დედოფლისწყაროს მეღვინეთა და მევენახეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი გოდერძი გონაშვილი ასოციაციის კოლექტივის სახელით ულოცავს ნიკოლოზ ბენიაიძის ოჯახს გიორგის შეძენას. ახალგაზრდა ოჯახში მეორე შვილის დაბადებით ხარობენ, – გვაცნობა დედოფლისწყაროდან ჩვენმა კორესპონდენტმა ნანა ჭიჭინაძემ.

ღმერთმა ამრავლოს ქართველი ერი!

**ნათელა ფაილოძე**

## ლარის კურსი

**19 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3049 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,6755 | ლარი |
| ევრო | 1 | 2,2351 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0645 | ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9562 | ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4837 | ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3363 | ლარი. |

## ანეკდოტები

– კარგი, აბა, წავედი. თუ რამე იქნა, დამირეკეთ. სხვათა შორის, ახალი ნომერი მაქვს. დაიხსომებთ თუ ჩაიწერთ?

– არა, ჩაწერა ჯობია. მიხ-ოს ახა-ლი ნომერი აქვს.

* * *

პირველი ქორწინების შემდეგ ხვდები, რომ ცოლი ლამაზი უნდა იყოს.

მეორე ქორწინების შემდეგ რწმუნდები, რომ იგი ლამაზიც უნდა იყოს და ჭკვიანიც.

მესამე ქორწინების შემდეგ კი შენთვის ნათელი ხდება, რომ ამგვარი შერწყმა შეუძლებელია.



* * *

მაიმუნებმა ევოლუციური განვითარება მას მერე შეწყვიტეს, რაც ადამიანების მიბაძვა დაიწყეს.

* * *

ინსტრუქცია – ეს არის ქაღალდი, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, ორ შემთხვევაში კითხულობენ.

1. როდესაც წასაკითხი არაფერია.

2. როდესაც უკვე ყველაფერი დამტვრეულ-გაფუჭებულია.

* * *

როდესაც საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ბიზნესის მდიდარი გამოცდილება, დეილი კარნეგიმ სპეციალურად საქართველოსთვის დაიწყო ახალი წიგნის წერა: „როგორ დავაშოროთ მეგობრები“.

## კადრი




რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ხიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აკრეფილი 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.